

სისხლის სამართალი
ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2023, №10-12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2023, №10-12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2023, №10-12

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2023, №10-12

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსუდან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

სასჯელის დანიშვნა

მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება მხოლოდ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, არ იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების სამართლებრივ შესაძლებლობას 5

დანის გამოყენების მუქარით ყაჩაღობის ჩადენისას სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-3 ნაწილის გამოსაყენებლად (სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები) აუცილებელია შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის არსებობა, რომლითაც დგინდება გამოყენებული დანის კუთვნილება ცივ იარაღთა კატეგორიისადმი 18

განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი გარემოების (ბრალის აღიარებით გამოცხადება) არსებობის გამო 36

დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა დანიშვნის წესი მიემართება როგორც ძირითად ისე დამატებით სასჯელებზე 43

მკაცრი სასჯელის მიერ ერთი სასჯელის შთანთქმა, ხოლო მეორის ნაწილობრივი ან მთლიანად დამატება არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შინაარსს 53

პირი ნაწილი

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიცირება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებიდან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაზე 65

ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით 78

2. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

ოჯახის წევრის მიმართ მუქარით ქმედების კვალიფიკაციასთან ერთად არსებობს დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 11¹ მუხლზე მითითების საფუძველი 92

3. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირება თვითნებობიდან ქურდობაზე	100
ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით კვალიფიკაციისა მე-11' მუხლის დამატებით გამოყენება ენინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დანაწესს და დაუშვებელია	113
მითვისება	118

4. ნარკოტიკული დანაშაული

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენაში დახმარება	126
--	-----

5. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება იმის მიერ, ვინც ნასამართლეობა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის	137
---	-----

6. სამოხელეო დანაშაული

საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ფარგლებში პოლიციელისთვის ბრალად შერაცხული შედეგი – დაზარალებულის სიცოცხლის ზეღოვანა, არ შეიძლება წარმოადგენდეს ბრალდების მხარის მიერ სამართლებრივი უფლებამოსილების გადამეტებად მიჩნეულ იარაღის პასიური გამოყენების დემონსტრირების შედეგს	149
მოსამართლე შალვა თადუმაძის განსხვავებული აზრი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 ნოემბრის განაჩენზე	163

სისხლის სამართლის პროცესი

პირმო ნაწილი

კასაცია

საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსსკ-ის არსებითად დარღვევის გამო	166
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108 მუხლით დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაც- ვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა	177

სისხლის სამართალი
ზოგადი ნაწილი
სასჯელის დანიშვნა

მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება მხოლოდ
სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის
განხილვისას, არ იძლევა საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის
გამოყენების სამართლებრივ პასაჟაჟობას

განაჩენი
საქართველოს სახელით

№670აპ-23

17 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
თ. ოქროპირიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ოთარ ხორგუაშვილის, მსჯავრდებულ მ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის განაჩენით:

1.1. თ. ქ-ე, – დაბადებული ... წლის ... იანვარს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2020 წლის 19 მაისიდან.

1.2. მ. მ-ე, – დაბადებული ... წლის ... დეკემბერს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე, 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა

ჩათვალა პირობით. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2020 წლის 19 მაისიდან.

1.3. ნ. ფ-ი, – დაბადებული ... წლის ... მარტს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 254-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის თანახმად, საბოლოოდ, ნ. ფ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2020 წლის 19 მაისიდან.

1.4. მ. ე, – დაბადებული ... წლის ... აპრილს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2020 წლის 19 მაისიდან.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ე-მა და მ. მ-ემ ჩაიდინეს წამება, ესე იგი პირისათვის ისეთი პირობების შექმნა და ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია პირის დასჯა მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის, ჩადენილი ჯგუფურად; ნ. ფ-მა ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი და ასევე პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა; ხოლო თ. ქ-ემ – დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

2020 წლის 15 მაისს, ღამის საათებში, ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ო-ში მდებარე ყოფილი ს-ო ფაბრიკის შენობაში ნ. გ-მ გადაწყვიტა მ. ჯ-ს წამება, რადგან მიაჩნდა, რომ მ. ჯ-ს სქესობრივი კავშირი ჰქონდა მის მეგობარ მამაკაცთან – ი. ძ-თან. მას შემდეგ, რაც მ. ჯ-მა უარყო მითითებულ მამაკაცთან ინტიმური ურთიერთობა, ნ. გ-მ იგი გაიყვანა სხვა ოთახში, სადაც ასევე შევიდნენ მ-ი ე, მ. მ-ე, თ. ქ-ე და მ. დ-ი. ნ. გ-ს მითითების შესაბამისად, მ-ი ე-მა მას მიუტანა მაკრატელი და სავარცხელი, ხოლო შემდეგ ერთჯერადი საპარსი საშუალება. ნ. გ-მ დასჯის მიზნით, ფსიქიკური და მორალური ტანჯვისა და ძლიერი ფსიქიკური ტკივილის მისაყენებლად მ. ჯ-ს შეაჭრა და შემდეგ გადაპარსა თმა, ასევე გაპარსა წარბები. აღნიშნულის შემდეგ, ასევე დასჯის მიზნით, ძლიერი ფიზი-

კური ტკივილის, მორალური და ფსიქიკური ტანჯვის მისაყენებლად ნ. გ-მ დაუწყო უმოწყალოდ ცემა, კერძოდ, მრავლობითი დაზიანებები მიაყენა ხელითა და ფეხით სახის არეში, ხოლო შემდეგ დაზიანებებს აყენებდა ჯერ ოთახის, ხოლო შემდეგ – სპორტული ფეხსაცმლითა და ქამრით. მას შემდეგ, რაც ნ. გ. დაიღალა მ. ჯ-ს ცემით, იქ მყოფ პირებს მოუწოდა დაზარალებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისაკენ. მ. ე-მა და მ. მ-ემ, რომლებიც მანამდე ხალისობდნენ მომხდარის გამო და დასცინოდნენ მ. ჯ-ს, გადანყვიტეს ჯგუფურად განეგრძოთ მისი წამება. მ. ე-მა სპორტული ფეხსაცმელი ორჯერ დაარტყა სახეში, ხოლო მ. მ-ემ ჯერ ხელი, ხოლო შემდეგ ლანგარი დაარტყა სახის არეში მ. ჯ-ს, რომელმაც ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვასთან ერთად კვლავ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულის შემდეგ, ნ. გ-მ მ. ჯ-ს წელს ზევით გაახდევინა ტანსაცმელი და შიშველ სხეულზე ქამრის მრავლობითი დარტყმით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა; წამება განაგრძო ანთებული სიგარეტის ღერებით სხეულის განსაკუთრებით მგრძნობიარე ადგილებზე, კერძოდ, მკერდზე, ხელის გულსა და კისრის მიდამოში დადებითა და დანვით, ხოლო მას შემდეგ, რაც სიგარეტი გაუთავდა – ასანთის ანთებული ღერებით. კიდევ უფრო მეტი მორალური და ფსიქიკური ტანჯვის მისაყენებლად ნ. გ-მ მ. ჯ-ს შიშველ სხეულზე დაანერა შეურაცხმყოფელი სიტყვები და დაახატა მამაკაცის სასქესო ორგანო, ასევე ლაქით დამამცირებლად მოუხატა სახე. ნ. გ-მ უნებართვოდ შეაღწია მ. ჯ-ს სარგებლობაში არსებულ მობილურ ტელეფონში, გადაუღო მას ფოტოები და ვიდეო, რა დროსაც ვიდეოჩანაწერში ასახვის მიზნით, აიძულა მის მიერ ნაკარნახევი უცენზურო, დამამცირებელი სიტყვების გამეორება. აღნიშნულ ტელეფონში დამახსოვრებული იყო მ. ჯ-ს სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ პირადი გვერდი, რომელშიც, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ შეაღწია ნ. გ-მ და ატივრთა ზემოაღნიშნული ფოტოები და ვიდეოები, ამასთან „ფეისბუქის“ აპლიკაცია „მესენჯერის“ მეშვეობით პირადი მიმოწერით გაუგზავნა ბ. ბ-ს. შემდგომ, ფაქტიურად, შიშველ მ. ჯ-ს ნ. გ-მ იატაკზე დაძინება აიძულა, ხოლო ნ. გ. და მ. ე. ღამით დარჩნენ იმავე ოთახში, რათა დაზარალებული არ გაქცეულიყო. ნ. გ-ს, მ. ე-სა და მ. მ-ის მიერ ჩადენილმა ქმედებებმა ცალ-ცალკე და ერთობლივად გამოიწვია მ. ჯ-ს ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ასევე – ფსიქიკური და მორალური ტანჯვა.

2020 წლის 16 მაისს, დილის საათებში, ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ო-ში მდებარე ყოფილი ს-ო ფაბრიკის შენობაში, ნ. ფ-მა შელაპარაკებისას, მ. ჯ-ს ხელი და ფეხი რამდენჯერმე დაარტყა სახეში, ასევე – ქამარი. ამ ქმედებით დაზარალებულმა განიცადა

ფიზიკური ტკივილი.

2020 წლის 16 მაისს, დილის საათებში, ნ. გ-მ და ნ. ფ-მა წინასწარი შეთანხმებით, მ. ჯ. მისი ნების საწინააღმდეგოდ შეიყვანეს იმავე შენობაში მდებარე სხვა იზოლირებულ ოთახში და კარი დაუკეტეს გარედან, რითაც მ. ჯ-ს, დაახლოებით ერთი საათით, აღუკვეთეს თავისუფლება.

2019 წლის დეკემბერში ნ. ფ-მა იქირავა ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ო-ში მდებარე ყოფილი ს-ო ფაბრიკის შენობა. ეს ადგილი პროსტიტუციისათვის გადასცა მ. მ-ეს, ნ. გ-სა და თ. ქ-ეს, სადაც ისინი მამაკაცებს უწევდნენ სექსუალური ხასიათის მომსახურებას, რის სანაცვლოდაც ნ. ფ-ს თანხას უხდიდნენ.

2020 წლის 15 მაისს, ღამის საათებში, ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ო-ში მდებარე ყოფილი ს-ო ფაბრიკის შენობაში ნ. გ-მ გადაწყვიტა მ. ჯ-ს წამება, რადგან მიაჩნდა, რომ მ. ჯ-ს სქესობრივი კავშირი ჰქონდა მის მეგობარ მამაკაცთან – ი. ძ-თან. მას შემდეგ, რაც მ. ჯ-მა უარყო მითითებულ მამაკაცთან ინტიმური ურთიერთობა, ნ. გ-მ იგი გაიყვანა სხვა ოთახში, სადაც ასევე შევიდნენ მ. ე, მ. მ-ე, თ. ქ-ე და მ. დ-ი. ნ. გ-ს მითითების შესაბამისად, მ. ე-მა მას მიუტანა მაკრატელი და სავარცხელი, ხოლო შემდეგ ერთჯერადი საპარსი საშუალება. ნ. გ-მ დასჯის მიზნით, ფსიქიკური და მორალური ტანჯვისა და ძლიერი ფსიქიკური ტკივილის მისაყენებლად მ. ჯ-ს შეაჭრა და შემდეგ გადაპარსა თმა, ასევე გაპარსა წარბები. აღნიშნულის შემდეგ, ასევე დასჯის მიზნით, ძლიერი ფიზიკური ტკივილის, მორალური და ფსიქიკური ტანჯვის მისაყენებლად ნ. გ-მ დაუწყო უმოწყალოდ ცემა, კერძოდ, მრავლობითი დაზიანებები მიაყენა ხელითა და ფეხით სახის არეში, ხოლო შემდეგ დაზიანებებს აყენებდა ჯერ ოთახის, ხოლო შემდეგ – სპორტული ფეხსაცმლითა და ქამრით. მას შემდეგ, რაც ნ. გ. დაიღალა მ. ჯ-ს ცემით, იქ მყოფ პირებს მოუწოდა დაზარალებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისაკენ. მ. ე-მა და მ. მ-ემ, რომლებიც მანამდე ხალისობდნენ მომხდარის გამო და დასცინოდნენ მ. ჯ-ს, გადაწყვიტეს ჯგუფურად განეგრძოთ მისი წამება. მ. ე-მა სპორტული ფეხსაცმელი ორჯერ დაარტყა სახეში, ხოლო მ. მ-ემ ჯერ ხელი, ხოლო შემდეგ ლანგარი დაარტყა სახის არეში მ. ჯ-ს, რომელმაც ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვასთან ერთად კვლავ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულის შემდეგ, ნ. გ-მ მ. ჯ-ს წელს ზევით გაახდევინა ტანსაცმელი და შიშველ სხეულზე ქამრის მრავლობითი დარტყმით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა; წამება განაგრძო ანთებული სიგარეტის ღერებით სხეულის განსაკუთრებით მგრძნობიარე ადგილებზე, კერძოდ, მკერდზე, ხელის გულსა და კისრის მიდამოში დადებითა და დანვით, ხოლო მას შემდეგ, რაც

სიგარეტი გაუთავდა – ასანთის ანთებული ღერებით. კიდევ უფრო მეტი მორალური და ფსიქიკური ტანჯვის მისაყენებლად ნ. გ-მ მ. ჯ-ს შიშველ სხეულზე დააწერა შეურაცხყოფელი სიტყვები და დაახატა მამაკაცის სასქესო ორგანო, ასევე ლაქით დამამცირებლად მოუხატა სახე. ნ. გ-მ უნებართვოდ შეაღწია მ. ჯ-ს სარგებლობაში არსებულ მობილურ ტელეფონში, გადაუღო მას ფოტოები და ვიდეო, რა დროსაც ვიდეოჩანაწერში ასახვის მიზნით, აიძულა მის მიერ ნაკარნახევი უცენზურო, დამამცირებელი სიტყვების გამეორება. აღნიშნულ ტელეფონში დამახსოვრებული იყო მ. ჯ-ს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირადი გვერდი, რომელშიც, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უკანონოდ შეაღწია ნ. გ-მ და ატვირთა ზემოაღნიშნული ფოტოები და ვიდეოები, ამასთან, „ფეისბუქის“ აპლიკაცია „მესენჯერის“ მეშვეობით პირადი მიმოწერით გაუგზავნა ხ. ბ-ს. შემდგომ, ფაქტიურად, შიშველ მ. ჯ-ს ნ. გ-მ იატაკზე დაძინება აიძულა, ხოლო ნ. გ. და მ. ე. ღამით დარჩნენ იმავე ოთახში, რათა დაზარალებული არ გაქცეულიყო. ყოველივე აღნიშნულს ესწრებოდა თ. ქ-ე და მიუხედავად იმისა, რომ ნადვილად იცოდა ნ. გ-ს, მ. ე-სა და მ. მ-ის მიერ მ. ჯ-ს წამების ფაქტის – საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, ამის თაობაზე არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოს.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. ბრალდების მხარე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულებისათვის შეფარდებული სასჯელების დამძიმების კუთხით, ხოლო დაცვის მხარე დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით – მსჯავრდებულების – ნ. ფ-ისა და მ. ე-ს მიმართ დანიშნული სასჯელების შემსუბუქებას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

4.1. თ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2020 წლის 19 მაისიდან.

4.2. მ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი და 3 თვე ჩათვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად

დაუდგინდა 3 წელი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2020 წლის 19 მაისიდან.

4.3. ნ. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, სასჯელის ნაწილი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 2 წელი ჩაეთვალა პირობით, 254-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, ნ. ფ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, სასჯელის ნაწილი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი – 2 წელი ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2020 წლის 19 მაისიდან.

4.4. მ. ე. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 7 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 წელი, 4 თვე და 15 დღე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2020 წლის 19 მაისიდან.

5. კასატორმა – შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა ოთარ ხორგუაშვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მსჯავრდებულების – მ. მ-ის, მ. ე-ს, ნ. ფ-ისა და თ. ქ-ისათვის უფრო მკაცრი სასჯელების შეფარდება; ამასთან, მსჯავრდებულების – მ. მ-ის, მ. ე-სა და ნ. ფ-ის მიმართ გამოყენებული, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გაუქმება.

5.1. კასატორმა – მსჯავრდებულ მ. ე-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ი-მ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მ. ე-სათვის დანიშნული სასჯელის შემცირება სანქციის მინიმუმამდე,

შემცირებულ სასჯელზე საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნების გავრცელება და დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრდად ჩათვლა.

6. მსჯავრდებულმა ნ. ფ-მა შესაგებლით მოითხოვა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ოთარ ხორგუაშვილის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განაჩენის ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ოთარ ხორგუაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულ მ. ე-სა და მ. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ნ.ფ-ის მიერ – სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 254-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო თ. ქ-ის მიერ – სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია თავად მსჯავრდებულების აღიარებით, დაზარალებულ მ. ჯ-ს ჩვენებით, მოწმეების – ბ. ვ-ს, თ. ბ-ს, მ. დ-ის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, საგამოძიებო ექსპერტიზის ოქმით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის №...-დასკვნით, სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით, შენობა-ნაგებობის ჩხრეკის ოქმით, ამოღების ოქმით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც მხარეებიც არ ხდიან სადავოდ.

3. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებას მსჯავრდებულების – თ. ქ-ისა და მ. მ-ისათვის სასჯელების განსაზღვრის ნაწილში და უსაფუძვლოდ მიაჩნია ბრალდების მხარის მოთხოვნა მათ მიმართ დანიშნული სასჯელების დამძიმების თაობაზე. სასამართლო სასჯელის სამართლიანობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ

მსჯავრდებულების – თ. ქ-ისა და მ. მ-ისათვის შეფარდებული სასჯელები შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნის როგორც ზოგადსაგვალდებულო გარემოებები და პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, ისე – საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი (დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება – თ. ქ-ისა და მ. მ-ეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნიათ, ხოლო თ. ქ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები მის მიერ დანაშაულის აღიარება და მონაწილეობა; მან უდავოდ ცნო საქმეში არსებული მტკიცებულებები, ნასამართლობის არმქონეა; მიუხედავად დანაშაულის ადგილზე უშუალოდ ყოფნისა, მას დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღია; მ. მ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები დანაშაულის აღიარება, თანამშრომლობა, ფსიქიკური მდგომარეობა შეზღუდული შერაცხადობის თაობაზე, კერძოდ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №...- დასკვნის თანახმად, მ. მ-ეს აღენიშნება მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა და ახასიათებს ქრონიკული მიმდინარეობა. მას აქვს ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის საკუთარი თავის დაცვაში; ჰყავს მცირეწლოვანი შვილი) და მათ განუსაზღვრა ისეთი სასჯელები, რომლებიც საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია. ამასთან, გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ მ. მ-ეს სასჯელის ნაწილი, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით მსჯავრად. პირობითად ჩათვლილი თავისუფლების აღკვეთა კი, თავისი თანმდევი შედეგების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს მსუბუქი სახის სასჯელს; პირობითი მსჯავრით მასზე დაკისრებული მოვალეობა და მისი დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები, პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელ სასჯელთან ერთად, საკასაციო სასამართლოს აზრით, უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

4. რაც შეეხება მსჯავრდებულების – ნ. ფ-ისა და მ. ე-სათვის განსაზღვრულ სასჯელებს, საკასაციო სასამართლო ითვალისწინ

ნებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ ...ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

5. სააპელაციო სასამართლომ, მსჯავრდებულების – მ. ე-სა და ნ. ფ-ის მიმართ სასჯელების შეფარდებისას გასაჩივრებულ განაჩენში საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების პირობად მიუთითა ის გარემოებები, რომ ორივე მსჯავრდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან: ნებაყოფლობით მიიღო მონაწილეობა კვლევის ნიმუშების აღებასა და ჩატარებულ ამოღებებში, მოწმის სახით გამოკითხვისას სრული ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას.

6. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგს: ნ. ფ-მა გამოძიების ეტაპზე, ბრალდებულის გამოკითხვის 2020 წლის 20 მაისის ოქმის თანახმად, არ აღიარა ბრალი და გამოიყენა დუმის უფლება; ბრალდებულმა წინასასამართლო სხდომაზე ასევე დუმის უფლებით ისარგებლა, ამასთან, დაცვის მხარემ იშუამდგომლა საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, რაც დაკმაყოფილდა და დაინიშნა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა; გორის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულმა შეცვალა პოზიცია და მოითხოვა საქმის განხილვის გაგრძელება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე; ამასთან, დაცვის მხარემ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სადავოდ მიიჩნია; პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ნ. ფ-მა თავი ცნო დამნაშავედ მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 254-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში არ აღიარა ჩადენილი დანაშაული.

7. მ ე-მა გამოძიების ეტაპზე, ბრალდებულის გამოკითხვის 2020

წლის 20 მაისის ოქმის თანახმად, არ აღიარა ბრალი და გამოიყენა დუმილის უფლება; ბრალდებულმა წინასასამართლო სხდომაზე ასევე დუმილის უფლებით ისარგებლა, ამასთან, დაცვის მხარემ იშუამდგომლა საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ, რაც დაკმაყოფილდა და დაინიშნა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა; გორის რაიონულ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ბრალდებულმა შეცვალა პოზიცია და მოითხოვა საქმის განხილვის გაგრძელება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე; ამასთან, დაცვის მხარემ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სადავოდ მიიჩნია; პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მ.ე-მა თავი არ ცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და შესაბამისად, არ აღიარა ჩადენილი დანაშაული.

8. საქმის მასალების თანახმად, მსჯავრდებულმა ნ. ფ-მა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მხოლოდ დასკვნით ეტაპზე სრულად აღიარა დანაშაულის ჩადენა; ასევე მ. ე-მა აღიარა ჩადენილი დანაშაული;

9. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ კანონმდებელი საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების სავალდებულო წინაპირობად მიიჩნევს კუმულაციურად შემდეგი გარემოებების არსებობას (რაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება): ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ დანაშაულის აღიარებას (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეების დასახელებასა და გამოძიებასთან თანამშრომლობას (მაგალითისთვის იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №305აპ-21; №669აპ-22; №888აპ-21;).

10. საკასაციო სასამართლო იზიარებს პროკურორ ოთარ ხორგუაშვილის საკასაციო საჩივრის მსჯელობას და აღნიშნავს, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ნ. ფ-მა და მ. ე-მა, გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ აღიარეს დანაშაული, ასევე არ მისცეს დანაშაულის ჩადენაში სხვა პირთა მამხილებელი ჩვენებები და მხოლოდ სააპელაციო ეტაპზე ფორმალურად აღიარეს დანაშაული, შეუძლებელია მათ მიმართ ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრული შეღავათის გამოყენება.

11. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარება მხოლოდ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაშინ, როცა საქმის მასალებით არ დასტურდება მსჯავრდებულის

თანამშრომლობა გამოიყენებასთან, არ იძლევა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების სამართლებრივ შესაძლებლობას. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენება მასში გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის დროსაც კი წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას (მაგალითისათვის იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №853აპ-19; №328აპ-20). შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით მსჯავრდებულების – ნ. ფ-ისა და მ. ე-სათვის დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობით ჩათვლის საფუძველი.

12. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინებით განვითარებულ მსჯელობას დანაშაულში თანამონაწილის (ნ. გ-ს) მიმართ დანიშნული სასჯელის ზომაზე.

13. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელის სამართლიანობისა და ინდივიდუალიზაციის სწორების ხაზი, მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელია გავიდეს ნ. გ-სათვის დანიშნულ სასჯელზე. მას, ასაკიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, დაენიშნა განსხვავებული სასჯელი. ამდენად, ნ. გ-ს მიმართ სხვა სამართლებრივი მოცემულობა იყო ასაკის შესაბამისად.

14. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს, მსჯავრდებულების – ნ. ფ-ისა და მ. ე-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, ჩადენილი ქმედებების სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, მსჯავრდებულების პიროვნებას.

15. სასამართლო ასევე ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსაველდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია), რომლის თანახმად, „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

მენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება მსჯავრდებულების – ნ. ფ-ისა და მ. ე-ს მიმართ დანიშნული სასჯელის სახეს (თავისუფლების აღკვეთა) და ზომას, მაგრამ, უსაფუძვლობის გამო, არ ეთანხმება საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებას. შესაბამისად, ვინაიდან საქმის მასალებით ცალსახად დასტურდება, რომ არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წინაპირობა (სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დასტურდება ნ. ფ-ისა და მ. ე-ს მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობა), ნ. ფ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის თანახმად, გასაჩივრებული განაჩენით საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა განისაზღვროს სრულად სასჯელაღსრულების დაწყებულებაში მოხდით; ასევე მ. ე-სათვის გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული სასჯელი – 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა განისაზღვროს სრულად სასჯელაღსრულების დაწყებულებაში მოხდით.

16. რაც შეეხება მსჯავრდებულ მ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მის მოთხოვნას; უფრო მეტიც, საქმეში წარმოდგენილია პროკურორ ოთარ ხორგუაშვილის საკასაციო საჩივარი, რომელიც მიმართული იყო მსჯავრდებულების მიმართ დანიშნული სასჯელის დამძიმებისაკენ და საკასაციო სასამართლომ ზემოთ იმსჯელა იმ გარემოებებზე, რის გამოც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენება მიიჩნია უკანონოდ და მსჯავრდებულ მ. ე-სათვის საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელი – სამართლიანად.

17. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ მ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო, ხოლო პროკურორ ოთარ ხორგუაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის გადანაცვტილება მსჯავრდებულების – ნ. ფ-ისა და მ. ე-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის ნაწილში უნდა შეიცვალოს, ხოლო მსჯავრდებულების – თ. ქ-ისა და მ. მ-ის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ მ. ე-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ოთარ ხორგუაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3.1. ნ. ფ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 254-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

– საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, ნ. ფ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2020 წლის 19 მაისიდან;

4. მ. ე. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 9 (ცხრა) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2020 წლის 19 მაისიდან;

5. თ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2020 წლის 19 მაისიდან;

6. მ. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 6 (ექ-

ვსი) წლითა და 9 (ცხრა) თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 2 (ორი) წელი და 3 (სამი) თვე ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 (სამი) წელი. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2020 წლის 19 მაისიდან;

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 17 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დანის გამოყენების მუქარით ყაჩაღობის ჩადენისას
სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-3 ნაწილის
გამოსაყენებლად (სასჯელის დამამძიმებელი
გარემოებაები) აუცილებელია შესაბამისი ექსპერტიზის
დასკვნის არსებობა, რომლითაც დგინდება
გამოყენებული დანის კუთვნილება ცივი იარაღთა
კატეგორიისადმი**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№422აპ-23

24 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**შ. თადუმაძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ლ. თევზაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ ონისე თუთისანის, მსჯავრდებულ ფ. ო-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. დ-სა და მსჯავრდებულ ფ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ბ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი:

1.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 თებერვლის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 20 ივნისის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

1.2. ფ. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ი) 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

ფ. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის საფუძველზე 2 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა შთანთქმა მეორე თანაბარი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით ფ. ო-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის საფუძველზე 2 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 13 მარტის განაჩენით ფ. ო-ის მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ფ. ო-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის საფუძველზე 2 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები. ფ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 26 სექტემბრიდან.

1.3. ი. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

ი. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხ-

ლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ი. ი-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, თავისუფლების აღკვეთა 6 წლით განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 2 წლით – ჩაეთვალა პირობით მსჯავრად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი. ი. ი-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 26 სექტემბრიდან.

1.4. შ. ჰ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

შ. ჰ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52'-ე მუხლის საფუძველზე, 2 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, შ. ჰ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52'-ე მუხლის საფუძველზე 2 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები. შ. ჰ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 26 სექტემბრიდან.

1.5. ფ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

ფ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

ლის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის საფუძველზე, 2 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ფ. მ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის საფუძველზე, 2 წლით შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები. ფ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 26 სექტემბრიდან.

1.6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ: 2021 წლის 25 სექტემბერს, დაახლოებით 03:00 საათზე, შ. ჰ-ი, ი. ი-ი, ფ. მ-ი და საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით ნასამართლეთა ფ. მ-ი, ყაჩაღური თავდასხმის ჯგუფურად ჩადენის მიზნით, ფორდ ტრანზიტის ფირმის ავტომანქანით (სახ. ნომერი ...), მივიდნენ მ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ შ-ში მდებარე მ. ბ-ას საცხოვრებელ სახლთან. ტრანსპორტორების უზრუნველყოფისა და საჭიროების შემთხვევაში, გაფრთხილების მიზნით, ი. ი-ი დარჩა ავტომანქანაში, ხოლო შ. ჰ-მა, ფ. მ-მა და ფ. მ-მა ფანჯრიდან უკანონოდ შეაღწიეს მ. ბ-ას საცხოვრებელ სახლში. ისინი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, თავს დაესხნენ მ. ბ-ას, რა დროსაც ფ. მ-მა დაზარალებულისათვის სახეზე დანის დადებითა და მისი დემონსტრირებით, ასევე, თავში მუშტის ჩარტყმითა და ხელების დაჭერით, შ. ჰ-მა – პირის აკვრით, ხოლო ფ. მ-მა – ხელეებისა და ფეხების შეკვრით, ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს მ. ბ-ას და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს დაზარალებულის კუთვნილი 600 ლარად ღირებული ოქროს საყურე, 200 ლარად ღირებული ოქროს ყელსაბამი, 1000 ლარად ღირებული ოქროს ორი ბეჭედი, 220 ლარად ღირებული ოქროს საყურე, 230 ლარად ღირებული ოქროს ყელსაბამი, 100 ლარად ღირებული ბიჟუტერიის სამი ბეჭედი და ფული – 1030 ლარი, რითაც დაზარალებულს მიადგა 3 380 ლარის ქონებრივი ზიანი. ასევე დადგინდა, რომ ი. ი-ი ბ-ის რაიონის სოფელ ჭ-ში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში, მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ, ქარხნული წესით დამზადებულ, 1974 წლის ნიმუშის, 5,45 მმ კალიბრიან სამხედრო ვაზნას, რომელიც 2021 წლის 26 სექტემბერს ამოიღეს ბ-ის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

1.7. სააპელაციო სასამართლომ იარაღის გამოყენების მუქარის ფაქტი არ მიიჩნია დამამძიმებელ გარემოებად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და განმარტა, რომ ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი – „სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა“ ძირითადად სწორედ იარაღის არსებობას მოიაზრებს, რის გამოც, კანონიერად მიიჩნია ხსენებული მუხლის სანქციის ფარგლებში მსჯავრდებულთათვის შეფარებული მინიმალური სასჯელი.

1.8. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულების – ფ. ო-ის, შ. ჰ-ისა და ფ. მ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მინიმალური სასჯელის – 7 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ და ზემოაღნიშნული დამამძიმებელი გარემოების – იარაღის გამოყენების/იარაღის გამოყენების მუქარის – მხედველობაში მიღებით, საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაშაულის შესაბამისად, მსჯავრდებულებს სასჯელის სახედ და ზომად შეუფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1.9. სააპელაციო სასამართლომ ასევე ნაწილობრივ გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და ჩადენილი დანაშაულების ხასიათის, საზოგადოებრივი საშიშროების, ინტენსივობის, დანაშაულებრივ ქმედებებში მსჯავრდებულთა როლის, დამამძიმებელი გარემოებებისა და სასჯელის მიზნების გათვალისწინებით, არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ფ. ო-ის, შ. ჰ-ისა და ფ. მ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული ნორმის გამოყენება, დანაშაულებრივ ქმედებაში მსჯავრდებულის ნაკლებად აქტიური როლისა და სხვა შემამსუბუქებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, მიზანშეწონილად მიიჩნია ი. ი-თან მიმართებით.

2. საკასაციო საჩივრები

2.1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – ონისე თუთისანმა, მსჯავრდებულ ფ. ო-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – გ. დ-მა და მსჯავრდებულ ფ. მ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – გ. ბ-ემ საკასაციო საჩივრებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

2.2. ბრალდების მხარემ მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულთათვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ყაჩაღობის ჩა-

დენისათვის სასჯელის საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2-მე-3 ნაწილების შესაბამისად დანიშნა.

2.3. მსჯავრდებულ ფ. ო-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – გ. დ-მა მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში და ფ. ო-ისათვის დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე.

2.4. მსჯავრდებულ ფ. მ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – გ. ბ-ემ მოითხოვა ფ. მ-ის უდანაშაულოდ ცნობა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, ხოლო საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული სასჯელის ნაწილის – ერთი მეოთხედის პირობითად ჩათვლა იმავე გამოსაცდელი ვადით.

3. კასატორების არგუმენტები:

3.1. ბრალდების მხარის განმარტებით, ვინაიდან მსჯავრდებულებმა ყაჩაღობა ჩაიდინეს იარაღის – დანის გამოყენების მუქარით, მათ სასჯელი უნდა დაენიშნოთ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2-მე-3 ნაწილების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

3.2. მსჯავრდებულ ფ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ბ-ის განმარტებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა სასჯელის პროპორციულობისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპები და მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის აღიარების, მონანიების, გამოძიებათან თანამშრომლობის, სასამართლოში მისი დამაკმაყოფილებელი ქცევისა და დანაშაულის შედეგების გააზრების მიუხედავად, ზედმეტად მკაცრი სასჯელი შეუფარდა. ამასთან, ადვოკატის მოსაზრებით, თავისუფლების უკანონო აღკვეთა წარმოადგენს ყაჩაღობის თანმდევ გარემოებას, რის გამოც, არასწორია პირის ქმედების დამატებით კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

3.3. მსჯავრდებულ ფ. ო-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. დ-ს განმარტებით, ფ. ო-ის მიერ დანაშაულის აღიარება, გამოძიებათან თანამშრომლობა, მათ შორის – თანამონაწილეთა დასახელება და საგამოძიებო მოქმედებებში ნებაყოფლობით მონაწილეობა, მტკიცებულებათა უდავოდ ცნობა, დაზარალებულთან შერიგება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქმნის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის საფუძველს.

4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

4.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის

საქმის მასალები, შეამონმა მხარეთა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, მსჯავრდებულ ფ. ო-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. დ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ფ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეები სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და საქმეში არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულთა მიერ მათთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედებების ჩადენა. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მსჯავრდებულთათვის შეფარდებული სასჯელის კანონიერება და სამართლიანობა, აგრეთვე, ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის სისწორე საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით.

4.3. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადანყევტილობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულთათვის მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის (საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა მხედველობაში მიღების გარეშე) შეფარდების შესახებ, თუმცა, იმავდროულად, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარად გადანყვეტის დასაბუთებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.4. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების იმპერატიული დანაწესის თანახმად, დანაშაულის ჩადენა, მათ შორის, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის, რადროსაც, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას. ხსენებული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, აგრეთვე ამ კოდექსის

55-ე მუხლით ან 63-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

4.5. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი – „სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა“ შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ხერხისა თუ საშუალების გამოყენებით. მართალია, ხშირ შემთხვევაში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა სწორედ იარაღის მეშვეობით რეალიზდება, თუმცა ეს გარემოება თავისთავად ვერ დაავინოვებს მითითებული ნორმის შინაარსს და ვერ შემოსაზღვრავს მხოლოდ იარაღის გამოყენების/მისი გამოყენების მუქარის შემთხვევებით. შესაბამისად, ყაჩაღობისათვის დამახასიათებელი ძალადობა/ძალადობის მუქარა მისი ჩადენის ხერხთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და იარაღის გამოყენება/მისი გამოყენების მუქარა არ წარმოადგენს ერთადერთ და აუცილებელ კომპონენტს ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის განსაზოცხლებლად. ამდენად, „სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა“ იმთავითვე და უპირობოდ არ მოიაზრებს იარაღის არსებობას, რის გამოც, ეს უკანასკნელი ვერ განიხილება ქმედების შემადგენლობის იმგვარ მაკვალიფიცირებელ ნიშნად, რაც საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისათვის გამორიცხავს სასჯელის დანიშვნის დროს მისი დამატებით მხედველობაში მიღების შესაძლებლობას.

4.6. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ იარაღი წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, ქმნის სამართლებრივი სიკეთის დაზიანების/განადგურების იმწუთიერ, მყისიერ საფრთხეს, რის გამოც, მნიშვნელოვნად ამაღლებს პირის ქმედების საზოგადოებრივ სამიშროებას, თრგუნავს დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის განევის უნარს, აადვილებს შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიღწევასა და დანაშაულის სისრულეში მოყვანას. სწორედ მომეტებული სამიშროების გათვალისწინებით, კანონმდებელი იარაღის გამოყენებას/მისი გამოყენების მუქარას მიიჩნევს დამამძიმებელ გარემოებად ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის და ადგენს უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნის საფუძველს. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები განსაზღვრავს იმპერატიულ წესს და არ ითვალისწინებს რაიმე გამონაკლისს, გარდა ამავე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი შემთხვევებისა. როგორც უკვე აღინიშნა, იარაღის გამოყენება/მისი გამოყენების მუქარა არ წარმოადგენს საქართველოს სსკ-

ის 179-ე მუხლის, ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელ – დისპოზიციით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობის ნიშანს, რის გამოც, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესის გამოყენებაზე უარი იმ არგუმენტით, რომ „სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა“ ძირითადად იარაღის გამოყენებით ხდება.

4.7. ამდენად, საკასაციო სასამართლო, მართალია, არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, თუმცა, მოცემული საქმის გარემოებებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების მხედველობაში მიღებით, იზიარებს სასამართლოს მიერ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას და აღნიშნავს, რომ არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შესახებ ბრალდების მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, შემდეგი დასაბუთებით:

4.8. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება და არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ მსჯავრდებულებმა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ყაჩაღობა ჩაიდინეს დანის გამოყენების მუქარით. მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით (მაგ, იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 თებერვლის №761აპ-21 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის №1283აპ-22 განჩინება), სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოსაყენებლად, აუცილებელია შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის არსებობა, რომლითაც დგინდება გამოყენებული დანის კუთვნილება ცივ იარაღთა კატეგორიისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს ბრალად ვერ შეეარაცხება ხსენებული დამამძიმებელი გარემოება – „იარაღის“ გამოყენება/მისი გამოყენების მუქარა.

4.9. განსახილველ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ დანაშაულის სავარაუდო იარაღი – დანა ამოიღეს შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, დაზარალებულის საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში არსებული მაგიდიდან. დათვალიერების ოქმით დგინდება, რომ შემთხვევის ადგილზე, მათ შორის, საცხოვრებელი სახლის მისაღებ ოთახში არსებულ მაგიდაზე, განთავსებული იყო რამდენიმე დანა, თუმცა გამოძიებულმა ამოიღო მხოლოდ ერთი მათგანი.

4.10. დაზარალებულ მ. ბ-ას გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) ასევე უტყუარად დასტურდება, რომ შემთხვევის ადგილზე, დანაშაულის ჩადენის დროს ფიგურირებდა რამდენიმე და-

ნა. კერძოდ, დაზარალებულის განმარტებით, როდესაც გაიღვიძა, დაინახა სამი უცნობი პირი, რომელთაგან ერთ-ერთს (პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით – ფ. მ-ს) ხელში ეჭირა დანა, რომელიც სახესთან ახლოს მიუტანა და ლოყაზე მიადო. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ, ერთ-ერთი პირი ავიდა სახლის მეორე სართულზე, საიდანაც ჩამოიტანა დაზარალებულის კუთვნილი დანა, რომელიც დატოვეს იქვე – მაგიდაზე. პირის ამოცნობის ოქმის მიხედვით, მ. ბ-ამ ამოიცნო ფ. ო-ი, როგორც ის პირი, რომელიც მეორე სართულზე იყო ასული. ამდენად, როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებები ცხადყოფს, მსჯავრდებულებმა დანა გამოიყენეს თავდასხმის საწყის ეტაპზევე, ხოლო ამის შემდგომ, ფ. ო-მა მეორე სართულიდან ჩამოიტანა დაზარალებულის მიერ შენახული, სხვა დანა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული დანიტაც დაემუქრნენ თუ არა დაზარალებულს, საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის, არც დაზარალებულის გამოკითხვის ოქმით არ დასტურდება და არც ბრალდების შესახებ დადგენილებებშია ამ გარემოებაზე მითითება (ინკრიმინირებული ქმედებების აღწერა, დანის გამოყენების მუქარის ნაწილში, მხოლოდ ფ. მ-ის მიერ, თავდასხმის საწყის ეტაპზე, დაზარალებულისათვის სახეზე დანის დადებითა და მისი დემონსტრირებით შემოიფარგლება).

4.11. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებულის განმარტებით, მას არ დაუნახავს იმ დანის ტარი, რომლის გამოყენებითაც ემუქრებოდნენ და არ შეუძლია მისი ამოცნობა. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება დაზარალებულის ან/და თავად მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის სავარაუდო იარაღის – ამოღებული დანის ამოცნობის ოქმები, რომლებითაც დადგინდებოდა სწორედ აღნიშნული დანა იყო თუ არა თავდასხმისას გამოყენებული იარაღი. გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებულებს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზეც არ ამოუცვნიათ ამოღებული დანა და არ დაუდასტურებიათ ხსენებული ფაქტობრივი გარემოება. მართალია, დაცვის მხარემ უდავოდ ცნო მტკიცებულებათა გარკვეული ნაწილი (მათ შორის, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები), თუმცა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმსა თუ სხვა წერილობით მტკიცებულებაში ამოღებული დანა დანაშაულის იარაღად არ არის მოხსენიებული. თავის მხრივ, არც დანის უდავოდ ცნობა გულისხმობს თავისთავად იმის აღიარებას, რომ ამოღებული ნივთმტკიცება სწორედ ის იარაღია, რომლის გამოყენებითაც დაემუქრნენ დაზარალებულს, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც დანაზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები სადავოდ იქნა ცნობილი და მოწმეთა (ექსპერტებისა და გამომძიებლის) დაკითხვისას, დაცვის მხარე ცდი-

ლობდა გაერკვია, იყო თუ არა ამოღებული დანა დანაშაულის იარაღი.

4.12. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოსათვის ბუნდოვანია, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანა, რომელიც ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას, წარმოადგენდა თუ არა სწორედ იმ დანას, რომლის გამოყენების მუქართაც მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს ყაჩაღობა. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე დართულ ერთ-ერთ ფოტოსურათზე დანა მოთავსებულია თავისსავე ყუთში. ასევე, საგულისხმოა, რომ დაზარალებულის სახლის მეორე სართულიდან ამოიღეს დანის ბუდე, რომელიც, გარეგნული ნიშნების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ამოღებულ დანას ეკუთვნის. შესაბამისად, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ შემთხვევის ადგილიდან – მისაღები ოთახის მაგიდიდან ამოღებული დანა წარმოადგენს სწორედ დაზარალებულის მიერ სახლის მეორე სართულზე შენახულ და ფ. ო-ის მიერ თავდასხმის შემდგომ ჩამოტანილ ნივთს (რომელიც დაზარალებულის განმარტებით, მსჯავრდებულებმა დატოვეს მაგიდაზე) და არა იმ დანას, რომლის გამოყენებითაც თავდასხმის პირველივე წუთებში დამუქრნენ დაზარალებულს.

4.13. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპსა და თანაამსრულებელთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებლობას საკუთარი ბრალის ხარისხის შესაბამისად. სასამართლო განმარტავს, რომ ერთ-ერთი ამსრულებლის მიერ დანის გამოყენება თავისთავად ვერ განაპირობებს სხვა ამსრულებლისათვის პასუხისმგებლობის დამძიმებას, თუ მას ეს გარემოება არ ჰქონდა შეცნობილი და არ იყო მოცული მისი განზრახვით. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, დაზარალებულისთვის სახეზე დანის დადება და მისი დემონსტრირება ფ. მ-მა ჩაიდინა.

4.14. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულები დანით შეიარაღებული მივიდნენ შემთხვევის ადგილზე ან/და სიტყვიერად თუ კონკლუდენტური მოქმედებით (წინასწარ ან/და დანაშაულის ჩადენის პროცესში) შეთანხმდნენ დანის გამოყენების მუქარაზე და რომ ეს უკანასკნელი მათი განზრახვითაც იყო მოცული. ამდენად, თუნდაც დადასტურებული იყოს საკასაციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ მსჯელობაში სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოება (ამოღებული

დანისა და დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული დანის იგივე-ობრიობა), საკასაციო სასამართლო მაინც ვერ გაიზიარებდა ბრალდების მხარის პოზიციას ყველა ამსრულებელთან მიმართებით საქართველოს სსკ-ის 53'-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაშაულის გამოყენების შესახებ.

4.15. საკასაციო სასამართლო, ხელმძღვანელობს რა, ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულთა (მსჯავრდებულთა) სასარგებლოდ განწყვეტის პრინციპით, აღნიშნავს შემდეგს: იმ პირობებში, როდესაც უტყუარად ვერ დგინდება ამოღებული დანა წარმოადგენს თუ არა დანაშაულის იარაღს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული დანა არ ამოღებულა და არ ჩატარებია შესაბამისი ექსპერტიზა, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სასჯელის დანიშვნისას იხელმძღვანელოს საქართველოს სსკ-ის 53'-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით. ამდენად, ბრალდების მხარის მოთხოვნა მსჯავრდებულთათვის დანიშნული სასჯელის გამკაცრების შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4.16. იმავედროულად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ბრალად წარდგენილი დანაშაულების – ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტობრივი გარემოებები ერთმანეთთან თანხვედნილია, ზემოაღნიშნული მსჯელობა ასევე რელევენტურია საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელთან მიმართებით. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ სწორედ იარაღის გამოყენების/იარაღის გამოყენების მუქარის გათვალისწინებით დაუძიმა მსჯავრდებულებს (ფ. ო-ს, შ. ჰ-სა და ფ. მ-ს) პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელი და საქართველოს სსკ-ის 53'-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ამავე კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის შეუფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ვინაიდან საკასაციო სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ დანის გამოყენების მუქარის ფაქტი ყაჩაღობასთან მიმართებით, მოცემულ შემთხვევაში, ვერ განაპირობებს სასჯელის დამძიმებას, ანალოგიურად ითქმის თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან მიმართებითაც.

4.17. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში საკასაციო საჩივარი წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ფ. მ-ის ინტერესების დამცველ ადვოკატს. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს რა საქართვე-

ლოს სსსკ-ის 309-ე მუხლით (საკასაციო საჩივრის სარევიზიო სან-
ყისი), აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი მოცემუ-
ლობა – საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვა-
ლისწინებული დამამძიმებელი გარემოების – „იარაღის“ გამოყე-
ნების მუქარის ფაქტის დაუდგენლობა საერთოა ყველა მსჯავრდე-
ბულისთვის და განაპირობებს სასჯელის შეცვლას იმ მსჯავრდე-
ბულებთან მიმართებითაც, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შე-
მოუტანიათ.

4.18. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავ-
რდებულებს – ფ. ო-ს, შ. ჰ-სა და ფ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯე-
ლის სახედ და ზომად უნდა შეეფარდოთ თავისუფლების აღკვეთა
– 7 წლით და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა –
2 წლით.

4.19. რაც შეეხება დაცვის მხარის მოთხოვნას მსჯავრდებულ
ფ. მ-ის საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და
მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის
ჩადენაში გამართლების შესახებ, საკასაციო სასამართლო არ იზი-
არებს მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ.
ბ...-ის არგუმენტაციას და აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის
179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ყაჩაღობა, მარ-
თალია, მოიაზრებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძა-
ლადობას, თუმცა, ამგვარი ძალადობა თავისთავად არ მოიცავს და-
ზარალებულისათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას.
იმ შემთხვევაში, თუ პირის ქმედებები არ შემოიფარგლება დაზა-
რალებულზე მხოლოდ ფიზიკური ან/და ფსიქიკური ზემოქმედე-
ბით და დანაშაულის ჩადენის გაადვილებისა თუ მსხვერპლის ნე-
ბის დათრგუნვის მიზნით, იგი ასევე უზღუდავს დაზარალებულს
თავისუფალი გადაადგილების უფლებას, ეს უკანასკნელი წარმო-
ადგენს თავისუფლების უკანონო აღკვეთას და მოითხოვს პირის
ქმედების კვალიფიკაციას დამატებით საქართველოს სსკ-ის 143-ე
მუხლით. შესაბამისად, ადვოკატის მოთხოვნა დაუსაბუთებელია
და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

4.20. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს დაცვის მხა-
რის პოზიციას მსჯავრდებულების – ფ. ო-ისა და ფ. მ-ის მიმართ
დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის შესახებ და
აღნიშნავს შემდეგს:

4.21. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია,
რომ ფ. ო-მა მსჯავრად შერაცხილი დანაშაულები ჩაიდინა ბოლნი-
სის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 13 მარტის განაჩენით დად-

გენილი გამოსაცდელი ვადის მოქმედების პერიოდში. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი გამოსაცდელ ვადაში პირობით მსჯავრდებულის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენის დროს კვლავ პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას ადგენს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში – მხარეთა შორის საქართველოს სსკ-ის XXI თავის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დადებისას. გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენისას, დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა, საპროცესო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით – დაუშვებელია (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისის №525აპ-22 განაჩენი).

4.22. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენება, კანონით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და არა – ვალდებულებას. შესაბამისად, სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის მიზანშეწონილობის საკითხს.

4.23. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ფ. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმეს (ჩადენილია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები დამამძიმებელ გარემოებებში), საზოგადოებრივ საშიშროებას (ჩადენილი დანაშაულები ხელყოფს არა მარტო დაზარალებულის საკუთრებას, არამედ საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, უზღუდავს თავისუფალი გადაადგილების უფლებას), დანაშაულებრივ ქმედებებში მის როლსა და მისი მონაწილეობის ხარისხს, აგრეთვე, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას (სწორედ ფ. მ-ი იყო ის პირი, რომელიც დანის გამოყენებით უშუალოდ დაემუქრა დაზარალებულს), მსჯავრდებულის მიერ საგამოძიებო ორგანოებთან არასრულყოფილ თანამშრომლობას (მიუხედავად გამოძიების სანჯის ეტაპზე დანაშაულის აღიარებისა, ფ. მ-მა ბრალის წაყენების შემდეგ ისარგებლა დუმილის უფლებით, სასამართლოში არ მისცა ჩვენება, სადავოდ ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილი), რის გამოც, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ფ. მ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენება. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს სწორედ შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა მინიმალური ვადით. შესაბამისად, კასატორის არგუმენტი სასჯელის გადაჭარბებული სიმკაცრისა და არაპროპორციულო-

ბის შესახებ საფუძველს მოკლებულია.

4.24. ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ბრალდების მხარისა და მსჯავრდებულ ფ. ო-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. დ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ფ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. კერძოდ, ფ. ო-ს, შ. ჰ-სა და ფ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროთ თავისუფლების აღკვეთა 7 წლით და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა – 2 წლით.

4.25. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადაწყვიტა ნივთიერი მტკიცებულების, კერძოდ, შემთხვევის ადგილიდან – მისაღები ოთახის მაგიდიდან ამოღებული მობილური ტელეფონის ბედი და აღნიშნული ნივთიერი მტკიცებულება დაუქვემდებარა განადგურებას. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ნივთიერი მტკიცებულებების საკითხის გადაწყვეტის ნაწილშიც და შემთხვევის ადგილიდან – მისაღები ოთახის მაგიდიდან ამოღებული მობილური ტელეფონი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 309-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ ონისე თუთისანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, მსჯავრდებულ ფ. ო-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. დ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, მსჯავრდებულ ფ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ფ. ო-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-

ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

4. ფ. ო-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის საფუძველზე 2 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით ფ. ო-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

6. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 13 მარტის განაჩენით ფ. ო-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დანიშნული პირობითი მსჯავრი;

7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან დაემატოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ფ. ო-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

8. ფ. ო-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია. ფ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 26 სექტემბრიდან;

9. ი. ი-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

10. ი. ი-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

11. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ი. ი-ს სასჯე-

ლის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო თავისუფლების აღკვეთა 2 წლით – ჩათვალოს პირობით მსჯავრად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 3 წელი;

12. საქართველოს სსკ-ის 66-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, პირობით მსჯავრდებულის – ი. ი-ის ყოფაქცევაზე კონტროლი და მისი დახმარება დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

13. ი. ი-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია. ი. ი-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაწყოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 26 სექტემბრიდან;

14. შ. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

15. შ. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის საფუძველზე, 2 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები;

16. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, შ. შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

17. შ. შ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია. შ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაწყოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 26 სექტემბრიდან;

18. ფ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8

ნლით;

19. ფ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52'-ე მუხლის საფუძველზე, 2 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები;

20. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ფ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

21. ფ. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია. ფ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწეოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 26 სექტემბრიდან;

22. შემთხვევის ადგილიდან – მისაღები ოთახის მაგიდიდან ამოღებული მობილური ტელეფონი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 2 თებერვლის განაჩენი სხვა ნივთიერი მტკიცებულებების საკითხის გადაწყვეტის ნაწილში დარჩეს უცვლელად;

23. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე
მუხლით გათვალისწინებული შემამსუბუქებელი
ბარემოების (ბრალის აღიარებით გამოცხადება)
არსებობის გამო**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№599აპ-23

24 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ზ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით: დ. ზ-ს, – დაბადებულს 1. წელს, – ბრალად ედება ადამიანის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური და ფსიქიკური იძულება, არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებაც მისი უფლებაა, ჩადენილი დამნაშავეისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით დ. ზ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 11 ოქტომბერს, დაახლოებით 15:00 საათზე, დ. ზ. კუთვნილ „AUDI Q7“ მარკისა და მოდელის ავტომობილით სახელმწიფო ნომრით B. გადაადგილდებოდა ქ. ქ., გ-სთან არსებული ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც ქუჩაში ფეხით გადაადგილდებოდა 15.02.2011 წელს დაბადებულ ა. დ. ზ-მ ა-ს შესთავაზა ავტომანქანით წაყვანა, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა და დაჯდა მანქანის უკანა სალონში. ავტომობილის დაძვრიდან მალევე ა-ს სოციალურ ქსელ „მესენჯერში“ დაურეკა დამ, რაზეც დ. ზ-მ ყვირილითა და ტელეფონის ნართმევით წინასწარი შეცნობით არას-

რუნლოვან ა-ს აიძულა შეენწყვიტა ტელეფონზე საუბარი.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 დეკემბრის განაჩენით:

3.1. დ. ზ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დ. ზ-ს სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩათვალა სასჯელის ვადაში და მისი მოხდის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 19 ოქტომბრიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა დ. ზ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დ. ბ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის შემცირება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. ზ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ, დანიშნული თავისუფლების აღკვეთის საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე 12 თვემდე შემცირება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებული დ. ზ. სადავოდ არ ხდის გასაჩივრებულ განაჩენს მისი მსჯავრდების ნაწილში და ითხოვს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემცირებას 12 თვემდე. მსჯავრდებულ დ. ზ-ს საკასაციო საჩივარზე ბრალდების მხარეს შესაგებელი არ წარმოდგენია.

2. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სსკ-

ის 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამოვრების გარეშე (იხ., *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., *Gorou v. Greece (No. 2)* no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009). შესაბამისად, სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გასაჩივრებულ განაჩენში, დ. ზ-ს საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში მითითებული იმ არგუმენტების გამოვრება, რასაც სასამართლოც ეთანხმება.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. ზ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – გამასწორებელ სამუშაოს ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით თვრამეტ თვემდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

5. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 დეკემბრის განაჩენით დ. ზ-ს სასამართლომ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის მაქსიმალური ხანგრძლივობით – 18 თვით. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დ. ზ-მ აღიარა ჩადენილი დანაშაული, თუმცა აუცილებელი და გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ დანაშაული ჩადენილია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენითაც სააპელაციო სასამართლომ დანიშნული სასჯელის სახის და ზომის კანონიერების და სამართლიანობის შემოწმებისას, ყურადღება გაამახვილა მსჯავრდებულის პიროვნებაზე და სასჯელის მიზნების მხედველობაში მიღებით მიზანშეწონილად არ მიიჩნია დ. ზ-სათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება, ამასთან გამორიცხა საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა დამამძიმებელი გარემოების (არასრულწლოვნის მიმართ დანაშაულის ჩადენა) გამო.

6. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოების გამო ვერ გაიზიარებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 დეკემბრისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის

გადანყვეტილებას დ. ზ-ს მიმართ სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით – 18 თვით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების ნაწილში. კერძოდ,

7. სასამართლო ითვალისწინებს, რომ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრად შერაცხული ქმედების ჩადენის შემდეგ დ. ზ. 2022 წლის 19 ოქტომბერს გამოცხადდა ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებაში ბრალის აღიარებით; მოწმის სახით გამოკითხვისას საგამოძიებო ორგანოებს სრულყოფილად მიანოდა ინფორმაცია 2021 წლის 11 ოქტომბრის ფაქტის შესახებ, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას (მათ შორის, თანხმობა განაცხადა საგამოძიებო ექსპერიმენტსა და ამოცნობაში მონაწილეობაზე, მისი მანქანის „AUDI Q7“, სახელმწიფო ნომრით „B..“ ამოღებაზე).

8. სასამართლო ასევე ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლს, რომლის თანახმად თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავე გამოცხადდა ბრალის აღიარებით, აქტიურად შეუწყო ხელი დანაშაულის გახსნას და არ არსებობს დამამძიმებელი გარემოებანი, სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს.

8.1. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განაჩენით დ. ზ-ს მიმართ გამოყენებულია საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე მაქსიმალური ხანგრძლივობით.

8.2. სასამართლო ითვალისწინებს რომ საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლი იმპერატიული ხასიათის სამართლის ნორმაა, რომელიც ადგენს შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას სასჯელის დანიშვნის სავალდებულო წესს, სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას და არა უფლებამოსილებას არ გამოიყენოს საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედზე მეტი.

9. სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას არასრულწლოვნის მიმართ დანაშაულის ჩადენის საფუძველით საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვნის მიმართ არის დანაშაულის მაკვალიფიცრებელი ნიშანი – სწორედ აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებებისთვის ადგენს საქართველოს სსკ-ი გამ-

კაცრებულ პასუხისმგებლობას და სასჯელს (საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ იძულების ჩადენა ვერ შეფასდება ცალკე დამამძიმებელ გარემოებად, რომელიც გამორიცხავს საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული წესის გამოყენების შესაძლებლობას. სასამართლო ითვალისწინებს, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლის სიტყვა-სიტყვით და გრამატიკული განმარტების ხერხებსაც, იმ გარემოებას რომ აღნიშნული ნორმა ცალსახად და პირდაპირ გამორიცხავს მაქსიმალური ვადის/ზომის სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას (მუხლში მითითებული შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას) როგორც საქართველოს სსკ-ის მუხლის ასევე მუხლის ნაწილთან მიმართებით.

9.1. შესაბამისად, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ იძულების ჩადენის შემთხვევაში დაზარალებულის არასრულწლოვნობის დამატებით დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინება და დამამძიმებელი გარემოების არსებობისას სასჯელის დანიშვნის წესის დამატებით გამოყენება ან/და საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის მარეგულირებელი იმპერატიული საშელავათო ნორმების არგამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ით სასამართლოზე დაკისრებულ ვალდებულებას და გაუმართლებლად ამძიმებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობას.

9.2. ამდენად, მითითებული საფუძვლით დ. ზ-ს მიმართ თავისუფლების აღკვეთის, საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით – 18 თვით დანიშვნა კანონშესაბამოა.

10. ამასთან, მსჯავრდებულ დ. ზ-ს მიმართ სასჯელის შემსუბუქების თაობაზე კასატორის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

11. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუ-

ციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამიტომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

12. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ რესოციალიზაციის მიზანი გულისხმობს სასჯელის მეშვეობით საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული თანაცხოვრების წესებისადმი დამნაშავის შეგუებას, ამისათვის შესაბამისი პირობების შექმნის გზით, როგორც საპატიმრო დაწესებულებაში, ასევე, არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებისას, თავისუფლებაში ყოფნის პირობებში; ახალი დანაშაულის თავიდან აცილება კი ხორციელდება სპეციალური და ზოგადი პრევენციის ფარგლებში, სადაც სპეციალური პრევენცია მიმართულია რეციდივის წინააღმდეგ, რათა დამნაშავეს მოესპოს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა ან მოხდეს მათი მინიმალიზება. ზოგადი პრევენცია კი გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველისათვის იმის დემონსტრირებას, თუ რა შეიძლება მათ ელოდეთ ანალოგიური ქმედების ჩადენის შემთხვევაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

13. სასამართლო ითვალისწინებს არასრულწლოვანთა განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობას, რომელიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, აგრეთვე იმ სპეციალიზებული დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებითა და შე-

საბამისი დოკუმენტებით, რომლებიც ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მუშაობენ.

14. საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს სამართლიანობის, რესოციალიზაციისა და პრევენციის მიზნებს, ჩადენილი დანაშაულის ინდივიდუალურ გარემოებებსა და დ. ზ-ს პიროვნულ მახასიათებლებს, ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, დანაშაულის ჩადენის ხერხს, ვითარებას, მის გავლენას დაზარალებულზე და მიზანშეწონილად მიაჩნია დ. ზ-სათვის საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, მაქსიმალური ხანგრძლივობით.

15. საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქცია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას თვრამეტ თვემდე ვადით, მაგრამ საქართველოს სსკ-ის 54-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 13 თვესა და 15 დღეს.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ზ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დ. ზ. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 13 თვითა და 15 დღით;

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. ზ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დ. ზ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული და-

ნაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 13 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დ. ზ-ს სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩათვალოს სასჯელის ვადაში და მისი მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 19 ოქტომბრიდან.

5. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა დანიშვნის წესი მიიმაართება როგორც ძირითად ისე დამატებით სასჯელაზრა

განაჩენი საქართველოს სახელით

№658აპ-23

16 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),

მ. გაბინაშვილი,

შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ძ-ს და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჩ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ზ. ძ-ე (პირადი ნომერი: ...) ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ი) 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, დიდი ოდენობით) და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის,

რაც გამოიხატა შემდეგში:

2021 წლის მარტში, ზ. ძ-მ განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა ქ. თ-ში მდებარე ამხანაგობის წევრების – მესაკუთრეებისა და ე.წ. „ატსტუპნიკების“ სარგებლობაში მყოფ უძრავ ქონებას – 100,32 კვ.მ ფართს. განზრახვის აღსრულების მიზნით, ზ. ძ-მ შექმნა ყალბი დოკუმენტი – კრების ოქმი, რომლის თანახმად, ამხანაგობა „ფ.“-ის ყველა წევრმა ერთად მიიღო გადაწყვეტილება 100,32 კვ.მ სარდაფის ზ. ძ-სთვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. აღნიშნულ კრებას, თითქოსდა, თავმჯდომარეობდა თავად ზ. ძ-ე. ზემოხსენებულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი ქ. თ-ში მდებარე – 100,32 კვ.მ ფართის სარდაფის ზ. ძ-სთვის კერძო საკუთრებად დარეგისტრირების თაობაზე, ამხანაგობის წევრების 100%-იანი თანხმობით, დამონებული იყო ნოტარიუსის მიერ. აღნიშნულის შემდგომ, 2021 წლის 30 მარტს, ზ. ძ-მ ... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ამხანაგობა „ფ-ს“ საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის/ფართის, თავის საკუთრებად დარეგისტრირების მოთხოვნით. კერძოდ, განაცხადს თან ახლდა ზემოხსენებული, ზ. ძ-ეს მიერ შექმნილი ყალბი დოკუმენტი – კრების ოქმი და ი/მ „გ...“ მიერ შესრულებული შიდა აზომვითი ნახაზი. ვინაიდან კრების თავმჯდომარისათვის იმავე კრების გადაწყვეტილებით უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა წარმოშობდა ინტერესთა კონფლიქტს და ამასთან, შიდა აზომვით ნახაზში არ იყო განსაზღვრული სართულებრივი გეგმა, სარეგისტრაციო წარმოების ვადის დინება შეჩერდა, არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

2021 წლის 5 აპრილს, წარმოების შეჩერების მიზეზის აღმოფხვრის მიზნით, ზ. ძ-მ ზემომითითებულ უძრავი ქონების სარეგისტრაციო განცხადებას დაურთო თავის მიერვე შექმნილი ყალბი დოკუმენტი – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფ-ს“ 2021 წლის 5 აპრილით დათარიღებული კრების ოქმი, ამჯერად, ყოფილი მეუღლის – მ. ნ-სთვის საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ, კრების მონაწილეთა 100%-იანი თანხმობით, აგრეთვე, 2018 წელს მ. ნ-ისაგან ფარულად დაუფლებული პირადობის დამადასტურებელი მონმობის ასლი.

მითითებული დოკუმენტის თანახმად, ამხანაგობის კრების თავმჯდომარე – ზ. ძ-ე (პირადი №...), თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ადასტურებდა, რომ ამხანაგობა „ფ-ს“ წევრები თანხმობას აცხადებდნენ, რომ იგივე ფართი – 100,32 კვ.მ, საკადასტრო კოდით – ..., საკუთრების უფლებით დასარეგისტრირებლად გადასცემოდა მოქალაქე მ. ნ-ს (პირადი №....). კრების ოქმზე არსებული ხელმოწერა დამონებული იყო ნოტარიუსის მიერ. ამჯერად, კრე-

ბის ოქმს თან ახლდა ტექნიკურიზაციის ბიუროში დაცული, უძრავი ქონების ნახაზის სკანირებული ვარიანტი, სადაც განსაზღვრული იყო სართულებრივი გეგმა. აღნიშნულ გეგმაზე, მონიშნული იყო 100,32 კვ.მ ფართი, რომლის მ. ნ-ს სახელზე დარეგისტრირებასაც ითხოვდა ზ. ძ-ე. 2021 წლის 20 აპრილს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ზემოხსენებულ უძრავ ნივთზე დარეგისტრირდა მ. ნ-ს საკუთრების უფლება. ზ. ძ-ეს დანაშაულებრივი განზრახვისა და მისი ქმედების შესახებ მ. ნ-სთვის არაფერი იყო ცნობილი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფ-ს“ წევრებმა მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ მათი კუთვნილი სარდაფები, რომელთა საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით უკვე მიმდინარეობდა საქმისწარმოება ადმინისტრაციულ სასამართლოსა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, დარეგისტრირებული იყო ამხანაგობის არაწევრ პირის – მ. ნ-ს სახელზე, ხოლო მას ფლობდა და მისით სარგებლობდა ზ. ძ-ე.

„ამდენად, ზ. ძ-ე, ყალბი დოკუმენტის შექმნითა და გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლა ამხანაგობა „ფ-ს“ წევრების – მესაკუთრე მ. ა-სთვის და „ატესტუნიკების“ ნ. და მ. მ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას – 100,32 კვ.მ სარდაფს საკადასტრო კოდით – ..., რითაც მ. ა-ს, ნ. და მ. მ-ეს მიაღდატა დიდი ოდენობით – 67909 ლარის მატერიალური ზიანი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის განაჩენით ზ. ძ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ ზ. ძ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის შესაბამისად, მას მოხდिल სასჯელად ჩაეთვალა პატიმრობის 75 დღე და მოსახდელად განესაზღვრა 6 წლით, 9 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 მაისის განაჩენით მისთვის შეფარდებული და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 28 იანვრის განჩინებით შემცირებული პირობითი მსჯავრი. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 მაისის განაჩენითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 28 იანვრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 მაისის განაჩენით დაკისრებული და მოუხდელი დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 4334,12 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ზ. ძ-ეს განესაზღვრა 6 წლით, 9 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4334,12 ლარი.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. ძველი თბილისის რაიონული პროკურორის პროკურორმა თამარ პაპავამ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა და ზ. ძ-სთვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრა, ხოლო მსჯავრდებულმა ზ. ძ-მ მოითხოვა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება და დანიშნული სასჯელის შემცირება.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის განაჩენით ბრალდებისა და დაცვის მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ზ. ძ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – კ. ჩ-მ. კასატორებმა მოითხოვეს ზ. ძ-ეს მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში გამამართლებელი განაჩენის დადგენა და მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელის შემცირება.

4. კასატორების არგუმენტები:

4.1. დაცვის მხარის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, რადგან სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა მსჯავ-

რდებულის მამის საკუთრებას და წლების განმავლობაში იმყოფებოდა მის მფლობელობაში.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ზ. ძ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში დამნაშავედ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უტყუარად დასტურდება ზ. ძ-ს მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედებების ჩადენა, კერძოდ:

5.3. სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით – მოწმეების: მ. ა-ს, ნ-ის, მ. მ-ის, მ. ტ-ის, გ. ნ-ის ჩვენებით დასტურდება, რომ ცხოვრობენ ქ. თ-ში. ზ. ძ-ე არასდროს ყოფილა მათი მეზობელი და ამხანაგობის წევრი. იგი ამ მისამართზე ფართს არ ფლობდა. სადავო სარდაფის მფლობელები და მესაკუთრეები არიან მ. ა-ი, ნ-ე და მ. მე, რომლებსაც ფართი გამიჯნული და დარეგისტრირებული არ ჰქონდათ, თუმცა თითოეულ მათგანს გააჩნდა ცალ-ცალკე შესასვლელი და იცოდნენ, თუ რა ნაწილი ეკუთვნოდათ. ისინი ცდილობდნენ, დაერეგისტრირებინათ მათ მფლობელობაში არსებული სარდაფები. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ 2021 წლის მარტში, ამხანაგობის ერთ-ერთი კრების დროს, ეზოში შევიდა მათთვის უცნობი მამაკაცი და განაცხადა, რომ სარდაფში ფლობდა ფართს, თუმცა, მისი განცხადება არასერიოზულად მიიჩნიეს. მას შემდეგ, რაც ამხანაგობის თავმჯდომარემ – მ. ტ-მ მიმართა საჯარო რეესტრის სარდაფების რეგისტრაციის თაობაზე, მათ შეიტყვეს, რომ სარდაფი რეგისტრირებული იყო მ. ნ-ს სახელზე, ხოლო შესაბამისი განცხადება და დოკუმენტაცია მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგინა ზ. ძ-მ.

5.4. საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება, რომ ზ. ძ-მ შექმნა და ნოტარიულად დაამოწმებინა 2021 წლის 30 მარტით დათარიღებული დოკუმენტი – კრების ოქმი, რომლის თანახმადაც, ამხანაგობა „ფ-ს“ ყველა წევრმა ერთხმად დაადასტურა 100,32 კვ.მ სარდაფის ზ. ძ-ს ინდივიდუალურ საკუთრებაში

არსებობის ფაქტი და გამოხატა თანხმობა ზ. ძ-ს მიერ აღნიშნულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დარეგისტრირების შესახებ. კრებას, თითქოსდა, თავმჯდომარეობდა ზ. ძ-ე.

5.5. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება იმ საფუძვლით, რომ კრების ოქმში მითითებული გარემოება – კრების გადაწყვეტილებით, კრების თავმჯდომარისათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საკითხი წარმოშობდა ინტერესთა კონფლიქტს, ასევე, შიდა აზომვით ნახაზში არ იყო განსაზღვრული სართულბრივი გეგმა.

5.6. აღნიშნულის შემდგომ ზ. ძ-მ კვლავ შექმნა და ნოტარიულად დაამოწმებინა 2021 წლის 5 აპრილით დათარიღებული დოკუმენტი – კრების ოქმი, რომლის თანახმადაც, ამხანაგობა „ფ-ს“ წევრებმა გამოხატეს თანხმობა 100,32 კვ.მ. სარდაფის, ამჯერად, მ. ნ-ს ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემის შესახებ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებით დგინდება, რომ სააგენტოს ქ-ში მდებარე ფართზე უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით წარედგინა ზ. ძ-ს განცხადება. საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ სწორედ ზ. ძ-ს მიერ წარდგენილი კრების ოქმის საფუძველზე, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ დარეგისტრირდა მ. ნ-ე. ამ უკანასკნელის გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) დასტურდება, რომ იგი ზ. ძ-სთან წარსულში იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში. 2021 წლის 30 მარტისა და 5 აპრილის კრების ოქმების სიყალბე დადასტურებულია გრაფიკული ექსპერტიზის №.... დასკვნით, რომლითაც დგინდება, რომ ოქმებზე არსებული ხელნაწერები და ზ. ძ-ეს გვართ არსებული ხელმოწერები შესრულებულია ზ. ძ-ეს მიერ.

5.7. სასაქონლო ექსპერტიზის №..../ს დასკვნის თანახმად, წარდგენილი სარდაფის საკადასტრო კოდით: ... საბაზრო ღირებულება დღეის (08.09.2021) მდგომარეობით შეადგენს 62429 ლარს, ხოლო 2021 წლის 30 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენდა 67909 ლარს.

5.8. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორების პოზიციას სადავო უძრავი ქონების მსჯავრდებულის ოჯახის მფლობელობაში არსებობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები საპირისპიროს მეტყველებს. კერძოდ, ზ. ძ-ეს ყოფილი მეუღლის – მონმე მ. ნ-ს გამოკითხვის ოქმის (უდავო მტკიცებულება) თანახმად, ის, არც ზ. ძ-სგან და არც მისი მამამთილისგან, არ ფლობს ინფორმაციას ფ-ს ქუჩაზე რაიმე ფართის ქონის შესახებ. ამავე მისამართზე ხანგრძლივად მცხოვრები მონ-

მეებიც არ ადასტურებენ, რომ იცნობდნენ ზ. ძ-ის მამას და ამ უკანასკნელს სადავო სარდაფის ტერიტორიაზე ჰქონდა მალაზია. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ქ. თ-ში მდებარე 100,32 კვ.მ ფართის სარდაფი წარმოადგენდა ამხანაგობა „ფ-ს“ წევრების – მ. ა-ის, ნ. და მ. მ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ ზ. ძ-ს რაიმე კავშირი გააჩნდა სადავო უძრავ ქონებასთან, რის გამოც, კასატორების არგუმენტი მსჯავრდებულის უდანაშაულობის შესახებ მოკლებულია საფუძველს.

5.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა. გასაჩივრებული განაჩენი ეფუძნება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედებების ჩადენას.

5.10. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულისთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრის ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.11. სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ ზ. ძ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 28 მაისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე, დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა – 5000 ლარი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 28 იანვრის განჩინების საფუძველზე, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის შესაბამისად, ზ. ძ-ს გაუნახევრდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ მოსახდელი დარჩა 2 წლით თავისუფლების აღკვე-

თა, რაც ჩაეთვალა პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

5.12. სააპელაციო სასამართლომ, გასაჩივრებულ განაჩენში, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის პრინციპი და ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 28 მაისის განაჩენითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 28 იანვრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელი – პირობითად ჩათვლილი 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 მაისის განაჩენით დაკისრებული და მოუხდელი დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 4334,12 ლარი.

5.13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილი იძლევა განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა ნაწილობრივ შეკრების შესაძლებლობას, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან არ იკვეთება, რომ საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას მოსამართლემ სასჯელის ნაწილობრივი შეკრების პრინციპით იხელმძღვანელა. ამკარაა, რომ ძირითად სასჯელთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სასჯელთა შთანთქმის წესი, ხოლო დამატებით სასჯელთან მიმართებით – შეკრების.

5.14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლით დადგენილი დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა დანიშვნის წესი მიემართება როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელებს (მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ოქტომბერი 642აპ-21 განაჩენი). შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ ხელმძღვანელობს სასჯელთა ნაწილობრივ ან სრულად შეკრების წესით და მიზანშეწონილად მიიჩნევს სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებას, ეს უკანასკნელი უნდა გაავრცელოს როგორც ძირითადი, ისე – დამატებითი სასჯელის მიმართ.

5.15. ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, ზ. ძ-სთვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის საბოლოოდ დანიშნულმა სასჯელმა – 6 წლით, 9 თვითა და 15

დღით თავისუფლების აღკვეთამ უნდა შთანთქას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 28 მაისის განაჩენით დამატებით სასჯელად შეფარდებული და მოუხდელი ჯარიმა – 4334,12 ლარი, აგრეთვე, ამავე განაჩენითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 28 იანვრის განჩინებით განსაზღვრული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ზ. ძ-ს და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – კ. ჩ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. ზ. ძ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლით;

4. ზ. ძ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით ზ. ძ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2022 წლის 12 აპრილის კანონის საფუძველზე, ზ. ძ-ს მოხდელ სასჯელში ჩათვალოს პატიმრობის 75 დღე და მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 9 თვითა და 15 დღით;

6. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველ-

ზე, გაუქმდეს ზ. ძ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 28 მაისის განაჩენითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 28 იანვრის განჩინებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი;

7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 28 მაისის განაჩენით დამატებით სასჯელად შეფარდებული და მოუხდელი ჯარიმა – 4334,12 ლარი, აგრეთვე, ამავე განაჩენითა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2021 წლის 28 იანვრის განჩინებით განსაზღვრული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ზ. ძ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, 9 თვითა და 15 დღით;

8. ზ. ძ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია. ზ. ძ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 12 აგვისტოდან;

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 მარტის განაჩენი ნივთიერი მტკიცებულებების საკითხის გადაწყვეტის ნაწილში დარჩეს უცვლელად;

10. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მკაცრი სასჯელის მიერ ერთი სასჯელის შთანთქმა,
ხოლო მეორის ნაწილობრივი ან მთლიანად დამატება
არ შეეხება მათ საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსის 59-ე მუხლის შინაარსს**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№662აპ-23

15 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ მიხეილ ბერიაშვილის, ასევე მსჯავრდებულ შ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით:

1.1. შ. გ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებათა:

1.1.1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით;

1.1.2. ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისა) და საბრძოლო მასალის (გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისა) მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით;

1.1.3. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით;

1.1.4. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, ჩადენილი დიდი ოდენობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

1.2. გ. ზ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებათა დანა-

შაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია მძიმე დანაშაული, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით შ. გ-სა და ვ. ზ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. შ. გ-მ დაუდგენელ დროს, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა, შეინახა და 2021 წლის 3 ივნისს, დაახლოებით 20:15 საათზე, გ-ში, ს-ს ქუჩა №...ის მიმდებარედ მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა სროლისათვის ვარგის ცეცხლსასროლ იარაღსა და მისთვის განკუთვნილ ვაზნებს;

2.2. ამავე დღეს, გ-ში, ს-ს ქუჩა №...ის მახლობლად, კ. კ-ს კუთვნილი მშენებარე ავტოსახელოსნოს მიმდებარე ტერიტორიაზე შ. გ-მ, შურისძიების მოტივით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ზ. რ-ს მარცხენა მუხლის სახსრის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. ზ. რ. მიყენებული დაზიანების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

2.3. შ. გ-მ დაუდგენელ დროს უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით – 0,4339 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რაც 2021 წლის 29 ივნისს, დღის საათებში, გ-ში, ბ. და ა. ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ ამოიღეს მისი პირადი ჩხრეკის შედეგად.

2.4. შ. გ-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვა-ტარებისა და ზ. რ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტს შეესწრო ვ. ზ., რომელმაც ნამდვილად იცოდა, რომ შ. გ-მ ჩაიდინა მძიმე დანაშაულები, მაგრამ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს.

3. გორის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის განაჩენით:

3.1. შ. გ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

3.2. შ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.2.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით, მასვე 5 წლით ჩამოერთვა იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების უფლება;

3.2.2. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

3.2.3. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

3.2.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნულმა სასჯელ-

მა – თავისუფლების აღკვეთამ 7 წლით, შთანთქა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელიდან დაემატა –2 წელი და შ. გ-ს საბოლოოდ განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით, რომელიც აეთვალება დაკავების დღიდან – 2021 წლის 29 ივნისიდან;

3.2.5. შ. გ-ს 5 წლით ჩამოერთვა იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების უფლება;

3.3. ვ. ზ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, რომელიც აეთვალება დაკავების დღიდან – 2021 წლის 12 ივლისიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

4.1. შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა მიხეილ ბერიაშვილმა მოითხოვა შ. გ-ს დამნაშავედ ცნობა, როგორც საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; ხოლო მსჯავრდებულ ვ. ზ-ს მიმართ სასჯელის გამკაცრება, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით განსაზღვრულ მაქსიმალურ ხანგრძლივობასთან მიახლოებული ხანგრძლივობით შეფარდება;

4.2. შ. გ-სა და ვ. ზ-ს ადვოკატმა ჯ. კ-მ მოითხოვა მსჯავრდებულების სრულად გამართლება.

4.3. დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინა პროკურორმა მიხეილ ბერიაშვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება შ. გ-ს და ვ. ზ-ს მსჯავრდების ნაწილში, ასევე – შ. გ-ს სასჯელის ნაწილში.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 აპრილის განაჩენით:

5.1. გორის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის განაჩენი მსჯავრდებულების – შ. გ-სა და ვ. ზ-ს მიმართ, კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში, დარჩა უცვლელად;

5.2. ამავე განაჩენში შევიდა ცვლილება ნივთიერი მტკიცებულების ნაწილში, კერძოდ: საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებული „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანა, სახ. №..., უნდა დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს, ან მისი სათანადო ნდობით აღჭურვილ პირს; შ. გ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფული, სიგარეტის კოლოფი და ლერები – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს; ცელოფნები, ნარკო-

ტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი აბები – განადგურდეს, ხოლო დანარჩენი ნივთიერი მტკიცებულებების საკითხი გადაწყდეს ამ საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა მიხეილ ბერიაშვილმა და მსჯავრდებულ შ. გ-ს ადვოკატმა გ. მ-მ;

6.1. ბრალდების მხარე ითხოვს შ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დამნაშავედ ცნობას, ხოლო ვ. ზ-ს მიმართ სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით განსაზღვრულ მაქსიმალურ ხანგრძლივობასთან მიხედვით ხანგრძლივობით შეფარდებას;

6.2. ადვოკატი გ. მ. ითხოვს შ. გ-ს სრულად უდანაშაულოდ ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., *Gorou v. Greece (No.2)* no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს: პროკურორმა, რომელიც ითხოვს მსჯავრდებულ შ. გ-ს დამნაშავედ ცნობას, მათ შორის, ბრალად წარდგენილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (რაშიც იგი გამართლებულია), ასევე მსჯავრდებულ ვ. ზ-ის მიმართ სასჯელის გამკაცრებას, ხოლო დაცვის მხარე – შ. გ-ს სრულად უდანაშაულოდ

ცნობას.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ მიხეილ ბერიაშვილისა და მსჯავრდებულ შ. გ-ს ადვოკატის გ. მ-ის საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, შ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის დანიშვნის ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის მოტივაციას შ. გ-ს მსჯავრდების ნაწილში, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის, შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ვიდეო სათვალთვალო კამერების ჩანაწერებით, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩანერის შედეგად მოპოვებული მასალებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებით, ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება შ. გ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას შ. გ-ს უდანაშაულობისა და იმის შესახებ, რომ იგი შემთხვევის დროს არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე.

5. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას მტკიცებულების, მათ შორის, მასრებისა და ლითონის საგნების, ფალსიფიკაციის შესახებ.

5.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების 2021 წლის 3 ივნისის ოქმის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს სამი სავარაუდოდ მასრა, რომელიც ცალ-ცალკე დაილუქა პაკეტებში – F... (პაკეტი №9), F... (პაკეტი №17), F... (პაკეტი №18), ასევე – სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ვაზნის შემადგენელი ნაწილი – ლითონის ორი საგანი, რომლებიც ასევე ცალ-ცალკე დაილუქა პაკეტებში – F... (პაკეტი №21), F... (პაკეტი №22).

5.1.1. აღნიშნული ოქმის თანახმად, ოქმი შედგენილია დეტექტივ-გამომძიებელ – ლ. ი-ს მიერ, დათვალიერება ჩატარდა მოწმე-

ების – კ. კ-ს, გ. პ-ს, დ. ბ-ს, ი. ე-ს, ექსპერტების – ი. მ-ს, ბ. პ-ს, ვ. ა-ს მონაწილეობით, ღამის საათებში, ხელოვნური განათების პირობებში. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ოქმის ბოლოში სხვადასხვა გრაფებში დაფიქსირებულია ყველა დასახელებული პირის სახელითა და გვარით შესრულებული ხელმოწერა (საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირთა ხელმოწერის გრაფაში არ არის მითითებული მონმე კ. კ-ს ხელმოწერა, თუმცა იმავე გვერდზე ფიქსირდება მისი ხელმოწერა ორ სხვადასხვა ადგილას: შენიშვნა/შესწორებისა და ოქმის ასლის მიმღები პირის გრაფებში). ამასთან, ოქმში დაფიქსირებულია, მათ შორის, კ. კ-ს ხელმოწერით, რომ შენიშვნა ან განცხადება არ გაკეთებულა.

5.2. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2021 წლის 2 ივლისის დაქტილოსკოპიური დასკვნის თანახმად, ექსპერტიზა ჩაატარა უფროსმა ექსპერტმა – ქ. პ-მ. ექსპერტიზაზე წარდგენილია 5 ცალი – F...; F...; F...; F...; F... პაკეტი. პაკეტების შეფუთვისა და დალუქვის მთლიანობა დარღვეული არ არის. პაკეტების გახსნას ესწრებოდა ბიოლოგიური ექსპერტიზის განყოფილების მთავარი ექსპერტი – ნ. გ. და ბალისტიკური ექსპერტიზის განყოფილების მთავარი ექსპერტი – გ. კ.

5.2.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ აღნიშნული დასკვნის კვლევითი ნაწილისა და დასკვნაზე თანდართული ფოტოცხრილის თანახმად, აღნიშნულ პაკეტებზე იკითხება ხელნაწერი ტექსტი: „ლ. ი., ი. მ., ბ. პ., ვ. ა.“.

5.3. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2021 წლის 5 ივლისის ბალისტიკური დასკვნის თანახმად, სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა ჩაატარა მთავარმა ექსპერტმა გ. კ-მ. გამოკვლევაზე წარედგინა დადგენილება 2 ფურცლად, გამოსაკვლევი ობიექტები 5 ფუთად დალუქული: F...; F...; F...; F...; F... საკვლევი ობიექტები გაიხსნა მთავარი ექსპერტების: ქ. პ-ს და ნ. გ-ს თანდასწრებით. ლუქის მთლიანობა დარღვეული არ ყოფილა.

6. სასამართლო სხდომაზე დეტექტივ-გამომძიებელმა ლ. ი-მ განმარტა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს მასრები და ლითონის საგნები, რომლებიც შემდგომში ექსპერტიზის დასკვნის თანახმად აღმოჩნდა გულარი. მონმემ დაადასტურა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნანახი მასრები და ლითონის საგნები ექსპერტებმა დალუქეს ცალ-ცალკე. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის ბიუროში ლუქები იქნებოდა დარღვეული, აღნიშნული აუცილებლად მიეთითებოდა ექსპერტიზის დასკვნაში. მონმემ ასევე დაადასტურა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა და შე-

საბამის ოქმებზე მისი ხელმოწერები.

7. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში შ. გ-ს უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და ითვალისწინებს, რომ პროკურორის პოზიცია შ. გ-ს მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვასთან დაკავშირებით არის მხოლოდ ვარაუდი. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმეში უნდა არსებობდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალეფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით.

7.1. მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებლების ჩვენებებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, შ. გ-ს პირადი ჩხრეკისას მისი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს, „პარლამენტის“ ფირმის სიგარეტის კოლოფი, რომელშიც მოთავსებული იყო, მათ შორის, შავ პოლიეთილენის პაკეტში (ცელოფანში) შეფუთული მომწვანო-მოყავისფრო ფერის ფხვნილი, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის 2021 წლის 30 ივნისის №2....ქრ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ შემცველ ნარევს, რომელშიც „ჰეროინის“ რაოდენობაა – 0,4339 გრამი, ხოლო ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის 2021 წლის 29 დეკემბრის №... დასკვნის თანახმად, პოლიეთილენის პაკეტიდან აღებულ ანაწმენდებზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილები შერეულია, რომელთა მაჟორული წილი ეკუთვნის შ. გ-ს, საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ ამოღების 2021 წლის 29 ივნისის ოქმის თანახმად, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის შენობაში, შ. გ-საგან

ამოიღეს მისი კუთვნილი ტანსაცმელი, მათ შორის, შავი ფერის სპორტული შარვალი, წინა მხარეს ორი ჯიბით (წინა მარცხენა ჯიბესთან საფირმო ნიშნით, უკანა მარჯვენა მხარეს საფირმო ნიშნით „EA 7 EMPORIO ARMANI“, შარვალს წელის არეში გაყრილი აქვს მოლურჯო ფერის ზონარი), რომელსაც ტრასოლოგიური ექსპერტიზის 2022 წლის 24 თებერვლის №... დასკვნის თანახმად, ორივე ჯიბის სარჩულზე აღენიშნება მექანიკური (შესაძლო ფიზიკური) ძალის ზემოქმედების შედეგად, ხევიტ განვითარებული დაზიანებები – მინუს მასალით. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სასამართლო სხდომაზე ასევე დათვალიერდა აღნიშნული შარვალი და დადგინდა, რომ მისი ორივე ჯიბის სარჩული დარღვეულია იმგვარად, რომ იქ შეუძლებელია რაიმეს მოთავსება.

7.2. საკასაციო სასამართლო დაცვის მხარის პოზიციის (შ. გ-ს პირადი ჩხრეკისას არ ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება და მან შარვალს ჯერ კიდევ პირად ჩხრეკამდე დაუზიანა ჯიბეები, ვინაიდან მოლოდინი ჰქონდა, რომ კანონსაწინააღმდეგო ნივთს ჩაუდებდნენ) გათვალისწინებით და სათანადო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში ვერ გაიზიარებს კასატორი ბრალდების მხარის პოზიციას, რომ შ. გ-ს პირადი ჩხრეკის ადგილას ვიდუოკამერები არ ფუნქციონირებდა – არ იყო ჩართული; ჩხრეკის ადგილზე მისვლამდე პოლიციის თანამშრომლებს რამდენიმე პირმა უარი უთხრა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობაზე, ხოლო უშუალოდ ადგილზე სხვა ადამიანები არ იმყოფებოდნენ; პოლიციელებმა დამაჯერებლად დაასაბუთეს, თავად რატომ ვერ მოახერხეს ჩხრეკის ვიდუოფიქსაცია (მობილური ტელეფონი სიჩქარის გამო სამსახურში დარჩა); შ. გ-მ შარვალი შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში, საპირფარეშოში ან/და ტანსაცმლის გამოსაცვლელად იზოლირებულ ოთახში მარტო შესვლისას დახია, უშუალოდ ჩხრეკის დროს სადავო შარვლის ჯიბეები დაზიანებული არ იყო.

7.3. ბრალდების მხარის აღნიშნულ ვერსიასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე დართულ ფოტოილუსტრაციასაც და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე.

8. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაცვისა და ბრალდების მხარეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 აპრილის განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ შ. გ-ს მიმართ შეფარდებული სასჯელის ნაწილში, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენით შ. გ-ს მსჯავრად შერაცხული თითოეული დანაშაულისათ-

ვის განესაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილთა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია).

9. ამასთან, გასაჩივრებული განაჩენის თანახმად: „საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა – 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმოს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელიდან დაემატოს 2 (ორი) წელი, რის შედეგად, შ. გ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ვადის ათვლა დაეწეოს დაკავების დღიდან – 2021 წლის 29 ივნისიდან; აგრეთვე, მსჯავრდებულ შ. გ-ს 5 (ხუთი) წლით ჩამოერთვას იარაღის შეძენა, შენახვა, ტარების უფლება“.

10. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე (დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს) საბოლოო სასჯელის განსაზღვრის ნაწილში, შემდეგ გარემოებათა გამო:

10.1. საქართველოს 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება.

10.2. ამდენად, ხსენებული ნორმა ეხება დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნის წესს. აღნიშნული მუხლის სისტემური, ტელეოლოგიური და გრამატიკული განმარტებიდან გამომდინარე, იგი მოიცავს მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრის შთანთქმას ან (ანდა) შეფარდებული სასჯელების ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრებას. შესაბამისად, განმარტება, რომლის თანახმად, შესაძლებელია მკაცრი სასჯელის მიერ ერთი სასჯელის შთანთქმა, ხოლო მეორის ნაწილობრივ ან მთლიანად დამატება, არ შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შინაარსს.

10.3. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს 59-ე მუხლის მე-3

ნაწილი დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას იძლევა სასჯელის შთანთქმის ან ნაწილობრივ ან მთლიანად შეკრების შესაძლებლობას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა, როგორც შთანთქმის, ასევე შეკრების წესი ერთდროულად; საქართველოს სსკ-ის 308-ე მუხლის პირველი ნაწილი საკასაციო სასამართლოს უკრძალავს საქართველოს სსკ-ის უფრო მკაცრი მუხლის გამოყენებას, უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას ან მსჯავრდებულისათვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილების მიღებას, როდესაც ბრალდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია, – ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს ამ ნაწილში არ გაუსაჩივრებია გორის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 აპრილის განაჩენები – გამოყენებულ უნდა იქნეს სასჯელთა შთანთქმის პრინციპი.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 7 წლით უნდა შთანთქმას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ შ. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 7 წლით. მასვე, 5 წლით უნდა ჩამოერთვა იარაღის შეძენა, შენახვა, ტარების უფლება.

12. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორი ბრალდების მხარის მოთხოვნას ვ. ზ-ის მიმართ სასჯელის გამკაცრების შესახებ, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით განსაზღვრულ მაქსიმალურ ხანგრძლივობასთან მიხედვით ზომით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განა-

პირობებს.

12.1. საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას ორიდან ექვს წლამდე ვადით. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით ვ. ზ-ს განუსაზღვრა სასჯელი იმ ზომით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსაგლდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) და შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში; ბრალდების მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმება.

12.2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ სასჯელის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ გარემოებებს, საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ მიხეილ ბერი-აშვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. მსჯავრდებულ შ. გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. მ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 27 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3.1. შ. გ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

3.2. შ. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

3.2.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2022 წლის 21 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით; მასვე, 5 წლით ჩამოერთვას იარაღის შეძენა, შენახვისა და ტარების უფლება;

3.2.2. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

3.2.3. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

3.2.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2022 წლის 21 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნულმა სასჯელმა – თავისუფლების აღკვეთამ 7 წლით, შთანთქმას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელები და შ. გ-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 7 წლით; მასვე, 5 წლით ჩამოერთვას იარაღის შეძენა, შენახვისა და ტარების უფლება;

3.2.5. შ. გ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი აეთვალოს დაკავების დღიდან – 2021 წლის 29 ივნისიდან;

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიცირება დამნაშაულისათვის
წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებიდან (სსკ-ის
117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) აუცილებელი
მოპირიების ფარგლების გადაცილებით ჯანმრთელობის
მძიმე დაზიანებაზე (სსკ-ის 122-ე მუხლი)

განაჩენი
საქართველოს სახელით

№722აპ-23

27 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

შ. თადუმაძე (თავმჯდომარე),
ლ. თევზაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ვაკე-საბურთა-
ლოს რაიონული პროკურატურის პროკურორ როინ ხინთიბიძის სა-
კასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განაჩენზე.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი:

1.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის
განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყო-
ფილდა და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022
წლის 6 ივნისის განაჩენი. ნ. ბ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გა-
მართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომ-
ში – საქართველოს სსკ) 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-
ქტითა და საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ა“ ქვე-
პუნქტით წარდგენილ ბრალდებებში.

1.2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ნ. ბ.-ს
ბრალად ედება, რომ ჩაიდინა:

ა) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ესე იგი სხეულის
დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ჩადენილი
დამნაშაულისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ;

ბ) ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

1.3. ნ. ბ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება გამოიხატა შემდეგით:

ა) 2020 წლის 3 თებერვალს, დაახლოებით 21:00 საათზე, ნ. ბ-ი იმყოფებოდა თ-ი, დ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვან ნ. კ-ეს დანის გამოყენებით წელის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის საშიფათო სხეულის დაზიანება;

ბ) 2020 წლის 3 თებერვალს, დაახლოებით 21:00 საათზე, ნ. ბ-მა თ-ი, დ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნისას, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვან ნ. ა-ს მიმართ იძალადა. კერძოდ, ამ უკანასკნელს მუშტი დაარტყა სახის არეში. ნ. ბ-ის აღნიშნულმა ქმედებამ ნ. ა-ს ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

2. საკასაციო საჩივრები:

2.1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორატის პროკურორმა – როინ ხინთიბიძემ – საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის განაჩენის გაუქმება და ნ.- ბ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისთვის.

3. კასატორის არგუმენტები:

3.1. ბრალდების მხარის განმარტებით, ნ. ბ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდებების დასადასტურებლად საქმეში მოიპოვება არაერთი პირდაპირი მტკიცებულება, მათ შორის, მოწმეთა და თავად ნ. ბ-ს ჩვენებები, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე უტყუარად დასტურდება, რომ ამ უკანასკნელმა, ერთი მხრივ, ხელი დაარტყა ნ. ა-ს სახის არეში, ხოლო, მეორე მხრივ, სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა ნ. კ-ს.

4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

4.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოად-

გენს თ-ში, დ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ნ. ბ-ს, დაზარალებულებსა და მათ თანმხლებ პირებს შორის ფიზიკური დაპირისპირება, რა დროსაც ნ. ა-ს მიმართ სახის არეში ხელის დარტყმით იძალადეს, ხოლო ნ. კ-მ მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება წელის მარცხენა ნახევარში, ნაკვეთი ჭრილობის სახით. სადავოა აღნიშნულ ქმედებათა ჩადენა ნ. ბ-ს მიერ. შესაბამისად, სასამართლო ნ. ბ-ს ბრალეულობის ირგვლივ ცალ-ცალკე და ეტაპობრივად მიმოიხილავს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, შედეგად, დაადგენს ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივად შეაფასებს მათ.

საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება (დაზარალებულ ნ. კ-ს ეპიზოდი)

4.3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, მითითებულ ეპიზოდთან მიმართებით, წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, მათ შორის, კონფლიქტის მონაწილე დაპირისპირებულ მხარეთა ჩვენებები, კერძოდ: დაზარალებულის, მოწმეთა და თავად ნ. ბ-ს ჩვენებები, რომელთა ანალიზი ადასტურებს ნ. კ-სა და ნ. ბ-ს შორის ფიზიკური დაპირისპირების არსებობას. ბრალდებული თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ თავდაცვის მიზნით იქნევდა დანას; გაიგონა სიტყვები: „დაჭრილი ვარ“. სწორედ ამ დროს მიხვდა, რომ ვიღაც დაიჭრა. ფაქტზე, რომ ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილის დაჭრა ნამდვილად ნ. ბ-ს მიერ დანის მოქნევის შედეგი იყო, მისივე ჩვენება მიუთითებს. სასამართლოს წინაშე ნ. ბ-მ გარკვევით განმარტა, რომ შემთხვევის ადგილზე დანა არავის ხელში შეუნიშნავს, დაკითხვის დასასრულს კი გამოხატა სინანული ჩადენილი ქმედების გამო.

4.4. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს გ. ჩ-ს ჩვენებასა და მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს. აღნიშნულმა მოწმემ ჩვენების მიცემისას დაადასტურა გამოკითხვის ოქმში დაფიქსირებული ინფორმაცია (ნ-ს მიერ ნ. კ-სთვის ხელის მოქნევა), რის შემდეგაც ეს უკანასკნელი დაეცა და დაიძახა, დამჭრესო. მოწმემ მსგავსად აღნიშნა საგამოძიებო ექსპერიმენტის პირობებშიც, რა დროსაც დამატებით მიუთითა დანაშაულის ჩადენის ადგილზე. მართალია, მოწმის ჩვენება და მისი ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, წყაროს იდენტურობიდან გამომდინარე, განიხილება ერთ მტკიცებულებად (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 16 დეკემბრის №657აპ-21 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 6), თუმცა განსახილველ შემთხვევაში საგამოძიებო ექსპერიმენ-

ტის ოქმი, მოწმის ჩვენების მაღალი სანდოობის მხრივ მნიშვნელოვანია, რადგან მოწმე ნებაყოფლობით, ყოველგვარი დაშინებისა და იძულების გარეშე, ერთსა და იმავეს აცხადებდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების პირობებში, რომლის სისწორეც აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე მისივე მშობლის ხელმონერითაც დასტურდება.

4.5. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან მნიშვნელოვანია ი. დ-ს მონაწილეობით ჩატარებული ამოცნობის ოქმიც, რითაც დასტურდება, რომ ორმხრივი ჩხუბის დროს ნ. ბ-მ მისთვის უცნობ პირს დაარტყა რალაც საგანი, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი მიწაზე დაეცა. აქვე, გასათვალისწინებელია შემთხვევის ადგილზე მყოფი, სხვა მოწმეთა ერთმნიშვნელოვანი განმარტება, რომ ორმხრივი ჩხუბის დროს მხოლოდ ნ. კ. დაიჭრა.

4.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო დასკვნის სახით აღნიშნავს: განსახილველი სისხლის სამართლის საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ცალკეული ინფორმაციის მეშვეობით ჩადენილი ქმედების რეკონსტრუქცია. ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს ცალკეულ მტკიცებულებებში ამა თუ იმ არსებითი ხასიათის დეტალებს, რომელიც თანხედენილი უნდა იყოს სხვა მტკიცებულებების ასეთივე დეტალებთან, რომლებიც შექმნიან ერთიან და მთლიან სურათს პირის მიერ დანაშაულის უტყუარად ჩადენის შესახებ. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ მოწმეთაგან, გ. ჩ-ს, ი. დ-ს და თავად ნ. ბ-ს ჩვენებები, აგრეთვე, მათი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი ოქმები, ერთობლიობაში იძლევა ქმედების ჩამდენი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. აღნიშნული პირი ნ. ბ-ა.

4.7. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დანაშაულის სრულყოფილ შემადგენლობას ქმნის საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა. შესაბამისად, პირის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ქმედების დადასტურება, არამედ აუცილებელია, დადგინდეს ჩადენილი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა და ბრალეულობა.

4.8. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა შეამოწმებს ნ. ბ-სთვის წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობას, კერძოდ, ქმედების ჩადენისას ხომ არ იმყოფებოდა იგი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ანდა მან ქმედება ხომ არ ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებებით ეს რომელიმე გარემოება არ გამოირიცხება.

4.9. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, ნ. ბ-სა და მისი თანმხლები პირების ჩვენებებით (სხვა მონმეტა ჩვენებები გამოირჩეოდა ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათით ან მითითებულ საკითხთან დაკავშირებით არაინფორმატიული იყო) უტყუარად დასტურდება, რომ ორმხრივი ჩხუბის დროს ნ. ბ-ს ერთდროულად რამდენიმე ბიჭი ურტყამდა. ნ. ბ-სთვის მიყენებული დაზიანებების დასტურია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც.

4.10. სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლს, რომლის თანახმადაც: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმოყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.“ ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი: „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.“

4.11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებულია: „პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, ხელყოფა იმნუთიერი და რეალურია, ხოლო მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედება კი უკიდურესობით გამოწვეული მოქმედებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ხელყოფის მოგერიებისთვის და წარმოადგენს შედარებით მსუბუქ თავდაცვის საშუალებას. მართალია, აუცილებელი მოგერიების დროს არ არსებობს სამართლებრივ სიკეთეთა შესაბამისობის მოთხოვნა, მაგრამ თავდაცვა არ არის მართლზომიერი სამართლებრივ სიკეთეთა აშკარა შეუსაბამობის დროს. არ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით. ამასთანავე, უნდა დადგინდეს მომგერიებლის სუბიექტური დამოკიდებულება, კერძოდ, მოგერიება უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული.“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის №593პ-15 განჩინება, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4).

4.12. ამდენად, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:

- ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო;
- ხელყოფა უნდა იყოს იმნუთიერი და რეალური;

- ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური, ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი;

- ხელყოფის მოგერიება უნდა იყოს სუბიექტურად სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული.

4.13. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ნ. ბ.-ს და მისი თანმხლები პირების ჩვენებები უტყუარი დასტურია, რომ ნ. ბ.-ზე განხორციელებული თავდასხმა იყო მართლსაწინააღმდეგო, იმნუთიერი, რეალური და რელევანტური, რა დროსაც ნ. ბ. სუბიექტურად მოქმედებდა თავდაცვის სურვილით.

4.14. საკასაციო სასამართლო მომდევნო ეტაპზე განსაზღვრავს დაცვის მართლზომიერების ფარგლებს და განმარტავს, რომ ნ. ბ.-ს ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების გამომწვევი კრიტერიუმის დადგენა. საქართველოს სსკ-ი ასეთ კრიტერიუმად მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მიიჩნევს, მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

4.15. საკითხის შესწავლისას – გადააცილა თუ არა ნ. ბ.-მ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს – საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებას: თავდასხმის მომენტში ნ. ბ.-ს გარდა, დანა, სხვა ბასრი ან მეტად საშიშროების შემცველი იარაღი არავის ჰქონია. აღნიშნული ფაქტის შესახებ არაერთმა მოწმემ, მათ შორის, თავად ნ. ბ.-მაც განაცხადა. გასათვალისწინებელია საქმეში არსებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებიც, რომელიც, ერთი მხრივ, ნ. ბ.-სთვის მიყენებული დაზიანებების მსუბუქ ხარისხზე მიუთითებს, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. კ.-სთვის მიყენებულ დაზიანებებს სიცოცხლისთვის სახიფათოდ აფასებს.

4.16. საკასაციო სასამართლო თავდასხმის დროს ნ. ბ.-ს მხრიდან ცივი იარაღის გამოყენებას, იმ პირობებში, როდესაც ჩხუბში მონაწილე არცერთ პირს ჰქონია მსგავსი ან მეტად საშიშროების შემცველი იარაღი, მიიჩნევს აშკარად შეუსაბამოდ ხელყოფის ხასიათთან და საშიშროებასთან (არათანაზომიერი მოგერიება). ასეთ პირობებში შესაბამისი სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს ნ. ბ.-ს მიერ ჩადენილ დანაშაულს.

4.17. საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის დაწესებული აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის. ხელყოფისგან დაცვის განმახორციელებელს გაცნობიერებული აქვს, რომ მის მიერ გამოყენებული საშუალება აშკარად არ შეესაბამება ხელყოფის საშიშროებას ან ხასიათს და ამასთან, ითვალისწინებს, რომ ამას შესაძლოა მოჰყვეს რომელიმე მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც არ სურს, მაგრამ

შეგნებულად უშვებს მის დადგომას, რადგან მისი მიზანია თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვა.

4.18. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ნ. ბ. იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, თუმცა მიაჩნია, რომ მის მიერ გამოყენებული საშუალება აშკარად შეუსაბამო იყო თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, რადგან დარღვეული იყო თავდასხმისა და თავდაცვის პროპორციულობა, ინტერესთა თანაფარდობა და მოგერიებისას გამოყენებული ძალის საჭიროება. შესაბამისად, თვალსაჩინოა, რომ ნ. ბ-ს ქმედება შეიცავს საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

4.19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მოთხოვნას ნ. ბ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით დაკვალიფიცირების ნაწილში, თუმცა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის გამამართლებელი განაჩენი და ნ. ბ-ს მიმართ ბრალად წარდგენილი მუხლი, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე.

საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება (დაზარალებულ ნ. ა-ს ეპიზოდი)

4.20. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებების (მოწმეების: გ. ჩ-ს, ი. დ-ს, ჯ. ჯ-ს და თავად ნ. ბ-ს ჩვენებები, აგრეთვე გ. ჩ-ს საგამოძიებო ექსპერიმენტის ამსახველი ოქმი) ცალკეული დეტალების ურთიერთშეჯერების შედეგად, უტყუარად დასტურდება, რომ შემთხვევის დღეს მიმდინარე ორმხრივი ჩხუბის დროს ნ. ა-ს ხელი ნ. ბ-მ დაარტყა. მითითებული მტკიცებულებების საწინააღმდეგოა ნ. ა-ს ჩვენება, რასაც სხვა მტკიცებულებებთან არათანხვდენილი ხასიათის გამო, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს.

4.21. კანონმდებლის მიერ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით კრიმინალიზებულია ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ცემა გამოიხატება დაზარალებულის სხეულზე არაერთ დარტყმაში, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია, გამოიწვიოს სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევა (ნაკანრები, სისხლნაჟღენთები, ზედაპირული დაჟეჟილობანი, მცირე ჭრილობები), თუმცა შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური ტკივილითაც გა-

მოიხატოს. დარტყმების რაოდენობა/ინტენსივობა განასხვავებს ცემას სხვაგვარი ძალადობისგან, რომელიც გამოიხატება ერთჯერად ძალადობრივ ქმედებაში (მაგ.: ხელის გარტყმა, თმებით თრევა და სხვა). ქმედების ცემად ან სხვაგვარ ძალადობად დაკვალიფიცირებისათვის განმსაზღვრელია, რომ სუბიექტის ერთჯერად ან არაერთჯერად ძალადობრივ ქმედებას მოჰყვეს მსხვერპლისათვის ფიზიკური ტკივილი.

4.22. ნ. ბ-ის მიერ ნ. ა-სთვის ხელის დარტყმას, რამდენადაც დარტყმის შედეგად ამ უკანასკნელმა, მისივე განმარტებით, განიცადა ფიზიკური ტკივილი, საკასაციო პალატა აფასებს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვაგვარ ძალადობად.

4.23. მომდევნო ეტაპზე სასამართლო დაადგენს, რამდენად ჰქონდა ნ. ბ-ს დანაშაულის ჩადენის დროს შეცნობილი ნ. ა-ს არასრულწლოვანება. აღნიშნული გარემოების დადგენა აუცილებელია, რამეთუ ბრალდების მხარე ამ მაკვალიფიცირებელ გარემოებაზე მითითებით ითხოვს ნ. ბ-სთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმებას.

4.24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირისთვის დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოების – წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ – ბრალად შერაცხვის წინაპირობა, დამნაშავის მიერ ქმედების ჩადენის მომენტში მსხვერპლის არასრულწლოვანების წინასწარი შეცნობაა, რაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლის შედეგად უნდა დადგინდეს. აღნიშნული გარემოება შესაძლოა დამნაშავისა და მსხვერპლის შემხებლობით/ურთიერთობით, აღნიშნული ურთიერთობისგან დამოუკიდებლად, მსხვერპლის შესახებ მოძიებული ინფორმაციით (მაგ., რომელ სკოლაში ან კლასში სწავლობს) ან/და უშუალოდ შეხვედრის პროცესში, გაცნობის შედეგად ერთმანეთისთვის მიწოდებული ინფორმაციით შეიძლება დადგინდეს, აგრეთვე, – იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნებოდა ბავშვისთვის დამახასიათებელი ამკარა ვიზუალური მახასიათებლები.

4.25. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ბ-სა და ნ. ა-ს შორის შემთხვევის დღემდე რაიმე სახის კავშირი ანდა კომუნიკაცია არ არსებობდა; ნ. ბ-სთვის უცნობი იყო, კონკრეტულად, ვინ შეიძლება დახვედროდა შეხვედრაზე მისულებს; შეხვედრის მომენტში კონფლიქტის ადგილზე მისული პირები მხოლოდ სახელით გაეცნენ ერთმანეთს; ერთმანეთისთვის ვინაობა, ასაკი, ან სასწავლებელი ადგილის შესახებ (მაგ.: სკოლა, კლასი) არ უკითხავთ. მაშასადამე, ერთადერთი გარემოება, რომელიც ნ. ბ-ს მხრიდან ნ. ა-ს არასრულწლოვანების შეცნობას დაადასტურებდა, მისი ვიზუალური მა-

ხასიათებლებია. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, დანაშაულის ჩადენის დროს ნ. ა. იყო 17 წლის, რაც კიდევ უფრო ართულებს მისი არასრულწლოვანების შეცნობის საკითხს, რამეთუ, პირის არასრულწლოვანების შეცნობა ინდივიდუალურია, სუბიექტურ აღქმას ეფუძნება და განსაკუთრებით იმ პირობებში რთულდება, როდესაც მოზარდსა და ზრდასრულობის ასაკს შორის მცირე სხვაობაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ნ. ბ-ს სუბიექტური აღქმა. კითხვა – ჰქონდა თუ არა ნ. ა-ს არასრულწლოვანება წინასწარ შეცნობილი დანაშაულის ჩადენის დროს – დაკითხვისას ნ. ბ-სთვის არ დაუსვამთ. ასეთ პირობებში პროკურორის მოსაზრება, რომ შემთხვევის დღეს ნ. ბ-მ ნამდვილად იცოდა ნ. ა-ს ასაკი, წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს, რაც ვერ გახდება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ძალადობაში ნ. ბ-ს მსჯავრდების საფუძველი.

4.26. დანაშაულის ამ ეპიზოდთან მიმართებით ნ. ბ-ის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებები არ დადგენილა.

4.27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მოთხოვნას ნ. ბ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების ნაწილში, თუმცა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის გამამართლებელი განაჩენი და ნ. ბ-ს მიმართ ბრალად წარდგენილი მუხლი, საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

სასჯელის დასაბუთება:

4.28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასჯელი არის სახელმწიფოს რეაქცია ჩადენილ დანაშაულზე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს ინდივიდუალური – მსჯავრდებულის პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, აგრეთვე – საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლებით დადგენილი დებულებების შესაბამისი.

4.29. საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლი, რომლითაც სასჯელი უნდა დაენიშნოს ნ. ბ-ს, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველ ნაწილს, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან შინაპატიმრობით ვადით

ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

4.30. სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრისას საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ნ. ბ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, აგრეთვე – დამდგარ შედეგს (სახეზეა ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც მცირე უთანხმოების საფუძველზე დაიწყო და მოზარდებს შორის მძიმე დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც ჩხუბში მონაწილე ერთი არასრულწლოვნის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, მეორე არასრულწლოვანმა კი, დარტყმის შედეგად განიცადა ფიზიკური ტკივილი), დანაშაულის მოტივსა და მიზანს (ნ. ა-ს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მოტივი ურთიერთშელაპარაკება იყო, ხოლო ნ. კ-ს შემთხვევაში, ნ. ბ-ი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე განვითარებული ჩხუბის დროს მოქმედებდა თავდაცვის სურვილით), ყოფაქცევას ქმედების შემდეგ (ნ. ბ-მ მოინანია ჩადენილი დანაშაული და ნებაყოფლობით მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო ექსპერიმენტში, რა დროსაც საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებს მიუთითა ადგილზე, სადაც გადააგდო დანაშაულის იარაღი).

4.31. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა, მათ შორის, არასრულწლოვნის მიმართ და იარაღის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. მიუხედავად კანონმდებლის ამგვარი დათქმისა, საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლთან მიმართებით, სასჯელის დამძიმების კონტექსტში, საკასაციო სასამართლო არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ გარემოებებს, რამეთუ, ერთი მხრივ, არ არის ამოღებული დანაშაულის საგანი და შესაბამისად, არ არის მასზე ჩატარებული შესაბამისი ექსპერტიზა (მაგ., იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 თებერვლის №761აპ-21 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის №1283აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 24 ოქტომბრის №422აპ-23 განჩინება, პუნქტი 4.15.) და, მეორე მხრივ, წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურდა, რომ ნ. ბ-ს დანაშაულის ჩადენის მომენტში შეცნობილი ჰქონდა ნ. კ-ს არასრულწლოვანება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ნ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის

ჩადენისთვის დაუნიშნავს თავისუფლების აღკვეთას 10 თვის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის – ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით, რისგანაც გაათავისუფლებს, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე.

4.32. საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტი სათვით გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

4.33. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლება პირი, რომელმაც, მათ შორის, ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 121-ე-124-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. ამავე კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც დანაშაული 2020 წლის 11 დეკემბრამდე ჩაიდინა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული ამნისტიის კანონი პირდაპირი საფუძველია ნ. ბ.-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების, რადგან მან დანაშაული 2020 წლის 3 თებერვალს ჩაიდინა.

4.34. აქვე, საკასაციო სასამართლო უყურადღებოდ არ დატოვებს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის განჩინებას, რომლის თანახმადაც, ნ. ბ.-ს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან ერთად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, 22:00 საათიდან 06:00 საათამდე პერიოდში, აეკრძალა: საცხოვრებელი სახლის დატოვების უფლება, ნ. კ.-სთან და ნ. ა.-სთან კომუნიკაცია და მიახლოება, აგრეთვე – მათ საცხოვრებელ ადგილთან მიახლოება. მართალია, ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა თავიანთი განაჩენების სარეზოლუციო ნაწილში იმსჯელეს აღკვეთის ღონისძიების გაუქმების და გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის თაობაზე (საკასაციო პალატა იზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ საკითხის ამგვარად გადაწყვეტას, რადგან პრეიუდიციად მიჩნეული მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 ნოემბრის განაჩენით, უტყუარად დასტურდება ნ. ბ.-ის მიერ დანაშაულის ჩადენა გირაოს მოქმედების პერიოდში), თუმცა გვერდი აუარეს დაწესებული აკრძალვების გაუქმების საკითხს. შესაბამისად, საკასა-

ციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს გააუქმოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის განჩინებით ნ. ბ. ს. მიმართ დაწესებული ზემოაღნიშნული აკრძალვები.

4.35. და ბოლოს, საკასაციო სასამართლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დაზარალებულებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აცნობებს საქმის განხილვის შედეგს და განუმარტავს მათ ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორ როინ ხინთიბიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის გამამართლებელი განაჩენი გაუქმდეს;

3. ნ. ბ. ს. ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე;

4. ნ. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 თვის ვადით;

5. ნ. ბ. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის პირველი მუხლის საფუძველზე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლით დაკისრებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

6. ნ. ბ. ს. ქმედება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

7. ნ. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩა-

დენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით;

8. ნ. ბ. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2020 წლის 10 თებერვლიდან 2020 წლის 15 თებერვლის ჩათვლით) გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;

9. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დაზარალებულებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ეცნობოთ საქმის განხილვის შედეგი და განემარტოთ ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების თაობაზე;

10. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ნ. ბ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – გაუქმებულია.

11. ნ. ბ-ს მიმართ გირაოსთან ერთად გამოყენებული სხვა ღონისძიებები (საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე 22:00 საათიდან 06:00 საათამდე პერიოდში საცხოვრებელი სახლის დატოვების უფლების აკრძალვა; ნ. კ-სთან და ნ. ა-სთან კომუნიკაციისა და მიახლოების, ასევე მათ საცხოვრებელ ადგილთან მიახლოების აკრძალვა) გაუქმდეს.

12. გასაჩივრებული განაჩენი ნივთმტკიცებისა და გირაოს სახით შეტანილი თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის ნაწილში დარჩეს უცვლელად;

13. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება
გაუფრთხილებლობით**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№1092აპ-23

21 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. მ. ქ-ს ბრალად ედება ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რაც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და არ გამოუწვევია ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან, ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას – ოჯახის წევრის მიმართ, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. 2022 წლის 20 ივლისს, დაახლოებით 01:40 საათზე, თ-ში, შ-ს მეორე შესახვევის №-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მ. ქ-მ შვილს, არასრულწლოვან ნ. ქ-ს მრავალჯერ დაარტყა ხელები სხეულსა და სახეზე, რის შედეგადაც ნ. ქ-მ მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება სახეზე, ყურის მიდამოში, მუცელზე, კიდურებზე დაზიანებების, ხოლო მარცხენა ლავინზე მოტეხილობის სახით, რაც დაკავშირებულია ნ. ქ-ს ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 მარტის განაჩენით:

2.1. მ. ქ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალ-

დებაში. გაუქმდა მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და იგი გათავისუფლდა პატიმრობიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

2.2. მ. ქ-ს განემარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 ივნისის განაჩენით:

3.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – თბილისის პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა მარიამ ნიკოლაშვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 ივნისის განაჩენის გაუქმება, მ. ქ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მკაცრი სასჯელის შეფარდება.

4.1. გამართლებულ მ. ქ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ჯ. კ-მ და ზ. კ-მ შესაგებლით მოითხოვეს თბილისის პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაუმეგობლად ცნობა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ თბილისის პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მ. ქ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.

3. საქმის მასალების თანახმად, თავდაპირველად 112-ში შევიდა და შეტყობინება ა. ბ-გან, რომ მასთან სახლში უნდა მივიდეს სიძე მ. ქ. და საპატრულო პოლიციას ქალბატონი იძახებს პრევენციის მიზნით. შემდგომ გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ა. ბ-ს შეტყობინება და შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავი ორგა-

ნოს წარმომადგენლებისთვის მითითება იმის თაობაზე, რომ ყოფილმა სიძემ – მ. ქ-მ ფიზიკურად იძალადა არასრულწლოვან შვილზე – ნ. ქ-ზე.

4. მოწმე ა. ბ-ს ჩვენებით, მ. ქ. არის მისი ქალიშვილის – ნ. ბ-ს ყოფილი მეუღლე. ისინი ხასიათის შეუთავსებლობის გამო დაშორდნენ ერთმანეთს. მ. ქ-სა და ნ. ბ-ს ჰყავთ არასრულწლოვანი ქალიშვილი – ნ. ქ, რომელიც მასთან ცხოვრობს. ბოლო პერიოდში მ. ქ. ყურადღებას იჩენდა ქალიშვილის მიმართ და ზრუნავდა მასზე, ასევე ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ყოფილ მეუღლესთან. 2022 წლის 19 ივლისს, დღის საათებში, ნ. ქ. იმყოფებოდა საბავშვო ბაღში. ამავე დღეს, დაახლოებით 14:00 საათზე, მათთან დარეკა მ. ქ-მ, რომელმაც უთხრა, რომ ვერ უკავშირდებოდა ნ. ბ-ს. მან მ. ქ-ს აუხსნა, რომ ნ. მუშაობდა ტურისტულ სააგენტოში და, სავარაუდოდ, საქმიანი შეხვედრის გამო ვერ პასუხობდა. შემდეგ იკითხა, თუ ვინ გამოიყვანდა ბავშვს ბაღიდან, რაზეც უპასუხა, რომ თვითონ გამოიყვანდა. როდესაც შვილიშვილი საბავშვო ბაღიდან გამოჰყავდა, მ. ქ-მ კვლავ დაურეკა მას და ბავშვს უთხრა, რომ როლიკებით გაასეირნებდა. დაახლოებით 21:00 საათზე ისინი იმყოფებოდნენ მ-ს პარკში. შემდეგ წავიდნენ სახლში. მათ ივახშმეს და ბავშვმა დაიძინა. მანამდე ნ-მ დაურეკა მამას და უთხრა, რომ უყვარდა და იძინებდა. ნ. ქ-ს დაძინების შემდეგ, დაახლოებით 10 წუთში, მ. ქ-მ მას დაურეკა და დაემუქრა. მ-ი ამ დროს ზედმეტად მთვრალი იყო. იგი უთიშავდა ტელეფონს, თუმცა მ. ქ. მაინც ურეკავდა. მოწმის ჩვენებით, მისი არაერთი დაჟინებული დარეკვის გამო მან პრევენციის მიზნით გამოიძახა პოლიცია. იგი გამოვიდა სახლიდან ეზოში პატრულის დასახვედრად, რა დროსაც დაინახა, რომ მ. ქ. მათი სახლისკენ გაემართა, ლობეზე გადაძვრა და შევიდა ეზოში, რის შემდეგაც მან ჭიშკარი შიგნიდან ურდულით დაკეტა. ამ დროს მოვიდნენ პოლიციელები. როდესაც მ. ქ-მ კარი გააღო, იგი სწრაფად შევიდა სახლში, რადგან ბავშვის ტირილის ხმა ისმოდა. სახლში შესვლისას მან დაინახა ნ. ქ. რომელსაც ცხვირზე ჰქონდა სისხლი, მისი თვალებიც არ მოეწონა და ამიტომ ჩავარდა პანიკაში, დაიწყო ყვირილი მოკლა, მოკლაო. იგი იმდენად აღელვებული იყო, რომ წესიერად ვერც ნახა ბავშვი. სახლში შევიდნენ პოლიციელებიც, რომლებმაც მოუწოდეს, რომ დამშვიდების მიზნით წამალი დაეღია. პატრულმა გამოიძახა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, თუმცა მან უარი განაცხადა სამედიცინო დახმარებაზე და ითხოვდა ბავშვის მიხედვას. ამ ინციდენტამდე ბავშვს არანაირი დაზიანება არ ჰქონია. მ. ქ-ს გარდა სახლში ბავშვთან ერთად არავინ ყოფილა. იგი სახლში შესვლისას შოკურ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან ვეგეტონერვოზი აქვს. ამ შემთხვევამდე მ. ქ-ს ჰქონია აგრესიული საუ-

ბარი მეუღლესთან, თუმცა ხშირად არა.

5. მოწმის სახით დაკითხული პატრულ-ინსპექტორის – ლ. რ-ს ჩვენებით, 2022 წლის 19 ივლისს, 21:00 საათზე ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას თავის მეწყვილე ი. ი-ნ ერთად. 2022 წლის 20 ივლისს, ღამის საათებში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მათ მიიღეს შეტყობინება ქ. თ-ში, შ-ს მეორე შესახვევის №...-დან. შეტყობინების ინიციატორმა ქალბატონმა ტელეფონზე განაცხადა, რომ სახლის გარეთ შეხვდებოდა მათ, რადგან შეშინებული იყო. ადგილზე მისვლისას მათ დახვდათ სხენებული ქალბატონი, რომელიც ვარაუდობდა, რომ მისი ყოფილი სიძე მ. ქ. მივიდოდა მის სახლში, რის შემდეგაც, შესაძლოა, მომხდარიყო კონფლიქტი და პრევენციის მიზნით გამოიძახა პოლიცია. შემდეგ, როდესაც ამ ქალბატონმა გადანყვიტა სახლის ეზოში პოლიციელების შეყვანა, აღმოაჩინა, რომ ეზოს კარი შიგნიდან იყო დაკეტილი. ქალბატონი მიხვდა, რომ მისი სიძე იყო მისული. მათ ა. ბ-ს ტელეფონით დაურეკეს მ. ქ-ს, რომელსაც გამოსვლა და კარის გაღება თხოვეს. მ. ქ. მართლაც გამოვიდა, კარი გააღო, იგი ადეკვატურად და ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, მშვიდად და ზრდილობიანად საუბრობდა. შემდეგ სახლისკენ გაუძღვა მათ. ეზოში ყოფნისას აღნიშნულმა ქალბატონმა გადაუსწრო ყველას და სახლში შეასწრო, საიდანაც დაიწყო შემზარავი ყვირილი, იგი იძახდა, „მიშველეთ, მოკლა მოკლაო“. ისინი სწრაფადვე შევიდნენ სახლში, სადაც დახვდათ პატარა გოგონა, რომელმაც მათ წინაშე მოულოდნელად დაიწყო ტირილი. ბავშვს სისხლი მოსდიოდა ცხვირიდან, იყო გაბურძნეული და ყველაფერს იტკიებდა. მან თავის მეწყვილეს დაუძახა, რომ მ. ქ. არ გაეშვა, რადგან ბავშვმა უთხრა ბებიას – მამამ მცემაო. ასევე ოთახში მდებარე სანოლიც სისხლიანი იყო. მათ გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, ბავშვი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ბავშვმა ასევე განაცხადა, რომ მამამ სცემა. მ. ქ. დააკავეს.

6. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მოწმემ, პატრულ-ინსპექტორმა ი. ი-მ და დამატებით განმარტა, რომ მ. ქ-ს ჰქონდა სასმელის სუნი, გარკვეულ პერიოდში კითხვებზე პასუხს სცემდა, თუმცა გარკვეულ პერიოდში იყო არაადეკვატური, ბავშვი იძახდა მამამ მცემაო.

7. პატრულ-ინსპექტორმა გ. უ-მ მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ ლ. რ-სა და ი. ი-ს შემდეგ იგი შემთხვევის ადგილზე მივიდა თავის მეწყვილე ე. ბ-ნ ერთად, რა დროსაც მ. ქ. დახვდათ ეზოს ჭიშკართან; იყო მშვიდი და იქცეოდა ადეკვატურად. სიტუაციაში გარკვევის მიზნით მათ მ. ქ-ს სთხოვეს, რომ არ წასულიყო და შეაჩერეს. ცოტა ხანში სახლიდან გაიგონეს ქალბატონის ხმა, რომელიც ყვიროდა, ბავშვი მოკლაო. ლ. რ. და ი. ი. შევიდა სახლში,

სადაც დახვდათ ამ ქალბატონის შვილიშვილი, არასრულწლოვანი გოგონა მრავლობითი დაზიანებებით თვალისა და სხეულის არეში, ეტყობოდა ცემის კვალი. ბავშვი არ შემოდიოდა კონტაქტში, ბავშვი ვერ გამოკითხა, რადგან შეშინებული იყო. მათ გამოიძახეს სასწრაფო-სამედიცინო დახმარება. ამის შემდეგ, ბებიის მითითების საფუძველზე, ადგილზე დააკავეს მ. ქ. არასრულწლოვანი ნ. ქ. გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც გამოკითხვისას დაადასტურა, რომ სახლში იყო ჩხუბი, რა დროსაც მთვრალმა მამამ – მ. ქ-მ მას მიაყენა გარკვეული ფიზიკური დაზიანებები. ბავშვს დაზიანებული ჰქონდა თვალის მიდამოები და ჰქონდა მოტეხილობაც. იგი იყო ძალიან შეშინებული და სტრესულ მდგომარეობაში. მ. ქ-მ განაცხადა, რომ ბავშვი წაექცა და უარყო ყველაფერი. ასევე გახდა აგრესიული, რადგან რასაც აბრალებდნენ, ამას არ იზამდა.

8. მოწმე მ. ქ-ს ჩვენებით, არის ბავშვთა ფსიქოლოგი და მუშაობს შპს „ა-ში“. 2022 წლის 20 ივლისს, დილის საათებში, მასთან მიიყვანეს 2015 წელს დაბადებული პაციენტი – ნ. ქ. ბავშვი კლინიკაში შეიყვანეს გვიან ღამით. იგი გაეცნო პაციენტის შესახებ სამედიცინო დოკუმენტაციას, რომელშიც ეწერა, რომ პაციენტი იყო მამის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი. ამას ადასტურებდა ბავშვის დედაც. მას ბავშვის დედასთან არ უსაუბრია, რადგან იმ დროისთვის ჰქონდა კოვიდირუსი და მალევე წავიდა სახლში. ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, უშუალოდ მისგან რაიმე ინფორმაცია არ მიუღია. ბავშვს არ სურდა კონტაქტი, თვალები ჰქონდა დახუჭული და იყო თავის თავში ჩაკეტილი. სტკიოდა მარცხენა ლავინი, ცხვირიდან სისხლდენის კვალი ეტყობოდა, ასევე აღენიშნებოდა ექსკორიაციები და სილურჯეები კიდურებსა და სახეზე. ეს ყველაფერი გახლდათ სხვადასხვა ფიზიკური ზემოქმედების შედეგი.

9. მოწმე ა. ხ-მ ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ არის სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის – თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დანესებულების სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ინტეგრირებული მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი. 2022 წლის 29 აგვისტოს, ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოწმის სახით გამოიკითხა დაზარალებული არასრულწლოვანი ნ. ქ, რასაც იგი ესწრებოდა როგორც ფსიქოლოგი. გამოკითხვისას ბავშვი ცდილობდა ყურადღების სხვა საგნებზე გადატანას, მან ისეთი ტერმინებიც ახსენა, რაც მისი ასაკის ბავშვს წესით არ უნდა სცოდნოდა. გამოკითხვის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდად. გამომძიებელი საკმაოდ ეფექტურად სვამდა

კითხვებს. როგორც კი შემთხვევის თაობაზე იწყებდა საუბარს, ნ. ქ. ნელა ლაპარაკობდა და თითოეულ სიტყვას სიფრთხილით არჩევდა. იგი მამაზე საუბრობდა პოზიტიურად და ძირითადად ამართლებდა მის ქმედებებს. მან მოჰყვა თუ როგორ დაიძინა, შემდეგ როგორ გაიღვიძა და კიბეზე როგორ წაიქცა. იგი ამ ყველაფერს ქაოტურად ჰყვებოდა და ზუსტად ვერ იხსენებდა. მან ასევე ახსენა გადახტომის ფაქტიც.

10. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამედიცინო ბარათი №...-ის ჩანაწერების მიხედვით, ნ. ქ.-ს პირველადი სამედიცინო დახმარება გაენია 2022 წლის 20 ივლისს, 01:59 საათზე. სამედიცინო საბუთის ჩანაწერებით ნ. ქ.-ს აღენიშნება დაზიანებები: ჰემატომა ზედა ტუჩისა და ცხვირზე; გულმკერდის წინა ზედაპირზე მარცხნივ ექსკორიაციები; სისხლნაჟღენთი და ექსკორიაცია მარცხენა ყურზე. შპს „ა-ს“ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი №...-ის ჩანაწერების თანახმად, ნ-ა ქ. აღნიშნულ კლინიკაში სტაციონარულ მკურნალობას გადიოდა 2022 წლის 20 ივლისიდან იმავე წლის 22 ივლისამდე. სამედიცინო საბუთის ჩანაწერებით, ნ. ქ.-ს აღენიშნება დაზიანებები: ექსკორიაციები/სისხლნაჟღენთები სახის, ორივე თვალბუდის, ორივე ყურის, გულმკერდისა და მუცლის წინა ზედაპირზე (უპირატესად მარცხნივ), სისხლჩაქცევა მარცხენა სკლერაში, ასევე ექსკორიაციები – მარცხნივ ზედა ტუჩისა და ორივე თვალის მიდამოში, მარცხენა ყურის არეში, კანქვეშა ჰემატომა თავის არეში მარცხნივ, სისხლნაჟღენთები და ექსკორიაციები კიდურების არეში. რენტგენოლოგიური გამოკვლევით დაუდგინდა მარცხენა ლავინის ძვლის დიაფიზის მოტეხილობა ფრაგმენტების ცდომით. ნევროლოგის კონსულტაციით დაუდგინდა თავის ტვინის შერყევის დიაგნოზი. ექსპერტიზის კვალდაკვალ შესწავლილ იქნა 2022 წლის 20 ივლისს გადაღებული რენტგენოგრამა, ნ. ქ.-ს ჩD დისკზე ჩანერილი მარცხენა ლავინის ძვლის „წარმოდგენილ რენტგენოგრამაზე აღინიშნება მარცხენა ლავინის ძვლის მოტეხილობა დიაფიზის შუა მესამედში ფრაგმენტების ცდომით. მოტეხილი ფრაგმენტების კიდეები უსწორმასწოროა და არამკვეთრი. რენტგენოგრამაზე ასახული ცვლილება ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება მომართვაში მითითებულ დაზიანების მიღების თარიღს – 2022 წლის 20 ივლისს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზიანებები განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივი-ბლავგი საგნის მოქმედებით. ვინაიდან სამედიცინო დოკუმენტაციებში არ არის აღწერილი ექსკორიაციების, სისხლნაჟღენთების (ჰემატომების),

სისხლჩაქცევის მორფოლოგიური სურათი, მათი ხანდაზმულობის დადგენა ექსპერტიზას არ შეუძლია – ამდენად იზოლირებულად აღებული მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. დაზიანებები თავის ტვინის შერყევისა და მარცხენა ლავინის ძვლის მოტეხილობის სახით, ხანდაზმულობით არ ენიშნაღმდეგება 2022 წლის 20 ივლისის თარიღს და მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლით. მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტმა ს. ბ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და დაეთანხმა მას.

11. მოწმე ნ. ბ-ს ჩვენებით, მ. ქ. არის მისი ყოფილი მეუღლე. 2022 წლის 20 ივლისს, სალამოს საათებში, სახლში დაბრუნდა, ეზოს გარეთ დახვდა საპატრულო პოლიციის მანქანა, ასევე გამოძახებული იყო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა. სახლში შესვლისას მისი არასრულწლოვანი შვილი ნ. ქ. იყო ნამტირალევი, ხელს იტკივებდა და სხეულის სხვადასხვა ადგილზე ჰქონდა დაზიანებები. ბავშვი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში. მოწმის ჩვენებით, საავადმყოფოში მას გაუკეთეს კოვიდ-ვირუსის ტესტი, დაუდგინდა ვირუსი და ნავიდა სახლში. საავადმყოფოდან გამოწერისას მან ნ. ქ-ს ჰკითხა თუ რა მოხდა რეალურად. ბავშვმა მიუგო, რომ იმ ღამეს შინ ეძინა, მასთან მივიდა მამა – მ. ქ, რომელმაც იკითხა, თუ სად იყვნენ დედა და ბებიი, რაზეც მან უპასუხა, რომ არ იცოდა. შემდეგ მ. ქ-ს თ-ს ქუჩაზე მასთან წასვლა შეუთავაზებია. მამამ ზურგზე შეისვა შვილი და დააპირეს სახლიდან გასვლა; ამ დროს მ-ს ბავშვი ხელიდან გაუვარდა და თვითონაც ზემოდან დაეცა. მოწმის განმარტებით, იგი, მართალია, დაშორებულია მ. ქ-ს, თუმცა მამას თავის შვილთან აქვს ძალიან კარგი ურთიერთობა და არასდროს ყოფილა რაიმე ფიზიკური ძალადობის ფაქტი. რაც შეეხება დედამისის მიერ პოლიციის გამოძახების ფაქტს, მოწმის შეფასებით, დედა არის ემოციური ქალი, რომელიც ხშირად უმიზეზოდაც კი რეკავს 112-ში.

12. მ. ქ-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ შემთხვევის დღეს მთელი დღის განმავლობაში მუშაობდა. სალამოს პერიოდში იყო შესვენებაზე, რა დროსაც ქუჩაში შეხვდნენ მისი ქალიშვილი – ნ. და სიდედრი. შეთანხმდნენ, რომ საქმეებს მალე მორჩებოდა, რის შემდეგაც მივიდოდა მათთან, გაასეირნებდა ბავშვს და როლიკებით გაასეირნებდა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ მას სამსახურში საქმეები გაუგრძელდა და ლუდიც დალია, რის გამოც დროულად ვერ მივიდა შვილთან. იგი სამსახურიდან გამოვიდა დაახლოებით 23:00 საათზე. სიდედრმა დაურეკა და უთხრა, რომ ბავშვი მალე აპირებ-

და დაძინებას, თავად კი სთხოვა, რომ ჯერ არ დაეძინებინა, რადგან მალე მივიდოდა შვილის სანახავად. ადგილზე მისვლისას ეზოს ჭიშკარი დაკეტილი დახვდა, ხოლო გასაღები არ იყო შენახული თავის ადგილზე, რის გამოც ეზოში ლობიდან გადაძვრა. სახლში შესულს, ბავშვის გარდა, არავინ დახვდა, რაც ძალიან გაუკვირდა. მან ნ. ქ-ს უთხრა, რომ ჩაეცვა და წაიყვანდა თავისთან, რაზეც დასთანხმდა; ბავშვი მხრებზე შეისვა და თამაშით ჩამოიყვანა. კიბეებზე გაახსენდა ტელეფონის წაღება და გასაღებით კარის ჩაკეცვა, რა დროსაც ფეხებთან ძაღლი დაეჯახა, ბავშვი ჩამოუვარდა მხრებიდან და მას ზემოდან დაეცა. ამ დავარდნის შედეგად დაზიანებები მანაც მიიღო. როდესაც ბავშვს პირს ჰბანდა, მას ტელეფონზე დაურეკა პოლიციამ და მოითხოვეს ეზოს ჭიშკრის გაღება. კარის გაღებისას იგი პოლიციამ დააკავა.

13. სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვანი დაზარალებულის ნ. ქ-ს ჩვენება არ გამოკვლეულა, ვინაიდან ის მხარეებს არ გაუხდიათ სადავოდ და მას, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა, მიენიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა.

14. ნ. ქ-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად (რომელიც მხარეთა შორის არასადავო მტკიცებულებად იქნა მიჩნეული), დაზარალებულმა განმარტა შემდეგი: „2022 წლის 20 ივლისს, ღამით ვიყავი სახლში მარტო ბებიასთან, ხოლო დედა იყო დაზაღების დღეზე. მე დავიძინე დივანზე. რამდენიმე ხანში ჩემით გამელვინა და მომინდა ტუალეტში. წამოდგომისას დავინახე, რომ მამაჩემი მ. ქ. იყო მოსული. იგი იყო გაბრაზებული დედაჩემზე – ნ-სა და ბებია ა-ზე იმის გამო, რომ მისი განმარტებით, მათ დამტოვეს სახლში მარტო. მამა იყო მთვრალი, გაბრაზებული ყვიროდა მათი მისამართით და გამოხატავდა უკმაყოფილებას, თუმცა ჩემთან არ უჩხუბია და არც ცუდი სიტყვები უთქვამს. ცოტა ხანში მამამ მთხოვა წავყოლოდი მეორე სახლში, რაზეც დავთანხმდი. მამამ შემისვა ზურგზე და ჩვენ აჩუ-აჩუთი წავედით, რა დროსაც მამა წაბორძიკდა და ერთად წავიქეციტ კიბეზე. ნაქცევის შედეგად მე ძლიერ მეტკინა მარცხენა ხელი და ასევე დავარტყი თავი; მამამ ამიყვანა უკან დივანზე, ამ დროს გარედან ისმოდა ბებიას ხმა, რომელიც კარის გაღებას ითხოვდა. მამა წავიდა და გააღო კარი, მოვიდა ბებია; როდესაც მნახა, თუ რა მჭირდა სახესა და სხეულზე, ბებია აკივლდა და დაუძახა პოლიციას. ასევე მოვიდა სასწრაფოს დახმარების ექიმი და წამიყვანეს საავადმყოფოში. კითხვაზე გიჰასუხებთ, რომ მამას ჩემთვის არ დაურტყამს და არ უგინებია. მე ვერ ვიხსენებ, ვინმესთვის მეთქვა იმის თაობაზე, თუ რა დამემართა. მამაჩემი იყო მთვრალი და, ალბათ, ამიტომ წაბორძიკდა კიბეზე, რის გამოც ჩვენ წავიქეციტ,

მერე მამა დამეცა ზედ; შემდეგ ამიყვანა დივანზე, თუმცა სასწრაფო დახმარების ექიმები არ გამოუძახებია და ჩემთვის სისხლი არ მოუწმენდია. მამასთან მაქვს კარგი ურთიერთობა, მას არ ჰქონია ჩემთვის რამის დაშავების სურვილი. არ მახსოვს ექიმებს ეკითხათ მომხდარის თაობაზე და არც ის მახსოვს, თავად მომეყოლა ვინმესთვის, თუ საიდან მაქვს დაზიანებები“.

15. საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომლის თანახმად მ. ქ. გამართლდა საქართველოს სსკ-ის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

16. მტკიცებულების უტყუარობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განმარტებულია (იხ. გადაწყვეტილება საქმეზე №397აპ-14), რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის, მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამასთან, თითოეული მტკიცებულება, აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, უნდა შემოწმდეს საქმეში არსებულ სხვა პირდაპირ, ასევე, ირიბ მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, მათი ურთიერთთავსებადობის განსაზღვრის მიზნით, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენის დასაბუთებულობისათვის.

17. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით კრიმინალიზებულია ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რაც სიცოცხლისათვის სახიფათო არ არის და არ გა-

მოუწვევია ამ კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან, ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას – ოჯახის წევრის მიმართ, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

18. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არცერთი მონმე არაა უშუალოდ მომხდარის თვითმხილველი. შესაბამისად, არცერთი ჩვენება პირდაპირ არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ შვილზე – ნ. ქ-ზე, მამამ – მ. ქ-მ ფიზიკურად იძალადა. თავად დაზარალებულ ნ. ქ-ს ჩვენებითაც არ დასტურდება მ. ქ-ს ბრალეულობა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებასთან დაკავშირებით.

19. დაზარალებულ ნ. ქ-ს გამოკითხვის ოქმის შინაარსის თანახმად, რაც თანხვედნილია მ. ქ-ს ჩვენებასთან, ბავშვმა დაზიანებები მიიღო მამის მიერ ნ. ქ-ს ზურგზე შესმისა და შემდეგ მასთან ერთად კიბეზე ნაქცევის შედეგად. მონმე ნ. ბ-მ თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ როგორც შვილისაგან მისთვის ცნობილია, როდესაც იგი მამამ ზურგზე შეისვა და დააპირა სახლიდან გასვლა, ხელიდან გაუვარდა და თვითონაც ზემოდან დაეცა. დაზარალებულის დედისა და ბებიის ჩვენების თანახმად, მ. ქ-ს შეილთან აქვს ძალიან კარგი ურთიერთობა და არასდროს უძალადია მასზე. იგივე დაადასტურა თავად ნ. ქ-მ.

20. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს არცერთი მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ნ. ქ-ს დაზიანებები მიაყენა მ. ქ-მ მისი ცემის შედეგად. მართალია, ჩამოთვლილთაგან რამდენიმე ჩვენება ირიბად უთითებს მ. ქ-ზე, მაგრამ ამ ჩვენების ავტორები ან ვერ ასახელებენ ასეთი ინფორმაციის ანდა, დასახელების შემთხვევაში, თვითონ წყარო არ ადასტურებს მას.

21. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ბრალდების მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ პასუხობს მტკიცებულების ერთობლიობის კონსტიტუციურ სტანდარტს, რაც საკმარისი აღმოჩნდებოდა მ. ქ-ს დამნაშავედ ცნობისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

22. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ბრალდების მხარეს აკისრებს გონივრულ ეჭვს მიღმა ბრალდებულის ბრალეულობის დასაბუთების ვალდებულებას ხშირ შემთხვევაში აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ბრალდების მხარის მიერ მო-

პოპულური მტკიცებულების მხოლოდ კრიტიკული შეფასების გზით (რაც დასტურდება სარჩელში მითითებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებითაც) და უკავშირდება დაცვის მხარის მიერ კონკრეტული ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც ქმნის გონივრულ ეჭვს ბრალდების დასაბუთებულობაში (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650,699 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-28, 42).

23. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად აცხადებს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გაუფრთხილებლობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით.

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისია მ. ქ-ს მიერ ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების გაუფრთხილებლობით მიყენების ფაქტის დასადასტურებლად. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

25. არასრულწლოვანი დაზარალებულის – ნ. ქ-ს გამოკითხვის ოქმის თანახმად, 2022 წლის 20 ივლისს, ღამით, მამა იყო მთვრალი და გაბრაზებული, თუმცა მასთან არ უჩხუბია და არც ცუდი სიტყვები უთქვამს. მამამ სთხოვა მეორე სახლში წაყოლა, რაზეც დასთანხმდა. მან ბავშვი შეისვა ზურგზე და აჩუ-აჩუთი წავიდნენ, მაგრამ უეცრად მამა წაბორძიკდა და ერთად წაიქცნენ კიბეზე, მერე მამა ზედ დაეცა. წაქცევის შედეგად ძლიერად ეტკინა მარცხენა ხელი და დაარტყა თავი.

26. მოწმე ა. ბ-მ ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ არის სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის – თბი-

ლისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ინტეგრირებული მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი. 2022 წლის 29 აგვისტოს, ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოწმის სახით გამოიკითხა დაზარალებული არასრულწლოვანი ნ. ქ. გამოკითხვისას იგი ესწრებოდა, როგორც ფსიქოლოგი. ბავშვი მამაზე საუბრობდა პოზიტიურად და ძირითადად ამართლებდა მის ქმედებებს. მან მოჰყვა, თუ როგორ დაიძინა, შემდეგ როგორ გაიღვიძა და კიბეზე როგორ წაიქცა.

27. მოწმე ნ. ბ-ს ჩვენებით, საავადმყოფოდან გამოწერისას მან ნ. ქ-ს ჰკითხა, თუ რა მოხდა რეალურად, რაზეც ბავშვმა მიუგო, რომ იმ ღამეს სახლში ეძინა, მასთან მივიდა მამა – მ. ქ, რომელმაც იკითხა თუ სად იყვნენ დედა და ბებია, რაზეც მან უპასუხა, რომ არ იცოდა. შემდეგ მ. ქ-ს თ-ს ქუჩაზე მასთან წასვლა შეუთავაზებია. მამამ ზურგზე შეისვა შვილი და დააპირეს სახლიდან გასვლა; ამ დროს მ-ს ბავშვი ხელიდან გაუვარდა და თვითონაც ზემოდან დაეცა.

28. მ. ქ-მ ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ მან ნ. ქ-ს უთხრა, ჩაეცვა და წაიყვანდა თავისთან, რაზეც დათანხმდა. შემდეგ ბავშვი მხრებზე შეისვა და თამაშით ჩამოიყვანა. კიბეებზე გაახსენდა ტელეფონის ნაღები და გასაღებით კარის ჩაკეტვა, რა დროსაც ფეხებთან ძალით დაეჯახა, ბავშვი ჩამოუვარდა მხრებიდან და მას ზემოდან დაეცა.

29. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც წასვამმა მ. ქ-მ ზურგზე შეისვა არასრულწლოვანი შვილი – ნ. ქ, არ გაითვალისწინა წინდახედულობის ნორმა და ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც ასეთ პირობებში, შესაძლოა, დამდგარიყო. რეალურად ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ. აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო მ. ქ-ს ქმედებას აფასებს დაუდევრობად, რაც მის ქმედებას გაუფრთხილებლობითი დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებში მოაქცევს.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ქ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, რომლითაც არასრულწლოვანი ნ. ქ-ს მიაღდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით.

31. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. ქ-ს მიერ ჩადენილი ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ჩადენილ დანაშაულად, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის მე-111 მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ

ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით. ამდენად, სსკ-ის მე-11¹ მუხლის ჩამონათვალში არ არის საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლი.

32. საკასაციო სასამართლოს მიერ მ. ქ-სათვის შეფარდებული სასჯელი:

32.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. ამიტომ „სასჯელი ერთი მხრივ უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონიერულ პროპორციამში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-38).

32.2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებული უნდა იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება (ნასამართლობის არმქონე), პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

32.3. საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ორ წლამდე.

32.4. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დანაშაულის პრევენციის, ბრალდებულის რესოციალიზაციისა და სასჯელის მიზნების უზრუნველსაყოფად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, მ. ქ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა შეეფარდოს ჯარიმა – 2000 ლარი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის (2022 წლის 20 ივლისიდან 2023

წლის 23 მარტის ჩათვლით) გათვალისწინებით იგი უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 22 ივნისის გამამართლებელი განაჩენი.

3. მ. ქ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 (ორიათასი) ლარი.

4. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის (2022 წლის 20 ივლისიდან 2023 წლის 23 მარტის ჩათვლით) გათვალისწინებით მ. ქ. გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

5. ნივთიერი მტკიცებულებები:

ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთები დაუბრუნდეს მ. ქ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

დაზარალებულის ტანსაცმელი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;

ისტორიის დასკვნები დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს მიმდინარეობის ვადით.

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

**ოჯახის წევრის მიმართ მუქარით ქმედების
კვალიზიკაციასთან ერთად არსებობს დამატებით
სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 11¹
მუხლზე მითითების საფუძველი**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№794აპ-23

30 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პრო-
კურატურის პროკურორ ანა როყვას საკასაციო საჩივარი ქუთაი-
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-
ლატის 2023 წლის 20 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

**1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 დეკემ-
ბრის განაჩენით:**

1.1. ლ. ე-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართვე-
ლოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 1
წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების
შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით,
11¹, 381¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვე-
თა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პი-
რობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის
„ზ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი) – 1 წლით თავ-
ისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამი-
სად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით,
126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 31 აგვის-
ტოს ეპიზოდი) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-
ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 6
თვის გამოსაცდელი ვადით.

1.2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და თანაბარი ზომის სასჯელები და საბოლოოდ, ლ. ე-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. მასვე, სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 8 სექტემბრიდან იმავე წლის 9 სექტემბრამდე.

1.3. გაუქმდა ლ. ე-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით გადახდილი თანხა – 2000 ლარი უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს – მ. ე-ს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ე-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ (ორი ეპიზოდი); სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ; შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 26 აგვისტოს, დაახლოებით 14:00 საათზე, ქ. ბ-ში, ნ-ს ქუჩის №...ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ლ. ე-მ, სამი წლის შვილის თანდასწრებით, ხელის სახის არეში ორჯერ დარტყმით იძალადა მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ა. ა-თან, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2022 წლის 31 აგვისტოს, ქ. ბ-ში, ნ-ს ქუჩის №...ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში, ლ. ე-მ, სამი წლის შვილის თანდასწრებით, ხის ჯოხის ფეხზე დარტყმით იძალადა მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ა. ა-თან, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

• 2022 წლის 1 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე (დაკავებამდე) პერიოდში, ლ. ე. სისტემატიურ სატელეფონო კომუნიკაციას ამყარებდა საკუთარი ოჯახის წევრთან – მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ა. ა-თან; ასევე 2022 წლის 1 სექტემბერს მივიდა ზ-ს რაიონის სოფელ ო-ში მდებარე ა. ა-ს საცხოვრებელ სახლში, რითაც მან დაარღვია 2022 წლის პირველ სექტემბერს, საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზ-ს რაიონული სამმართველოს მიერ

გაცემული №... შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

- 2022 წლის 1 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე (დაკავებამდე) პერიოდში, ლ. ე. სატელეფონო საუბრებსა და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა საკუთარი ოჯახის წევრს – მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ა. ა-ს, რომელიც იმყოფებოდა ზ-ს რაიონის სოფელ ო-ში. ა. ა-მ ლ. ე-ს მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის აღსრულების საფუძვლიანი შიში.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 თებერვლის განაჩენი:

3.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 დეკემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

3.2. ლ. ე-ის მიმართ მუქარის ბრალდებიდან ამოირიცხა საქართველოს სსკ-ის 11¹ მუხლზე მითითება.

3.3. ლ. ე. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით 1 წლის გამოსაცდელი ვადით, 11¹, 381¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 31 აგვისტოს ეპიზოდი) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

3.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი და თანაბარი ზომის სასჯელები და საბოლოოდ, ლ. ე-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. მასვე, სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 8 სექტემბრიდან იმავე წლის 9 სექტემბრამდე.

3.5. ლ. ე-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს სახით გადახდილი თანხა – 2000 ლარი უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს – მ. ე-ს განაჩენის აღსრულე-

ბიდან ერთი თვის ვადაში.

4. კასატორმა – ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანა როყვამ საკასაციო საჩივრით მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ლ. ე-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 11¹, 381¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და მკაცრი სასჯელის შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა როყვას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები (მსჯავრდებულ ლ. ე-ს აღიარებითი ჩვენება, დაზარალებულ ა. ა-სა და მონმეების – ნ. ა-ს, ა. ქ-ს და ხ. მ-ს გამოკითხვის ოქმები, №... შემაკავებელი ორდერი და მისი ოქმი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნა), რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ლ. ე-მ ნამდვილად ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ (ორი ეპიზოდი); სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ; შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა.

3. მოცემულ შემთხვევაში პროკურორი განაჩენს ასაჩივრებს სასამართლოს მიერ დადგენილი კვალიფიკაციის, ასევე სასჯელის ნაწილში და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად ამორიცხა განაჩენში მუქარის ნაწილში 11¹ მუხლი, ასევე ლ. ე-ს მიმართ შეფარდებული სასჯელი არ არის სამართლიანი და, შესაბამისად, მუქარის ნაწილში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით,

ასევე სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს მკაცრი სასჯელი, რასაც საკასაციო სასამართლო ეთანხმება ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

4. სახელმწიფო ბრალმდებელი – ანა როყვა საკასაციო საჩივრით მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ლ. ე-ს მიმართ შეფარდებული სასჯელი არ არის სამართლიანი, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი იმ შემთხვევაში მიიჩნევა უკანონოდ, როდესაც გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და ამავდროულად, მის პიროვნებას. სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაზეც, რომლის მიხედვითაც, „აუცილებელია, სასჯელი ადეკვატურად შეესატყვისებოდეს საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედების სიმძიმეს. იმ პირობებში, როდესაც სასჯელის სიმკაცრე აშკარად აჭარბებს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს, ეჭვქვეშ დგება დაწესებული სასჯელისა და მისი ლეგიტიმური მიზნების პროპორციული დამოკიდებულება. აშკარად მკაცრი და არაგონივრული სასჯელი ზედმეტად შორდება სასჯელის ლეგიტიმურ მიზნებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/6/770 საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

5. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელის პირობითად ჩათვლისა და გამოსაცდელი ვადის დაწესების მიზანი არ არის დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედებისგან გათავისუფლება. გამოსაცდელი ვადა ის პირობაა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, რაც სასჯელის მიზნების მიღწევის დამატებით გარანტიას წარმოადგენს. ამდენად, კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა არ გულისხმობს მის უსამართლობას და ვერ უგულებელყოფს მის როლს, სასჯელის მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.

6. სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ლ. ე-ს მიმართ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა საქართველოს სსკ-ის 53-ე და 39-ე მუხლების მოთხოვნები, კერძოდ, მსჯავრდებულის აღია-

რება და სინანული ჩადენილი ქმედებების გამო; ის გარემოება, რომ ლ. ე-ს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება არ გაუხდია სადავოდ, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, პირველად სა-მართალში, მან ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რისი მხედველობაში მიღებითაც, შეუფარდა სამართლიანი და კანონიერი სასჯელი, რომელიც სრულად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს, რის გამოც გასაჩივრებულ განაჩენში, სასჯელის დამძიმების კუთხით, ცვლილების შეტანის საფუძველი არ არსებობს.

7. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. ე-ს ქმედების კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ სიცოცხლის მოსპობის მუქარას როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქმედების კვალიფიკაციასთან ერთად არსებობს დამატებით სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მე-11¹ მუხლზე მითითების საფუძველი, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლის თანახმად, „ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით“. მართალია, ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებას, თუმცა, თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა უშუალოდ სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში – ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილად, განისაზღვრება სწორედ საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლით. ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლი ამავე კოდექსის მე-11¹ მუხლის ექსპლიციტური და შინაარსობრივი განმარტების შესაბამისად, საჭიროებს ამ მუხლზე მითითებას. საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლში მოცემულია იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომლებიც მიიჩნევა ოჯახურ დანაშაულად, ხოლო ამავე მუხლის შენიშვნით კი განისაზღვრება პირთა წრე, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ითვლება ოჯახის წევრად.

როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, მსჯავრდებული ლ. ე. და დაზარალებული ა. ა. არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები არიან, ნ. ე. კი მათი არასრულწლოვანი შვილი. ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11¹ მუხლის შენიშვნის თანახმად, ითვლებიან ერთმანეთის ოჯახის წევრებად და სახეზეა ოჯახის ერთი წევრის – ლ. ე-ს მიერ ოჯახის მეორე წევრის – არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის, ა. ა-ს მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტი.

8. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ პროკურორის საკასაციო საჩივრით მოთხოვნილია ლ. ე-ს დამნაშავედ ცნობა ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის – საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლზე მითითებით. საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, წარმოადგენს ოჯახურ დანაშაულს. ამავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად კი ოჯახის წევრად მიიჩნევა „არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი“. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ ლ. ე-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რისი გათვალისწინებითაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა როყვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ლ. ე. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 11¹, 381¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

– საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის გამოსაც-

დელი ვადით;

– საქართველოს სსკ-ის 11',381'-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩათვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით;

– საქართველოს სსკ-ის 126'-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 26 აგვისტოს ეპიზოდი) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩათვალოს პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით;

– საქართველოს სსკ-ის 126'-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 31 აგვისტოს ეპიზოდი) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩათვალოს პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით;

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი და თანაბარი ზომის სასჯელები და საბოლოოდ, ლ. ე-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩათვალოს პირობით, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით;

5. ლ. ე-ს სასჯელის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 8 სექტემბრიდან იმავე წლის 9 სექტემბრამდე;

6. საქართველოს სსკ-ის 66-ე მუხლისა და „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ლ. ე-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს სახით გადახდილი თანხა – 2000 ლარი დაუბრუნდეს მის შემტანს – მ. ე-ს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირება თვითნებოვანიან ქურდოებაზე

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№618აპ-23

31 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამაზ მეზონიასა და მსჯავრდებულ ვ. ნ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განაჩენზე.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ვ. ნ-ს ბრალად დაედო ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ბინაში უკანონო შეღწევით, ჩადენილი არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.1.1. თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით ნასამართლევი, პირობით მსჯავრდებული ვ. ნ. 2022 წლის 3 მაისს, დაახლოებით 17:00 საათზე, ქ. თ-ში მცხოვრებ ა. კ-ს საცხოვრებელ სახლში შეღწევით, ფარულად დაეუფლა დაზარალებულის – 10 ლარად ღირებულ „BOW EISI“-ს ფირმის ტყავის საფულეს; ა. კ-ს ვადაგასულ პირადობის დამადასტურებელ ID ბარათს; 35 ლარს; 20 ლარად ღირებულ – წითელ, მუყაოს ყუთს, მასში მოთავსებული ყელსაბამით; 1 ლარად ღირებულ – ლითონის სამაჯურს; 5 ლარად ღირებულ – სასაჩუქრე ყუთს; 4 ლარად ღირებულ – რბილ სათამაშოს დათვის გამოსახულებით; 30 ლარად ღირებულ – ნაც-

რისფერ ნაჭრის შარვალს; 15 ლარად ღირებულ – ჯინსის შარვალს; 20 ლარად ღირებულ – შავ შორტს; 15 ლარად ღირებულ – ნაჭრის შორტს; 10 ლარად ღირებულ – შავ მაისურს; 10 ლარად ღირებულ – მოკლემკლავიან მაისურს; 100 ლარად ღირებულ – „ზენას“ ფირმის 2 სპორტულ დანამატს; 2 ლარად ღირებულ მაჯის საათს; 15 ლარად ღირებულ – ფეხის „სპრეის“; 5 ლარად ღირებულ „ნაზოსტერის“ ფირმის ცხვირის „სპრეის“; 10 ლარად ღირებულ – „ბეპანტინის“ ფირმის დამწვრობის კრემს; 30 ლარად ღირებულ – „A5PLUS“-ს ფირმის აუდიოფლეერს; 10 ლარად ღირებულ – დასაკეც დანას; 5 ლარად ღირებულ – „ვიქტორინოქსის“ დასაკეც დანას; ლითონის კონსტრუქციის ჩიბუხს; 5 ლარად ღირებულ – ხის კონსტრუქციის ჩიბუხს; მინის მუნდშტუკს; 10 ლარად ღირებულ – პოლიეთილენის პაკეტსა და ყურსასმენების ბალიშებს; 5 ლარად ღირებულ – პლასტმასის ყუთს; 3 ლარად ღირებულ – სიმ ბარათების სამაგრებს; 7 ლარად ღირებულ – შავი ქაღალდის ყუთსა და ადაპტერის თავებს; 1 ლარად ღირებულ – 2 სანთებელას; 0,5 ლარად ღირებულ – ბანქოს; 5 ლარად ღირებულ – წყლისგან ყურების დამცავს; 30 ლარად ღირებულ „AVON“-ის ფირმის მამაკაცის 2 სუნამოს; 0,4 ლარად ღირებულ – 2 მარკერს; 0,4 ლარად ღირებულ – 2 კალამს; 10 ლარად ღირებულ – ქსოვილის ზურგჩანთასა და 5 ლარად ღირებულ – „კარფურის“ ფასდაკლების №... ბარათს, რითაც ა. კ-მ განიცადა 434,3 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

1.2. ვ. ნ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის განაჩენით, ვ. ნ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, ვ. ნ-ს, განაჩენთა ერთობლიობით სას-

ჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც აეთვალია 2022 წლის 5 მაისიდან.

2.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. ნ-ს მისთვის ბრალად წარდგენილი დანაშაული – ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – არ ჩაუდენია, არამედ მან ჩაიდინა თვითნებობა, ესე იგი თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრეს, როგორც თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თამაზ მეზონიამ, რომელიც სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის შეცვლასა და ვ. ნ-ის დამნაშავედ ცნობას მისთვის ბრალად წარდგენილი კვალიფიკაციით, ასევე – მსჯავრდებულ ვ. ნ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მ, რომელიც ითხოვდა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განაჩენით, ბრალდებისა და დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს, ერთი მხრივ, თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, თამაზ მეზონიამ, რომელიც საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის შეცვლასა და ვ. ნ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მისთვის წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მსჯავრდებულ ვ. ნ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მ, რომელიც ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

4. კასატორების არგუმენტები:

4.1. ბრალდების მხარის პოზიციით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლომ არასრულფასოვნად შეაფასა მტკიცებულებები და მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიანიჭა, რადგან სასამართლოში წარმოდგენილი სამხილებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ვ.

ნ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენა, კერძოდ: დაზარალებულ ა. კ-სა და მოწმე ლ. ს-ს ჩვენებებით დგინდება, რომ ა. კ. ცხოვრობს იტალიურ ეზოში არსებულ იზოლირებულ ოთახში, რომლის დალაგების დროს, დაზარალებულის დედამ შენიშნა, რომ ბინა იყო არეული, ხოლო ა. კ-მ დაადასტურა, რომ ბინიდან მოპარული იყო მისი ნივთები; ვ. ნ-ს სახლში ჩატარებული ჩხრეკის ოქმით ირკვევა, რომ მსჯავრდებულის ბინიდან ამოღებულია დაზარალებულის ნივთები, მათ შორის, ა. კ-ს პირადობის მოწმობა; ამოცნობის ოქმებით დადგენილია, რომ ა. კ-მ ამოიცნო მსჯავრდებულის ბინიდან ამოღებული თავისი ნივთები; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, ა. კ-ს ბინა მდებარეობს იტალიური ეზოს პირველ სართულზე, აქვს ხის შესასვლელი კარი, რომელსაც არ აქვს მინა და ლიობი დაფარულია ქსოვილის ნაჭრით; საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის მიხედვით, ვ. ნ-მ დაადასტურა, რომ იგი ნამდვილად იმყოფებოდა თ. არსებული ეზოში, საიდანაც წამოიღო მისი ბინიდან ამოღებული ნივთები, ხოლო შემთხვევის ადგილიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანანერით დასტურდება, როგორ შედის მსჯავრდებული თ-ს ეზოში და როგორ გამოდის იქიდან ზურგჩანთით, რისი გათვალისწინებითაც, სასამართლომ, რომელმაც დაადგინა, რომ ვ. ნ-მ ნამდვილად მიისაკუთრა ა. კ-ს ნივთები, არასწორად მიიჩნია, რომ მსჯავრდებული არ მოქმედებდა მათი ფარულად დაუფლების განზრახვით.

4.2. დაცვის მხარის პოზიციით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, ვინაიდან საქმეში არ არის წარმოდგენილი ვ. ნ-ს ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რადგან მსჯავრდებულმა, რომელიც მუშაობდა გზის მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე, დანგრეული სახლის მიმდებარედ, რომელიც არაფრით ჰგავდა საცხოვრისს, იპოვნა გადაგდებული ჩანთა, რომელიც უპატრონო ეგონა და დაისაკუთრა, რაც გამორიცხავს მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობას. სასამართლოს უნდა გაემიჯნა დანაშაული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისგან, რადგან თვითნებობის დროს პირი ქმედებას ჩადის დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, მაშინ, როდესაც, განსახილველ შემთხვევაში გამოკვეთილია უპატრონო ნივთი (ზურგჩანთა და მასში მოთავსებული საგნები), რომელზე საკუთრების შესაძენად არ არის დადგენილი რაიმე განსაკუთრებული წესი. მსჯავრდებულის სახლიდან ამოღებულია ყოველდღიური გამოყენების საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელთა ჯამური ღირებულების მიუხედავად, ქმედებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი, რაც ვ. ნ-სათვის

მსჯავრად შერაცხული დანაშაულის – თვითნებობის – სავალდებულო მაკვალიფიცირებელი ნიშანია. ამასთან, არ არის გამოკვეთილი, რომ ვ. ნ. აცნობიერებდა, რომ კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ ახორციელებდა თავისად დაგულებულ უფლებას, რაც მის ქმედებაში საერთოდ გამორიცხავს განზრახვის არსებობას.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს და ვ. ნ-ს მსჯავრი უნდა დაედოს ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ქურდობის ჩადენისათვის.

5.2. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის დავის საგნად არის ქცეული: მოქმედებდა თუ არა ვ. ნ. სხვისი ნივთების ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლების განზრახვით, რასაც, ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ედავება მას ბრალდების მხარე, თუ მსჯავრდებულმა დაისაკუთრა გადაგებული ზურგჩანთა და მასში მოთავსებული ნივთები, რაც გამორიცხავს მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობას – როგორც ამას დაცვის მხარე ამტკიცებს.

5.3. პროკურორი სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებს სასამართლოს მიერ შეცვლილი კვალიფიკაციის ნაწილში, ვინაიდან მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ვ. ნ-მ ჩაიდინა არა თვითნებობა, არამედ – ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო დაცვის მხარე სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებს ვ. ნ-ს მსჯავრდების კუთხით, რადგან მიიჩნევს, რომ მის ქმედებაში გამოკვეთილია არა სისხლის, არამედ – სამოქალაქო-მართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

5.4. საკასაციო სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნას მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების შეფასებისასთან დაკავშირებით, ამავდროულად არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას ვ. ნ-ს უდანაშაულობასთან მიმართებით, ვინაიდან მიიჩნევს, რომ საპირისპიროს მტკიცება გა-

მომდინარეობს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომლებიც ქმნიან უტყუარ და საკმარის ერთობლიობას ჩადენილი ქურდობისათვის ვ. ნ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.5. სადავოდ არ გამხდარა და საკასაციო სასამართლოსაც დადგენილად მიაჩნია, რომ თ. არსებულ, ვ. ნ-ს №3... ბინიდან, 2022 წლის 5 მაისს, 21:58-22:39 საათზე, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია ზურგჩანთა, მასში მოთავსებული ნივთებით.

5.6. 2022 წლის 6 მაისს, 11:20-11:45, 11:50-12:15-სა და 12:20-12:50 საათებზე ჩატარებული ამოცნობების დროს, ა. კ-მ ამოიცნო ვ. ნ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები, რომლებიც, დაზარალებულის განმარტებით, ქ-ში არსებული საცხოვრებელი სახლიდან მოპარეს მას 2022 წლის 3 მაისს.

5.7. იმისათვის, რათა სამართლებრივად სწორად შეფასდეს დავის საგნად ქცეული ქმედების კვალიფიკაცია, უნდა დადგინდეს, მსჯავრდებულის სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ დაზარალებულის ნივთებს ვ. ნ. დაეუფლა ფარულად, ქ-ში არსებულ ა. კ-ს საცხოვრებელ სახლში შეღწევით, თუ მან ქ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნანგრევებთან იპოვნა უპატრონო ზურგჩანთა (მასში მოთავსებული ნივთებით), რომელსაც დაეპატრონა.

5.8. ქვედგომი ინსტანციის სასამართლობმა საეჭვოდ მიიჩნია ვ. ნ-ს მიერ ა. კ-ს ბინაში უკანონო შეღწევით, სხვისი ნივთების ფარულად დაუფლების ფაქტი, რამაც განაპირობა მსჯავრდებულის ქმედების თვითნებობით დაკვალიფიცირება და მათი პოზიცია გაამყარეს რამდენიმე არგუმენტით, რომლებსაც დანვრილებით ქვემოთ მიმოვიხილავთ.

5.9. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვედგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომ ვ. ნ. ა. კ-ს ნივთებს დაზარალებულის საცხოვრებელი სახლიდან ფარულად არ დაუფლებია, არამედ – შეცდომით ივარაუდა, რომ ა. კ-ს ზურგჩანთა იყო გადაგებული, რის გამოც, დაეუფლა და მიისაკუთრა იგი, რამეთუ საპირისპირო მტკიცდება დაზარალებულ ა. კ-სა და მონწმე ლ. ს-ს ჩვენებებით, რომელთა შინაარსი ცხადყოფს, რომ ნივთები, რომლებიც 2022 წლის 5 მაისს, მსჯავრდებულის სახლიდან ამოიღეს სამართალდამცავებმა, დაზარალებულს არ გადაუყრია, არამედ ისინი 2022 წლის 3 მაისს მოიპარეს სწორედ ა. კ-ს საცხოვრებელი სახლიდან, კერძოდ:

5.10. დაზარალებულის დედის, მონწმე ლ. ს-ს ჩვენებით ირკვევა, რომ იგი ცხოვრობს ქ-ში არსებულ „იტალიურ“ ეზოში, რომლის და-

მოუკიდებელ ბინაში ცხოვრობს ასევე მისი უფროსი ვაჟი, ა. კ. დედამ 2022 წლის 2 მაისს ა. კ.-ს ბინაში მოათავსა უმცროსი ვაჟის ველოსიპედი და კარი ბოქლომით ჩაკეტა. მომდევნო საღამოს, როდესაც უფროსი ვაჟის ბინა გააღო, ნახა, რომ იყო არეული, რაც აცნობა ა. კ.-ს, რა დროსაც გაირკვა, რომ იგი სახლში არ ყოფილა და არ აურევია. ა. კ. 2022 წლის 5 მაისს დაბრუნდა შინ და აღმოაჩინა, რომ მისი სახლიდან დაკარგული იყო ნივთები, რაც შეატყობინა პოლიციას.

5.11. დაზარალებულ ა. კ.-ის ჩვენებით დგინდება, რომ იგი ცხოვრობს ქ-ში არსებულ „იტალიურ“ ეზოში, ოჯახისგან დამოუკიდებელ ბინაში და მუშაობს სასტუმროს ადმინისტრატორად, რის გამოც, შინ იშვიათად მიდის. 2022 წლის 3 მაისს დაურეკა დედამ, ლ. ს.-მ, და უსაყვედურა, რომ მისი ბინა იყო არეული. 2022 წლის 5 მაისს დაბრუნდა სახლში და აღმოაჩინა, რომ შესასვლელ კარზე, მინის ნაცვლად აკრული ე.წ. „ქეჩა“ იყო დაზიანებული, ხოლო სახლიდან ნივთების ნაწილი – მოპარული, რომელთა დეტალური ჩამონათვალი აცნობა პოლიციას.

5.12. ხაზგასასმელია, რომ ვერც დაცვის მხარე უთითებს და არც საქმის მასალებით გამორკვეულა რაიმე სარწმუნო მოტივი, რატომ უნდა მიეწოდებინათ სამართალდამცავებისათვის დანაშაულის შესახებ ცრუ ინფორმაცია ა. კ.-სა და ლ. ს.-ს, რასაც მოჰყვა სწორედ ვ. ნ.-ს სახლიდან დაზარალებულის ნივთების ამოღება და დანაშაულში მისი მხილება, როდესაც დადგენილია, რომ წარსულში ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს და შესაბამისად, მსჯავრდებულის მიმართ რაიმე პირადი ინტერესი არ შეიძლება ჰქონოდათ, რისი ერთობლივად მხედველობაში მიღებითაც, საკასაციო სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევს, რომ ვ. ნ.-ს ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთები ა. კ.-ს არ გადაუყრია, არამედ სახლიდან მოპარეს 2022 წლის 3 მაისს.

5.13. შემთხვევის ადგილის მიმდებარედ, ს. ქუჩის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოკამერის ჩანაწერის მიხედვით, 2022 წლის 3 მაისს, 17:09:00 საათზე, კადრში ჩნდება ს. ქუჩაზე მოძრავი მამაკაცი, რომელიც სადავოდ არ გამხდარა, რომ არის ვ. ნ. და 17:09:28 საათზე უჩინარდება კადრიდან, რადგან შედის ეზოში, საიდანაც გამოდის 17:10:09 საათზე, ხელში ზურგჩანთით, რომელსაც იკიდებს ზურგზე და ს.... ქუჩის ბოლოსკენ მიემართება.

5.14. საკასაციო სასამართლო აქვე დასძენს, რომ არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში წარმდგენილი ვიდეოჩანაწერის შეფასებას, რომ თითქოსდა ჩანაწერის ქრონოლოგია მიუთითებს, რომ ვ. ნ. დაზარალებულ ა. კ.-ს სახლის ეზოში შედის და გამოდის დაახლოებით ერთ წუთში, ანუ იმ დროის განმავლობაში, რაც მას დასჭირდებოდა ეზოში შესასვლელად, ჩანთის ასაღებად

და გამოსასვლელად. აღსანიშნავია, რომ თავად მსჯავრდებული ვ. ნ. ადასტურებს, რომ 2022 წლის 3 მაისს, თ. არსებულ „იტალიურ“ ეზოში იმყოფებოდა ორჯერ: პირველად ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მეორედ კი მაშინ, რაც აღბეჭდილია ვიდეოჩანაწერში. ხსენებული გარემოება კი საფუძველს უკარგავს იმ ვერსიას, რომ დროის მცირე მონაკვეთში იგი ვერ შეძლებდა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას.

5.15. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით ირკვევა, რომ 2022 წლის 5 მაისს, 18:10-19:35 საათზე, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი – თ. მდებარე „იტალიურ“ ეზოში არსებული ა. კ-ს საცხოვრებელი ბინა – რომელიც განთავსებულია ეზოში შესასვლელი ჭიშკრიდან, დაახლოებით, ათ მეტრში, მარცხნივ. ბინას აქვს თეთრი ხის შესასვლელი კარი, რომელსაც ზედა ნახევარში მინის ნაცვლად აკრული აქვს ე.წ. „ქეჩა“ და მარცხნივ გრძელდება ხის ორფრთიანი ფანჯრით. ბინა შედგება ერთი ოთახისგან. შესასვლელიდან პირდაპირ დგას ორადგილიანი საწოლი, ხოლო მარცხნივ, ოთახის ბოლოს – ორკარიანი ხის კარადა, რომელზეც დევს: სარკე, ორი პლასტიკის ნითელი ყუთი და სხვადასხვა ჰიგიენური ნივთები. კარადის გვერდით დევს ხის სკამი და პატარა ხის ტუმბო, რომელზეც აწყვია „დინამიკები“.

5.16. ხაზგასასმელია, რომ დაზარალებულ ა. კ-ს, ისევე, როგორც მოწმე ლ. ს-ს ჩვენებებით, ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ა. კ-ს სახლი შემთხვევის დღეს, ბოქლომით იყო დაკეტილი. ორივე მათგანის ვარაუდით, ქურდმა ბინაში შეაღწია კარის შეუმინავი ნილიდან, რომელსაც ე.წ. „ქეჩა“ ჰქონდა აკრული.

5.17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილიდან – თ. მდებარე ა. კ-ს საცხოვრებელი ბინიდან – ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები არ ეკუთვნის მსჯავრდებულ ვ. ნ-ს, აღნიშნული ვერ გამოდგება მისი უდანაშაულობის მტკიცების უპირობო საფუძველად, რამეთუ, ერთი მხრივ, საქმის მასალების მიხედვით, საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის – შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩატარდა და შესაბამისად, სუნის კვლების ნიმუშების აღება მოხდა მხოლოდ 2022 წლის 5 მაისს, შემთხვევიდან 2 დღეში, მას შემდეგ, რაც დაზარალებული სამსახურიდან შინ დაბრუნდა და აღმოაჩინა, რომ მისი ნივთები იყო მოპარული. ამასთან, დადგენილია, რომ 2022 წლის 3 მაისს დაზარალებულის დედა შევიდა ა. კ-ს ბინაში, რომელიც დახვდა არეული და დაალაგა. მეორე მხრივ, საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ბიოლოგიური კვალის არარსებობა შემთხვევის ადგილზე ან დანაშაულის საგანზე „ა პრიორი“ არ მიუთითებს პირის უდანაშაულობაზე (იხ.: საქართველოს უზენაესი სასა-

მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი №262აპ-17).

5.18. ამრიგად, საწინააღმდეგოდ სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი დასკვნისა, რომლის მიხედვით, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, ვ. ნ-ს მიერ ა. კ-ს ბინიდან ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლების ფაქტს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად დაადგინეს ფაქტები და შესაბამისად, მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიანიჭეს, რამეთუ შეუძლებელია ვ. ნ-ს ქმედება შეფასდეს, როგორც თვითნებობა, ესე იგი თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, რადგან ა. კ-ს ჩვენებით, ცალსახად დადგენილია, რომ ვ. ნ-ს სახლიდან ამოღებული ნივთები დაზარალებულს არ გადაუყრია, არამედ მოპარეს თ. მდებარე ბინიდან 2022 წლის 3 მაისს, ხოლო შემთხვევის ადგილის მიმდებარედ ამოღებულ ვიდეოჩანაწერში თვალნათლივ ჩანს, როგორ შევიდა ვ. ნ. 2022 წლის 3 მაისს, საღამოს, თ. არსებულ ეზოში და როგორ გამოვიდა იქიდან ა. კ-ს ზურგჩანთით, რომელიც დაზარალებულის სხვა ნივთებთან ერთად აღმოაჩინეს მოგვიანებით მსჯავრდებულის ბინის ჩხრეკისას, რაც უპირობოდ გამორიცხავს ვ. ნ-ს მიერ თავისად დაგულებული უფლების – ნაპოვნი ნივთების დაუფლების – დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელებას და ადასტურებს მის ქმედებაში ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის შემადგენლობის არსებობას.

5.19. არაერთგზის ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს: საქმის მასალებით დადგენილია, რომ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით, ვ. ნ. სასამართლევი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და ახალი დანაშაულის ჩადენის დროს – 2022 წლის 3 მაისს – მისი სასამართლობა კანონით დადგენილი წესით მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ყოფილა, რისი გათვალისწინებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პენიშენის მე-2 პუნქტის (ამ კოდექსის 177-ე-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა აღნიშნული მუხლებითა და ამ კოდექსის 224-ე, 231-ე, 237-ე, 264-ე და 286¹-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა) მხედველობაში მიღებით, ვ. ნ-მ ჩაიდინა ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ქურდობა.

5.20. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ნ-ს ქმედება არ ხასიათდება მისთვის ბრალად შერაცხილი დანაშაულის კიდევ ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშნით, ვინაიდან უტყუარად არ დასტურდება, რომ მისმა ქმედებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კოდექსის XXV თავში (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ) მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება – 150 ლარს ზევით.

5.21. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბრალდების მხარე ვ. ნ-ს ედავებოდა, რომ იგი ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ა. კ-ს – 434 ლარად და 30 თეთრად ღირებულ ნივთებს. დაზარალებულ ა. კ-ს ჩვენების მიხედვით, ვ. ნ-ს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მას მიადგა, დაახლოებით, 500 ლარამდე ზიანი. ამავდროულად, საქმეში წარმოდგენილია სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულის სახლიდან ამოღებული დაზარალებულის ნივთების საბაზრო ღირებულება (მათი ექსპლუატაციაში ყოფნისა და ფაქტიური-ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით) შეადგენს – 98 ლარსა და 30 თეთრს. ამასთან, საქსპერტო კვლევის ავტორმა, თ. მ-მ, რომელმაც დაადასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, დამატებით განმარტა, რომ მხოლოდ იმ ნივთების ღირებულება დაადგინა, რომელთა შეფასებაც ექსპერტიზამ შეძლო, რისი გათვალისწინებითა და დაზარალებულის ჩვენების საპირწონე ობიექტური მტკიცებულების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ სამხილების შეფასების დროს, დაზარალებულისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით გაჩენილი ეჭვები, რომლებიც ვერ დადასტურდა კანონით დადგენილი წესით, *In dubio pro reo*-პრინციპის საფუძველზე, მსჯავრდებულის სასარგებლოდ გადანყდეს და, შესაბამისად, ვ. ნ-ს არ შეერაცხოს მსჯავრად – ქურდობის მაკვალიფიცირებელი გარემოება – რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – რამეთუ სარწმუნოდ ვერ დადგინდა, რომ ა. კ-ს ნივთების ჯამური ღირებულება აღემატება კანონმდებლის მიერ მნიშვნელოვანი ზიანისათვის დადგენილ 150 ლარიან ნიშნულს.

5.22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ნ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს. ამასთან, იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწი-

ლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

6. სასჯელის დასაბუთება

6.1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

6.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, რომლისთვისაც მსჯავრი უნდა დაედოს ვ. ნ-ს ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

6.3. საკასაციო სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს, ინდივიდუალურად შეაფასოს, ერთი მხრივ, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ხოლო, მეორე მხრივ, მსჯავრდებულის პიროვნება, რის საფუძველზეც განსაზღვრავს, სასჯელის რა ზომა უზრუნველყოფს მის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციას.

6.4. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ნ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის უნდა განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამასთან, ვინაიდან პირობით მსჯავრდებულმა ვ. ნ-მ გამოსაცდე-

ლი ვადის პერიოდში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უნდა გაუქმდეს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ვ. ნ-ს, საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

6.5. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ვ. ნ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ს, საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამაზ მეზონიას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ვ. ნ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამაზ მეზონიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ვ. ნ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებში;

5. ვ. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს თეთრიწყაროს რაიონული სა-

სამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმის წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ვ. ნ-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. ვ. ნ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწესოს დაკავებიდან – 2022 წლის 5 მაისიდან;

8. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადანყდეს შემდეგნაირად:

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები და ანაწმენდები, ასევე, ვ. ნ-ს სუნის კვალის და ნერწყვის ნიმუშები – განადგურდეს;

ვ. ნ-ს ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული: ნივთები (ძველ პაკეტთან ერთად), ზურგჩანთა, სათამაშო დათვი, საფულე და ტანსაცმელი – დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;

ზ. ა-დან გამოთხოვილი ვიდეორჩანაწერი 1 დისკზე – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

9. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

10. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსის 178-ე მუხლით კვალიფიკაციისა და 11'
მუხლის დამატებით გამოყენება ენიშნაღმდეგაა
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
დანაწეს და დაუშვებელია**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№379აპ-23

3 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თაღუმაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პრო-
კურატურის პროკურორ თორნიკე ტატუნაშვილის საკასაციო სა-
ჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 19 დე-
კემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით გ. პ.-ს ბრალად
ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგ-
ში – საქართველოს სსკ-ის) 126'-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვე-
პუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11', 178-ე მუხლის მე-2 ნაწი-
ლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით გ. პ.-ს მიერ ჩადე-
ნილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის 28 იანვრის ჩათვლით
დროის პერიოდში გ.-ნის რაიონ სოფელ ვ.-ში მდებარე კერძო სახ-
ლში გ. პ. მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ა. ჩ.-ს
მისი არასრულწლოვანი შვილის, ... ნელს დაბადებული ი. ხ.-ს თან-
დასწრებით, გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით, სისტე-
მატურად მიმართავდა შეურაცხმყოფელი სიტყვებით. გ. პ. მიიჩ-
ნევდა, რომ ა. ჩ.-ს მოვალეობა იყო მხოლოდ საოჯახო საქმეების
გაკეთება, იგი მას აღიქვამდა როგორც საკუთრებას, რომელსაც
უნდა შეესრულებინა მისი ყველა სურვილი და მისი ნებართვის გა-
რეშე არ გასულიყო გარეთ, ხოლო საწინააღმდეგო აზრის გამოთ-
ქმისას ეუბნებოდა, რომ იყო ბინძური, მახინჯი, მსუბუქი ყოფაქ-
ცევის ქალი და უუფლებო არსება. 2022 წლის 27 იანვარს, საღამოს

საათებში, კი ზემოაღნიშნულ მისამართზე, ექვიაანობის, ასევე მისი, როგორც ოჯახში მამაკაცის უპირატესი როლის წარმოჩენისა და მეუღლის დამორჩილების სურვილით, ი. ხ-ს თანდასწრებით, რამდენჯერმე ძლიერად მოქაჩა, შემდეგ კი სხეულის სხვადასხვა ადგილას დაარტყა ხელები. გ. პ-ს ძალადობრივი ქმედებით ა. ჩ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა;

2.2. 2022 წლის 28 იანვარს დაახლოებით 13:30 საათზე, სოფელ ვ-ში მდებარე მ... კორპუსის პირველ სადარბაზოში, გ. ჩ-ს საცხოვრებელ ბინაში, გ. პ., მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ა. ჩ-ს თანდასწრებით, მისი ხელიდან ამკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა, მის კუთვნილ, 700 ლარად ღირებულ სამსუნი გალაქსი A21S მოდელის მობილურ ტელეფონს. აღნიშნული ქმედებით ა. ჩ-ს მიადგა 700 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 ივნისის განაჩენით:

3.1. გ. პ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

3.2. გ. პ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 11¹, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

3.3. გ. პ-ს განემარტა საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ხატია გოგრიჭიანმა და მოითხოვა გ. პ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 19 დეკემბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თორნიკე ტატიუნაშვილმა, რომელიც საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას, გ. პ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

6.1. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინა გამართლებულ გ. პ-ს ინტერესების დამცველმა ადოკატმა ბ. კ-მ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 19 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 19 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს გ. პ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 126'-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11', 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

3. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 126'-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლების შესახებ, ვინაიდან, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი გ. პ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 126'-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებულმა ა. ჩ-მ ისარგებლა საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით და უარი განაცხადა მისი ოჯახის წევრის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის – გ. პ-ს – წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე; ბრალდების მხარის მოწმე ტ. დ-მ არ დაადასტურა გამოძიების ეტაპზე მის მიერ მიცემული ჩვენება და უარყო გ. პ-ს მხრიდან ა. ჩ-ს მიმართ რაიმე სახის ძალადობის ჩადენა. ხოლო, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით გ. პ-ს მიერ ა. ჩ-ს მიმართ სისტემატური შეურაცხყოფის ფაქტის დასადასტურებლად სხვა პირდაპირი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის.

4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საქმეში არსებული მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიიღმა სტანდარტით უნდა ადასტურებდეს პი-

რის მიერ დანაშაულის ჩადენას, რაც საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში, ხოლო კონსტიტუციური დანაშაულის თანახმად (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი), გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს პროკურორის მოთხოვნას გ. პ.-ს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით.

5. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ გ. პ.-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ის 11¹, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, თუმცა როგორც რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 ივნისის, ასევე – თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 19 დეკემბრის განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში არასწორად არის მითითებული საქართველოს სსკ-ის 11¹, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რაც წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის უზუსტობას.

6. ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას გ. პ.-ს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლების შესახებ და მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მასალებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება გ. პ.-ს მიერ ძარცვის, ე.ი. ა. ჩ-სათვის მოძრავი ნივთის (მობილური ტელეფონი – სამსუნგ გალაქსი A21S) აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. დაზარალებულ ა. ჩ-ს ჩვენების არარსებობის პირობებში, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გ. პ.-მ ა. ჩ-ს მობილური ტელეფონი ჩააბარა ლომბარდში (დგინდება მონმეთა: დ. ჭ-სა და ნ. ბ-ის ჩვენებებით) ვერ დაადასტურებს მის მიერ ძარცვის ჩადენის ფაქტს. მით უფრო იმ გარემოების მხედვე-

ლობაში მიღებით, რომ დაზარალებულ ა. ჩ-ს დედამ ტ. დ-ამ არ და-
ადასტურა მის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება.

7. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებით, აღნიშნულ ეპიზოდში გ. პ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა და ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ის 11¹, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

8. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-11¹-ე მუხლის თანახმად, „ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხ-
ლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შე-
საბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით“.

9. საკასაციო სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ საქარ-
თველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს ოჯა-
ხური დანაშაულის ცნებას და არ ითვალისწინებს ოჯახის ერთი წევ-
რის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ საქართველოს სსკ-ის სხვა
მუხლით (რომელიც არ არის მითითებული საქართველოს სსკ-ის მე-
11¹ მუხლში) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას საქარ-
თველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლზე მითითებას. შესაბამისად, ვინაი-
დან საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლი ამომწურავად განსაზ-
ღვრავს თუ რა სახის დანაშაული შეიძლება ჩაითვალოს ოჯახურ
დანაშაულად, გ. პ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის
მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციისას მე-11¹ მუხლის
დამატებით გამოყენება ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის და-
ნაწესს და დაუშვებელია.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო
სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს
2022 წლის 19 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და
გ. პ. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-
ქტთან ერთად ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს
საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით
წარდგენილ ბრალდებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-
ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით
და

დაადგინა:

1. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ თორნიკე ტაყუნაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 19 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;
3. გ. პ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;
4. გ. პ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;
5. გ. პ-ს განემარტოს, საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;
6. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;
7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მითვისება

განაჩენი

საქართველოს სახელმწიფო

№761აპ-23

16 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),

მ. გაბინაშვილი,

შ. თადემაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ც-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 აპრილის განაჩენზე.

აღწერით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. თ. ც. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ი) 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა (ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისა-

კუთრების მიზნით, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) და საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა და მოყვანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. 2021 წლის 26 აგვისტოს, ქ. ჭ-ში მცხოვრები თ. ც. კუთვნილ ავტოფარეხში მოწყობილ სახელოსნოში შესაკეთებლად გაჩერებული მ. ა-ს კუთვნილი „ჰონდა ფიტის“ მარკის ავტომანქანიდან ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლა ავტომანქანის ე.წ. „კატალიზატორს“, რის შედეგადაც, მ. ა-ს მიაღდა 4000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

1.3. ქ. ჭ-ში მცხოვრებმა თ. ც-მ, 2021 წლის გაზაფხულზე, კუთვნილი საცხოვრებელი სახლის ეზოში უკანონოდ დათესა და მოიყვანა ნარკოტიკული საშუალების შემცველი 6 ძირი ნედლი მცენარე – კანაფი, საერთო წონით – 2646,03 გრამი, რომელიც 2021 წლის 29 სექტემბერს ჩხრეკისას ამოიღეს ქიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის განაჩენით:

თ. ც. საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

თ. ც-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე;

თ. ც. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, დამატებით სასჯელად განესაზღვრა ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა ლითონის საჭრელი ხერხი და ელშესადულებელი აპარტი.

2.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დადასტურდა თ. ც-ს მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა და მოყვანა. ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2021 წლის 26 აგვისტოს, ქ. ჭ-ში მცხოვრებმა თ. ც-მ, კუთვნილ ავტოფარეხში მოწყობილ სახელოსნოში შესაკეთებლად მიყვანილი მ. ა-ს კუთვნილი „ჰონდა ფიტის“ მარკის ავტომანქანიდან მართლსაწი-

ნააღმდეგოდ მიითვისა ავტომანქანის ნაწილი – ე.წ. „კატალიზატორი“, რის შედეგადაც, მ. ა-ს მიადგა 4000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2.3. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. ც-მ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 აპრილის განაჩენით დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. მსჯავრდებულმა თ. ც-მ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 აპრილის განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განაჩენი უკანონოა, რადგან ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ავტომანქანის ტექნიკური გამართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე, მათ შორის – „თეგეტა მოტორსის“ მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტით, ვერ დგინდება ავტომანქანაზე ზემოქმედების ხასიათი. ავტომანქანის ე.წ. „ბაჩოკზე“ თითქოსდა ელექტროშედულების კვალი დათვალიერების შედეგად აღმოაჩინა გამომძიებელმა, რომელიც ამ საკითხის შეფასებაში არაუფლებამოსილი პირია. ამასთან, ავტომანქანას არ ჩატარებია საინჟინრო ექსპერტიზა, ამოღებული ნივთებიდან – ე.წ. „ბარგალკიდან“ და ელექტროშედულების აპარატიდან არ აუღიათ ნიმუშები მათზე ე.წ. „კატალიზატორის“ კვალის არსებობის დასადგენად. საქმეში ასევე არ მოიპოვება ნივთიერი მტკიცებულება – „კატალიზატორი“ და მისი შეფასების ამსახველი დოკუმენტი.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივა-

რი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას მსჯავრდებულის უდანაშაულობის შესახებ და ნაწილობრივ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს, საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, დადასტურებულად მიაჩნია თ. ც-ს მიერ დაზარალებულ მ. ა-ს კუთვნილი „ჰონდა ფიტის“ მარკის ავტომანქანიდან ე.წ. „კატალიზატორის“ მითვისების ფაქტი, თუმცა, იმავდროულად, სასამართლო არ ეთანხმება მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

5.3. დაზარალებულ მ. ა-ს ჩვენებით დასტურდება, რომ 2021 წლის მარტში გამოიყვანა მანქანა პორტიდან, ხოლო 2021 წლის 17 მარტს შეამონმა და გამოუცვალა ზეთი და ფილტრი. მანქანა იყო კარგ მდგომარეობაში. 2021 წლის 22 აგვისტომდე ავტომობილს პრობლემა არ ჰქონია. ავტომანქანა წინა მხარეს გამოსცემდა ხმას, რის გამოც, მიუყვანა ხელოსანს – თ. ც-ს, რომელმაც განუმარტა, რომ საჭირო იყო ავტომობილის სავალი ნაწილის გამოცვლა. იმავე დღეს, დაზარალებულმა კუთვნილი ავტომანქანა ათხოვა მეზობელს – ს. გ-ს, მას შემდეგ, რაც თ. ც-მ უთხრა, რომ მანქანით გადაადგილება შესაძლებელი იყო. დაზარალებულის განმარტებით, მანქანა, მას შემდეგ, რაც მეზობელმა დაუბრუნა და მანამდეც, მუშაობდა ნორმალურად და რაიმე პრობლემა არ ჰქონია. მეორე დღეს, მანქანა კვლავ მიუყვანა თ. ც-ს და დააყენა მის ავტოფარეხში, რომელმაც ავტომანქანის ნაწილის შოვნა და შეკეთება გააჭიანურა 6 დღით. შეკეთების შემდეგ, როდესაც დაზარალებულმა მანქანა გამოიყვანა სახელოსნოდან, ჰქონდა ცუდი სუნი, აუვიდა ალი, არ ჩაირთო ეკო რეჟიმი და აანთო „ჩეკი“. მეორე დღეს, მანქანა წაიყვანა სხვა ხელოსანთან, რომელმაც შეამონმა და უთხრა, რომ „კატალიზატორი“ არ ჰქონდა. 2021 წლის 17 ოქტომბერს კი მანქანა შეამონმა „თეგეტა მოტორსში“, რა დროსაც დადგინდა, რომ ავტომანქანას უნდა ჰქონოდა ორი კატალიზატორი, თუმცა, შემონმებისას არც ერთი მათგანი არ აღმოაჩნდა. როგორც განუმარტეს, „კატალიზატორი“ იყო ამოღებული.

5.4. დაზარალებულის ჩვენება დადასტურა მონმე რ. ტ-მ, რომელმაც განმარტა, რომ მ. ა-ს დაეხმარა მანქანის ფოთის პორტიდან გამოყვანაში. მანქანა იყო გამართულ მდგომარეობაში. რამდენიმე დღის შემდეგ წაიყვანეს ხელოსანთან, შეცვალეს ზეთი და ფილტრი. მან მანქანა დაათვალიერა ქვემოდან, ხელით დააკაკუნა

ე.ნ. „კატალიზატორის“ ბუდეზე, საიდანაც მოესმა ჩუმი ხმა და ივარაუდა, რომ „კატალიზატორი“ ადგილზე იყო, თუმცა მაყუჩი არ გაუხსნია და ზუსტად არ უნახავს. „კატალიზატორის“ „ბაჩოკი“ იყო ქარხნული, გაჭრის კვალი არ შეუნიშნავს. ამ ფაქტიდან დაახლოებით 2 თვის შემდეგ, მან ითხოვა მ. ა-ს ავტომანქანა, რომელიც იყო გამართულ მდგომარეობაში და რაიმე პრობლემა არ ჰქონია. დაახლოებით სექტემბერში, მას დაურეკა მ. ა-მ და უთხრა, რომ მანქანა ანთებდა „ჩეკს“, გამოსცემდა ხმას და აღარ ფუნქციონირებდა ეკო რეჟიმში. მისცა მანქანის ჩამომყვანის ნომერი და სთხოვა, დაერეკა მისთვის. ამ უკანასკნელმა განუმარტა, რომ მანქანა ჩამოიყვანა გამართული მდგომარეობით – „კატალიზატორითურთ“.

5.5. მოწმე ს. გ-მ განმარტა, რომ მ. ა-სგან ნათხოვარ მანქანას გზაში პრობლემა არ ჰქონია, მუშაობდა ეკო რეჟიმში, არ ანთებდა „ჩეკს“, არც გამონაბოლქვის სუნი უგრძვნია და არც ძრავის ხმაური გაუგია. მან გამართულ მდგომარეობაში დაუბრუნა ავტომანქანა მესაკუთრეს.

5.6. ამდენად, ზემოაღნიშნულ მოწმეთა ურთიერთშეთანხმებული და დამაჯერებელი ჩვენებებით უტყუარად დასტურდება, რომ ავტომანქანას შეძენისას და მისით სარგებლობის შემდგომ პერიოდში რაიმე სერიოზული პრობლემა არ ჰქონია. დაზარალებულის მიერ მითითებული გარემოებები – ცუდი სუნის ქონა, აალემა, ეკო რეჟიმის ჩაურთველობა – გამოვლინდა სწორედ თ. ც-საგან ავტომანქანის წამოყვანის შემდეგ. თავად მსჯავრდებულის ჩვენებითაც კი დასტურდება, რომ როდესაც 2021 წლის აგვისტოში, მ. ა-მ შესამოწმებლად მიუყვანა ავტომანქანა, დაადგინა, რომ „სტერჟინის თავი იყო მოწყვეტილი და რაზვალის ტულკა – დამუშავებული“. სხვა რაიმე პრობლემა მსჯავრდებულს არ გამოუვლენია. 2021 წლის 17 სექტემბერს „თეგეტა მოტორსის“ მიერ გაცემული მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ ავტომანქანის ორივე „ბაჩოკიდან“ ამოღებულია „კატალიზატორი“.

5.7. საკასაციო სასამართლო ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, ავტომანქანაში ე.ნ. „კატალიზატორის“ არარსებობა ვიზუალური დათვალიერებითაც შესამჩნევე უნდა ყოფილიყო. კერძოდ, 2021 წლის 22 სექტემბერს, გამომძიებელმა ვ. ც-მ დაათვალიერა დაზარალებულის კუთვნილი ავტომანქანა, რა დროსაც ნახა, რომ მანქანის მაყუჩის წინა და უკანა ბუდიდან ამოღებული იყო „კატალიზატორები“, ხოლო წინა მაყუჩის ლითონის ბუდეს შიგნიდან აღენიშნებოდა ელექტრო შედუღების კვალი. ამასთან, „თეგეტა მოტორსის“ მიერ გაცემული 2021 წლის 17 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ ვიზუალური დათვალიერე-

ბით შეიმჩნეოდა უკანა და წინა „კატალიზატორის“ ე.წ. „ბაჩოკების“ გახსნა. საგულისხმოა, რომ მონშე რ. ტ-ს, რომელმაც ავტომანქანის „კატალიზატორის“ ბუდე შეძენის პირველივე დღეებში დაათვალიერა, მასზე რაიმე ზემოქმედების კვალი არ შეუნიშნავს და აღნიშნა, რომ „კატალიზატორის“ „ბაჩოკი“ იყო ქარხნული, ხოლო გაჭრის კვალი არ დაუნახავს. ასევე, მონშეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ თ. ც-სათვის მიმართვამდე, დაზარალებულმა ავტომანქანა შეძენისთანავე შეამოწმა ხელოსანთან, რომელსაც „კატალიზატორის“ არარსებობის ფაქტი არ გამოუვლენია.

5.8. ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ დაზარალებულ მ. ა-ს კუთვნილ ავტომანქანას თ. ც-სთან შესაკეთებლად მიყვანამდე ჰქონდა ე.წ. „კატალიზატორი“, ხოლო ეს უკანასკნელი ავტომანქანას აღარ აღმოაჩნდა სწორედ მსჯავრდებულის სახელოსნოდან წამოყვანის შემდეგ. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ 2021 წლის 23 სექტემბრის ჩხრეკის ოქმის, აგრეთვე მონშეების – დ. მ-ს, ა. თ-ისა და ლ. ნ-ას ჩვენებების თანახმად, თ. ც-ს საცხოვრებელ სახლში, ეზოსა და ავტოფარეხში ჩატარებული ჩხრეკისას, სწორედ მსჯავრდებულის მითითებით ამოიღეს დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საგნები – ლითონის საჭრელი ელექტრო ხერხი და ელექტრომედულების აპარატი.

5.9. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია თ. ც-ს მიერ მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული, მ. ა-ს კუთვნილი „ჰონდა ფიტის“ მარკის ავტომანქანიდან ე.წ. „კატალიზატორის“ მითვისება.

5.10. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის დამამძიმებელი გარემოების – მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – მსჯავრდებულს შერაცხვისა და მისი ქმედების კვალიფიკაციის სისწორეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და აღნიშნავს შემდეგს: იმ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა დაუფლებული ნივთის ღირებულების შესახებ და არც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებით დასტურდება დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტი, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, პირის ქმედება დააკვალიფიციროს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. მართალია, ცალკეულ შემთხვევებში, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის არარსებობის პირობებში, დაუფლებული ნივთის სახეობა ან/და რაოდენობა შესაძლოა,

იძლეოდეს მნიშვნელოვანი ზიანის უტყუარად დადგენის შესაძლებლობას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთი, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, არ აძლევს სასამართლოს დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების უტყუარად დადგენის შესაძლებლობას.

5.11. გარდა ზემოაღნიშნული მსჯელობისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, თ. ც. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის – ქურდობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ – ჩადენისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ბრალდების მხარემ მისი ქმედება არ დააკვალიფიცირა ხსენებულ დამამძიმებელ გარემოებაზე მითითებით, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორი თ. ც-ს არ ედავება მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევას.

5.12. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა და კვლავაც აღნიშნავს, რომ სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში. განსახილველ საქმეში რომც მოიპოვებოდა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რაც უტყუარად დაადასტურებდა დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტს, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი დაემძიმებინა მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა, მით უფრო, რომ თ. ც-სათვის მსჯავრად შერაცხილი დანაშაული იმაზე უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს (მოსალოდნელი და შესაძლო მაქსიმალური სანქციის მიხედვით), ვიდრე – ბრალად წარდგენილი ქმედება (კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე, მაშინ როდესაც, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი მხოლოდ ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

5.13. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თ. ც-სათვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

5.14. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის შეფარდებულ სასჯელს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი ქმედების სა-

ქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირების მიუხედავად, მისთვის შეფარდებული სასჯელის სახე და ზომა უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან გამოყენებული სასჯელი შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია, არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შესაბამეობა საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლს, ასევე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებსა და ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ თ. ც-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. თ. ც. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

4. თ. ც-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

5. თ. ც. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარი;

6. საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, თ. ც-ს დამატებით სასჯელად განესაზღვროს ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვას ლითონის საჭრელი ხერხი და ელექტროშესადულებელი აპარატი;

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ნარკოტიკული დანაშაული

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენაში დახმარება

განაჩენი საქართველოს სახელით

№589აპ-23

2 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუშაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის სააპელაციო სა-
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25
აპრილის განაჩენზე მსჯავრდებულ მ. გ-ს ინტერესების დამცვე-
ლის, ადვოკატ ვ. ა-ს საკასაციო საჩივარი.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2023 წლის 25 აპრილის განაჩენი საკასაციო წე-
სით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. გ-ს ინტერესების დამცველმა,
ადვოკატმა ვ. ა-მ, რომელიც ითხოვს გადაწყვეტილების შეცვლას,
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში მ. გ-ს უდანაშა-
ულოდ ცნობას, მის მსჯავრდებას საქართველოს სისხლის სამარ-
თლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათ-
ვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მინიმალური სას-
ჯელის განსაზღვრას; კასატორი მიიჩნევს, რომ განაჩენი უკანო-
ნო, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, რადგან მ. გ-ს მისი ბავშვო-
ბის მეგობრის – ნ. ჯ-სათვის – ნარკოტიკული საშუალებები არას-
დროს მიუსაღებია. ისინი ნარკოდამოკიდებული პირები არიან, ერ-
თობლივად არაერთხელ შეუძენიათ და მოუხმარიან ნარკოტიკუ-
ლი საშუალებები და თანხას, როგორც წესი, სწორედ ნ. ჯ. იხდიდა.
2022 წლის 13 აპრილს ნ. ჯ. შეუთანხმდა მ. გ-ს, რომ მეორე დღეს
ერთად უნდა წასულიყვნენ ფონიჭალაში ნარკოტიკების შესაძენად,
მაგრამ 14 აპრილს მსჯავრდებული მარტო გაუშვა, რამაც იგი გააკ-
ვირვა, თუმცა მის განზრახვაში დაეჭვების გარეშე, ნ. ჯ-ს მითითე-
ბით, გამსაღებლისგან შეიძინა ნარკოტიკი და გადასცა მას.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, მ. გ.-ს ბრალად დაედო: განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის უკანონო შეძენა და შენახვა; განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგით:

2.1. 2022 წლის 14 აპრილს, მ. გ.-მ უკანონოდ შეძენილი და შენახული – 2,9867 გრამი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ უკანონოდ მიასალა ნ. ჯ.-ს, რაც იმავე დღეს ამოიღეს მისგან შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

3. მ. გ.-ს წარედგინა ბრალდება: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 დეკემბრის განაჩენით მ. გ. ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებულმა სასჯელმა შთანთქმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებული სასჯელი და განესაზღვრა – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 იანვრის განაჩენით მ. გ.-ს მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით შეფარდებულმა სასჯელმა – 14 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 იანვრის განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, მ. გ.-ს, მიესაჯა – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალა 2022 წლის 10 მაისიდან. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შე-

საბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ მ. გ-ს ინტერესების დამცველებმა, ადვოკატებმა – ი. ბ-მ და ვ. ა-მ, რომლებიც ითხოვდნენ განაჩენის შეცვლასა და მ. გ-ს უდანაშაულოდ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრად შერაცხილი ქმედების ჩადენაში.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლოს აღნიშვნით, მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ მ. გ-მ 2022 წლის 14 აპრილს ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი გადასცა ნ. ჯ-ს, თუმცა, ბრალდების მხარის მტკიცებით, მ. გ-მ ნარკოტიკული საშუალება მიასალა ს. მ-ს, ხოლო დაცვის მხარის მითითებით, მ. გ-ს ნარკოტიკული საშუალება არ გაუსაღებია, არამედ ნ. ჯ-ს თანხით შეიძინა და გადასცა მას.

3. ამდენად, მხარეები თანხმდებიან მ. გ-ს მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ დროს ნ. ჯ-სათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტზე, მაგრამ მათი პოზიციები განსხვავდება მსჯავრდებულის ქმედების – ნარკოტიკული საშუალების გადაცემის – კვალიფიკაციასთან მიმართებით. ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ ნარკოტიკული საშუალების ნ. ჯ-სათვის გადაცემით, მ. გ-მ, ანაზღაურების სანაცვლოდ გაასალა იგი, ხოლო დაცვის მხარის პოზიციით, ნარკოტიკული საშუალების ნ. ჯ-სათვის გადაცემის დროს მსჯავრდებულს მისი რეალიზაციის მიზანი არ ჰქონია.

4. იმისათვის, რათა დამნაშავემ პასუხი აგოს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, საკასაციო სასამართლო ვალდებულია, მსჯავრდებულის ქმედებას სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიანიჭოს, ხოლო იმის გამოსარკვევად, საქართვე-

ლოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII – ნარკოტიკული დანაშაულის – თავით გათვალისწინებული, რომელი დანაშაულის შემადგენლობაა გამოკვეთილი მ. გ-ს ქმედებაში, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მათ საფუძველზე გადაწყვეტს მსჯავრად შესარაცხი ქმედების საკითხს.

5. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მ. გ-ს ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაში მსჯავრდება საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ ორი ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე, კერძოდ, ერთი მხრივ, მ. გ-მ გამოართვა თანხა ნ. ჯ-ს და მოგვიანებით გადასცა მას ნარკოტიკული საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, ნ. ჯ-მ დაადასტურა, რომ მ. გ-სათვის გადახდილი თანხის სანაცვლოდ, შეიძინა მისგან ნარკოტიკული საშუალება.

6. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასკვნა იმის თაობაზე, რომ მ. გ-მ 2022 წლის 14 აპრილს უკანონოდ მისაღა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ნ. ჯ-ს, არ გამომდინარეობს მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ:

7. 2022 წლის 13 აპრილის განცხადების შინაარსით ირკვევა, რომ ნ. ჯ-მ მიმართა სამართალდამცავებს და აცნობა, რომ მისი ნაცნობი, მ. გ. იყო ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელი, კერძოდ, ერთ შეკვრა ჰეროინს ყიდდა 600 ლარად და დასთანხმდა, გამოძიებასთან ეთანამშრომლა მ. გ-ს გამოაშკარავების მიზნით.

8. მოწმე ნ. ჯ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემისას დაადასტურა, რომ 2022 წლის 13 აპრილს მ. გ-მ შესთავაზა, რომ 600 ლარად მისცემდა ნარკოტიკს, რის გამოც, განცხადებით მიმართა პოლიციას. მომდევნო დღეს ავტომანქანით მიაკითხა მ. გ-ს ფონიჭალაში და 10 გრამი ნარკოტიკის შესაძენად, მანქანაშივე გადასცა 1200 ლარი. ადგილზე მისვლისას მ. გ. გადავიდა ავტომანქანიდან, ხოლო დაბრუნების შემდეგ გადასცა მას ორ ცალად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც წარუდგინა გამომძიებელს. რეალიზატორს, რომლისგანაც მ. გ-მ ფონიჭალაში შეიძინა ნარკოტიკი, იგი არ იცნობდა.

9. ფულადი თანხის გადაცემისა და დათვალიერების ოქმით დგინდება, რომ გამომძიებელმა, ქ. ც-მ, ნ. ჯ-ს ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვის მიზნით 2022 წლის 14 აპრილს გადასცა 1200 ლარი.

10. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებუ-

ლი აუდიო-ვიდეოჩანაწერებით დასტურდება, რომ 2022 წლის 14 აპრილს ნ. ჯ-მ ოპერატიული მანქანით მიაკითხა მ. გ-ს და ისინი ერთად მივიდნენ დანიშნულებისამებრ. ნ. ჯ-მ მ. გ-ს თანხა გადასცა ავტომანქანაში. მ. გ. გადავიდა ავტომანქანიდან და დაბრუნებისას მოუტანა ნ. ჯ-ს ორ ცალად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება. ნ. ჯ-მ შესთავაზა ნარკოტიკის ერთად მოხმარება, რაზეც მ. გ-სგან მიიღო უარი.

11. 2022 წლის 10 ივნისის ფონოსკოპიური №... და 2022 წლის 13 ივლისის ჰაბიტოსკოპიური და ფოტო-ვიდეო-ტექნიკური №... ექსპერტიზების დასკვნების თანახმად, 2022 წლის 14 აპრილის შეხვედრის ამსახველ ვიდეოჩანაწერს არ აღენიშნება მონტაჟის ნიშნები და მასზე გამოსახულია მ. გ.

12. ამოღების ოქმის მიხედვით, ნ. ჯ-ს 2022 წლის 14 აპრილს 07:20-07:32 საათზე, ... მიმდებარედ, გამომძიებელმა ქ. ც-მ ამოუღო პოლიეთილენის ორ პარკში მოთავსებული ნივთიერებები, რომლებიც, თავის მხრივ, ნ. ჯ-ს გადასცა მ. გ-მ.

13. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2022 წლის 14 აპრილის №- ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ ნ. ჯ-სგან ამოღებული ნივთიერებები საერთო წონით – 5,8067 გრამი, შეიცავს კუსტარულად მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს, საერთო წონით – 2,9867 გრამს.

14. ამდენად, არც მხარეები ხდიან სადავოდ და სასამართლოსაც დადგენილად მიაჩნია, რომ 2022 წლის 14 აპრილს მ. გ-მ გამოართვა ნ. ჯ-ს – 1200 ლარი და მოგვიანებით გადასცა მას ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.

15. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ქმნის ერთი პირის მიერ სხვა პირისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტი (ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მიზნების, ვითარებისა და იმ ურთიერთობების მხედველობაში მიღების გარეშე, რომელიც წინ უსწრებს ნარკოტიკების გადაცემას) „a priori“, მისი უკანონო გასაღების შემადგენლობას, სასამართლომ საფუძვლიანად უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები – მოწმე ნ. ჯ-ს ჩვენება და ფარული საგამომძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მასალები – რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია ნ. ჯ-ს და მ. გ-ს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობის, ნარკოტიკული საშუალებების გადაცემამდე მათ შორის არსებული შეთანხმებისა და ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის პროცესში არსებული კომუნიკაციის შინაარსის დასადგენად და, შესაბამისად, დავის საგნად ქცეული – ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის – საკითხის გადასაწყვეტად.

17. მონმე ნ. ჯ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემისას დაადასტურა, რომ მსჯავრდებულთან დიდი ხნის განმავლობაში მეგობრობდა. მ. გ-თან ერთად ნარკოტიკული საშუალება სხვა დროსაც შეუძენია და მოუხმარია, რომლის საფასურს ხან ის იხდიდა, ხან – მ. გ. მსჯავრდებულის შეკითხვაზე: „ – ეს (ანუ შემთხვევის დღეს შეძენილი) ნაშალი ერთად უნდა მოგვეხმარა თუ არა?“ ნ. ჯ. დაეთანხმა და უპასუხა: „ – როცა ვყიდულობდით, ერთად ვიკეთებდით ხოლმე“. პროკურორის დამაზუსტებელ შეკითხვაზე, ნ. ჯ-მ დასძინა, რომ შემთხვევის დღეს მ. გ-მ ნარკოტიკული საშუალებები გადასცა, თუმცა მათ ერთობლივად მოხმარებაზე წინასწარ არ შეთანხმებულან. მ. გ-ს კი შესთავაზა ნარკოტიკის მოხმარება, მაგრამ მისგან უარი მიიღო.

18. ამდენად, მონმე ნ. ჯ-ს ჩვენებით დგინდება, რომ მ. გ-თან აკავშირებდა ხანგრძლივი, მეგობრული ურთიერთობა. მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე იყო ნარკოდამოკიდებული პირი, წარსულში ერთობლივად არაერთხელ შეუძენიათ და მოუხმარიან ნარკოტიკული საშუალებები. მსჯავრდებულის შეკითხვაზე ნ. ჯ-მ დაადასტურა, რომ ნარკოტიკული საშუალებების საფასურს ხან ერთი იხდიდა, ხან მეორე, ხოლო ერთობლივად შეძენილი ნარკოტიკის ერთობლივად მოხმარება იყო დამკვიდრებული წესი და არა – გამონაკლისი. ამასვე მიუთითებს ასევე შემთხვევის დღეს, ნარკოტიკის გადაცემის შემდეგ, ნ. ჯ-ს შეთავაზება მსჯავრდებულისადმი, მოეხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაზეც მხოლოდ იმიტომ მიიღო უარი, რომ მ. გ-ს, ნარკოტიკული საშუალების შეძენის პროცესში, სავარაუდოდ, უკვე მიეღო სამყოფი დოზა.

19. მ. გ-ს მიერ ნ. ჯ-სათვის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის მიზნების დასადგენად, ასევე მეტად საყურადღებოა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიოვიდეოჩანაწერები, რომელთა შინაარსი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ცხადყოფს, რომ ნ. ჯ-სათვის იმთავითვე ცნობილი იყო ფაქტი – ნარკოტიკულ საშუალებას იგი მ. გ-სგან კი არ ყიდულობდა, არამედ თავადაც ნარკოდამოკიდებულ მსჯავრდებულს დაუკავშირდა სხვა, გამოძიებით დაუდგენელი სავარაუდო გამსაღებელი, რომლისგანაც, მ. გ-ს დახმარებით (შუამავლობით) შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ:

20. 2022 წლის 14 აპრილის შეხვედრისას, ნ. ჯ-ს ავტომანქანაში ჩაჯდომის შემდეგ მ. გ. ეკითხება მას: – „ვყიდულობთ?“, რაზეც ნ. ჯ. პასუხობს: „ – ჰო, გამოართვი რა, ოღონდ ორი ცალის არის.“ მ. გ.: „ – აბა, არაო? ასე, ასე, ასეო? არ გეშინია მერე?“ ნ. ჯ.: „ – რა გავაკეთო?!“ [...] ნ. ჯ.: „ – რაო გუშინ?.. რომ უთხარი, რომ მოდიოდი?“ მ.

გ.: „ – ვუთხარი ძმაო, მაგრამ ახლა, დილით მომწერა, რომ გახდა ექვსის ნახევარი, თვითონ მომწერა ჩემი დედას ...! [...] აბა, ვერ მოდიხართ დღესო. ექვს საათამდე თუ მოხვალთ, ჰოო. მეთქი, კაი!“ სატელეფონო შეტყობინების მიღების შემდეგ მ. გ. განაგრძობს: „ – რაო? აჰა! მიდი, მიდი, წადი, ჭიშკართან“. ნ. ჯ-ს მიერ თანხის გადაცემისას მ. გ. ეკითხება: „ – რამდენია?“, რაზეც ნ. ჯ. პასუხობს: „ – 1200 ლარი“ და მ. გ. გადადის ავტომანქანიდან, რის შემდეგ ბრუნდება და გადასცემს ნარკოტიკულ საშუალებებს ნ. ჯ-ს, რომლის შეთავაზებაზე პასუხობს: „ – არ მინდა“, რაზეც ნ. ჯ. კვლავ სთავაზობს: „ – მიდი!“, ხოლო მ. გ. უხსნის: „ – ჩემს დედას ..., ის ვქენი, მოვიხილდე“ და მოგვიანებით ამატებს: „ – მოვიხილდე მეთქი ახლა და რაღად მინდა, ძმაო, ამდენი, რომ ვიკეთო?“

21. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის საპირისპიროდ, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით, მათ შორის – არც მოწმე ნ. ჯ-ს ჩვენებით, არ დასტურდება მ. გ-თან შეთანხმების ფაქტი, თანხის სანაცვლოდ მიესაღებინა მისთვის ნარკოტიკული საშუალება. იმავდროულად, სასამართლოში არ არის წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალები, რომლებიც ასახავს, ერთი მხრივ, მ. გ-სა და, მეორე მხრივ, გამომძიებით დაუდგენელ, სავარაუდო გამსაღებელს შორის ნარკოტიკების შეძენამდე არსებულ კომუნიკაციას, რომელიც თვალსაჩინოა ნ. ჯ-ს და მ. გ-ს შეხვედრის აუდიო-ვიდეოჩანაწერში; მოწმე ნ. ჯ-ს ჩვენების გათვალისწინებით, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ მის მეგობართან, მასავით ნარკოდამოკიდებულ მ. გ-თან ერთობლივად არაერთხელ შეუძენია და მოუხმარია ნარკოტიკული საშუალება, რომლის საფასურს ხან ერთი იხდიდა, ხან – მეორე; ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიო-ვიდეოჩანაწერების შინაარსის მხედველობაში მიღებით, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ მ. გ. ნ. ჯ-მ თავისი ავტომანქანით მიიყვანა ფონიჭალაში, ნარკოტიკების სავარაუდო რეალიზატორის სახლთან (რომელსაც ნ. ჯ., მისივე მტკიცებით, არ იცნობდა) და რომლისგანაც, მ. გ-ს დახმარებით (შუამავლობით), შეიძინა მან ნარკოტიკული საშუალებები, ასევე – მ. გ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების დაუფლებიდან ნ. ჯ-სათვის გადაცემამდე დროის ხანმოკლე მონაკვეთის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მ. გ-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღებაში დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ნ. ჯ-ს თანხით შეძენილი ჰეროინის მისთვის გადაცემით მ. გ-მ ჩაიდინა – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენაში

დახმარება.

22. საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა არ განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, რომელმაც ერთხელ უკვე განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალების გადაცემა ავტომატურად არ ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების გასაღებას და, რომ, ნარკოტიკული საშუალების ხელიდან ხელში გადაცემა არ გამოორიცხავს – ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებას (იხ.: მუტატის მუტანდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განაჩენი საქმეზე №844აპ-22, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 8).

23. ამრიგად, ვინაიდან უტყუარად არ დასტურდება ნარკოტიკული დანაშაულის თავით ნასამართლევი მ. გ-ს მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღება, არამედ მის ქმედებაში გამოკვეთილია – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების არაერთგზის შეძენაში დახმარება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში მ. გ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.

24. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლისთვისაც მსჯავრი უნდა დაედოს მ. გ-ს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

25. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორ-

ციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ: დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

26. საკასაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი (აღიარა ჩადენილი ქმედება, რასაც სწორი კვალიფიკაცია მიანიჭა სასამართლომ; ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას) და დამამძიმებელი (პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ახალი, განზრახი დანაშაულის ჩადენა, რაც ცალსახად წარმოადგენს ჩადენილი ქმედების მახასიათებელ ისეთ გარემოებას, რომელიც მის საშიშროებას ზრდის) გარემოებების მხედველობაში მიღებით, მიაჩნია, რომ მ. გ.-ს უნდა მიესაჯოს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. ამასთან, ვინაიდან პირობით მსჯავრდებულმა მ. გ.-მ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 იანვრის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მ. გ.-ს, საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ მ. გ.-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა.-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 აპრილის გა-

ნაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლითა და 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 25 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ. გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. მ. გ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 იანვრის განაჩენით მ. გ-ს მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი;

6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით შეფარდებულმა სასჯელმა – 9 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქმას თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 26 იანვრის განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, მ. გ-ს მიესაჯოს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალოს 2022 წლის 10 მაისიდან;

7. მ. გ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამოერთვას – 5 წლით; საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება ჩამოერთვას – 15 წლით, ხოლო სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საადვოკატო საქმიან-

ნობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებუ-
ლებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის
უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შე-
ძენის, შენახვისა და ტარების უფლება – 10 წლით;

საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებებზე ცნობილი:

ნარკოტიკული საშუალება, ნარკოტიკული საშუალების შესაფუ-
თი მასალა და მ. გ-ს ნერწყვის ნიმუში – განადგურდეს;

ლაზერული დისკი – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

**ცაცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის
მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება იმის
მიერ, ვინც ნასამართლევი სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3,
მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული
დანაშაულისათვის**

**ბანაჩანი
საქართველოს სახელით**

№799აპ-23

1 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თაღუმაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ვაკე-საბურთა-
ლოს რაიონული პროკურატურის პროკურორ როინ ხინთიბიძისა და
მსჯავრდებულ დ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – შ.
მ-სა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასა-
მართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 29
მაისის განაჩენზე.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. დ. ა. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ი) 117-ე
მუხლის პირველი ნაწილითა (ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე და-
ზიანება, ე.ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოც-
ხლისათვის) და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის
„ბ“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასა-
ლის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, ჩადენილი
იმის მიერ, ვინც ნასამართლევი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათ-
ვის) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, რაც გა-
მოიხატა შემდეგში:

1.2. 2022 წლის 19 მარტს, ღამით, ქ. თ-ის მიმდებარე ტერიტო-
რიაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 4 აპრილისა

და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 27 ნოემბრის განაჩენებით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლოები დ. ა. მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა, მის მიერ უკანონოდ შეძენილ და შენახულ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას. გ. ჯ-ს ოპერაციისას ამოღებული ერთი ტყვია ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, არის ქარხნული წესით დამზადებული 5,6 მმ კალიბრიანი რგოლური აალების ვაზნის, საბრძოლო მასალის შემადგენელი ნაწილი, განკუთვნილი ამავე კალიბრის პისტოლეტების, რევოლვერების, შაშხანებისა და კომბინირებული თოფების დიდი ჯგუფისათვის. ტყვია ვარგისია იდენტიფიკაციისათვის და გასროლილია 5,6 მმ კალიბრიანი იარაღის ლულიდან.

1.3. 2022 წლის 19 მარტს, ღამით, ქ. თ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. მ-მ, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მარცხენა დუნდულოს არეში სიცოცხლისათვის საშიშვლო სხეულის დაზიანება მიაყენა გ. ჯ-ს.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით:

დ. ა-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

დ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს №.... გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის

განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რაც სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მე-სამე ადგილობრივი საბჭოს №.... გადაწყვეტილებით ჩათვლილია პირობით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც არ გამოირიცხა გ. ჯ-ის ოპერაციისას ამოღებული ტყვიის სანადირო ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შესაძლებლობა, მტკიცებულებათა შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი გადაწყვიტა ბრალდებულის სასარგებლოდ და დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ა. 2022 წლის 19 მარტს, ღამით, თ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ატარებდა მის მიერ უკანონოდ შეძენილ და შენახულ არა – ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას, არამედ – სანადირო ცეცხლსასროლ იარაღსა და მისთვის განკუთვნილ საბრძოლო მასალას. ამასთან, სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, დაადგინა, რომ დ. მ-მ, იარაღის გამოყენებით, მარცხენა დუნდულოს არეში სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანება მიაყენა გ. ჯ-ს.

2.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. მსჯავრდებულ დ. ა-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – შ. მ-მ და ნ. ბ-მ მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ხოლო თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა როინ ხინთიბიძემ მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და დ. ა-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 29 მაისის განაჩენით დაცვისა და ბრალდების მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2023 წლის 29 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა როინ ხინთიბიძემ მოითხოვა დ. ა-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში, ხოლო მსჯავრდებულ დ. ა-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – შ. მ-მ და ნ. ბ-მ მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. კასატორების არგუმენტები:

4.1. ბრალდების მხარის განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით (მონმეთა ჩვენებებით) დასტურდება, რომ დ. ა-ს ხელში ეჭირა მომცრო ზომის პისტოლეტი და არა – სანადირო იარაღი. ამასთან, მსჯავრდებულის მიერ სანადირო იარაღის ფლობა არც ვიდეოჩანაწერიდან იკვეთება, რის გამოც, პროკურორის შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დ. ა-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიციების ნაწილში უკანონოა.

4.2. დაცვის მხარის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა, რადგან იგი ემყარება მონმე პოლიციელთა და დაცვის თანამშრომელთა არასანდო, მათ შორის – ირიბ ჩვენებებს. საქმეში არ მოიპოვება დ. ა-ს მიერ იარაღის ფლობისა და ამ იარაღიდან გასროლის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ადვოკატთა მოსაზრებით, მამხილებელ მტკიცებულებად ვერ გამოდგება ვერც ფარული აუდიო ჩანაწერი, რადგან არ მომხდარა მასში მოსაუბრე პირების იდენტიფიცირება.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების შედეგად, დადასტურებულად მიაჩნია დ. ა-ს მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარებისა და ამ იარაღის გამოყენებით, გ. ჯ-სათვის სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანების მიყენების ფაქტები. თუმცა, არ იზიარებს მსჯავრდე-

ბულის მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5.3. სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ, თვითმხილველ მოწმეთა – ა. ო-ის, დ. მ-ს, ზ. გ-ის, გ. ა-ისა და დ. ო-ის ურთიერთშეთანხმებული და დამაჯერებელი ჩვენებები, სადაც დეტალურად არის გადმოცემული 2022 წლის 19 მარტს, ღამით განვითარებული მოვლენები.

5.4. ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ 2022 წლის 19 მარტს, კონფლიქტი დაიწყო კლუბ „...“, მოგვიანებით კი გაგრძელდა ბ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძეგლის მიმდებარედ, რაც დასრულდა გასროლით. მოწმეებმა ერთმნიშვნელოვნად დაადასტურეს, რომ კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთმა პირმა გაისროლა ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნიდან და აღნიშნეს, რომ სწორედ ამ გასროლის შემდეგ, მონინალმდევე მხარეს არსებული ხუთკაციანი ჯგუფიდან ერთ-ერთი პირი, რომელიც იყო წელს ზემოთ შიშველი, წელზე/საჯდომზე (დუნდულოს მიდამოში) იკიდებდა ხელს. მათ მოგვიანებით შეიტყვეს, რომ აღნიშნული მამაკაცი იყო დაჭრილი. როგორც საქმეში არსებული ფოტოსურათით ამოცნობის ოქმებით დასტურდება, ზემოაღნიშნულმა მოწმეებმა ამოიცნეს დ. ა-ი, რომელიც, მათი განმარტებით, 2022 წლის 19 მარტს მონაწილეობდა კონფლიქტში და რომელმაც გაისროლა იარაღიდან. მოწმეებმა ასევე ამოიცნეს წელს ზემოთ შიშველი მამაკაცი – გ. ჯ., რომელიც დ. ა-ს მიერ იარაღიდან გასროლის შემდეგ, ხელს იკიდებდა საჯდომზე და რომელმაც გასროლის შედეგად, მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება.

5.5. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები თანმიმდევრულია კონფლიქტის დანყების, განვითარების, დ. ა-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნიდან გასროლისა და შემდგომ, წელს ზემოთ შიშველი მამაკაცის მიერ საჯდომის არეში ხელის მოკიდების ფაქტებთან მიმართებით. მოწმეებმა თანმიმდევრულად აღწერეს შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენები. მათი ჩვენებებითა და საქმეში არსებული ამოცნობის ოქმებით ცალსახად დასტურდება დ. ა-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნიდან გ. ჯ-ს ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი. მოწმეთა ჩვენებები ასევე გამყარებულია საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც ადასტურებს შემთხვევის ადგილზე კონფლიქტის არსებობას და შედეგად, წელს ზემოთ შიშველი მამაკაცის ჯანმრთელობის დაზიანებას.

5.6. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის

სასამართლოების შეფასებას, რომ მოწმეთა ჩვენებები შინაარსობრივად არ შეიცავს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობას და სისხლის სამართლის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან მიმართებით შესაბამისობაშია, როგორც ერთმანეთთან, ისე – საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან, რის გამოც, დაცვის მხარის პოზიცია ხსენებულ მოწმეთა ჩვენებების არასანდოობის შესახებ, საფუძველს მოკლებულია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მითითებული მოწმეები, კერძოდ: დ. მ. ი, ზ. გ-ე, გ. ა. და დ. ო. არიან კლუბ „.....“ დაცვის თანამშრომლები, ხოლო ა. ო. – კლუბ „.....“- მენეჯერი. ამდენად, ისინი არიან სრულიად მიუკერძოებელი, ნეიტრალური პირები, საქმის შედეგისადმი ყოველგვარი დაინტერესების გარეშე. შესაბამისად, უსაფუძვლოა დაცვის მხარის მიერ მათი ჩვენებების მოწმე პოლიციელთა ჩვენებების რანგში განხილვა და ამ გზით მათ სანდოობაში ეჭვის შეტანა, მით უფრო, რომ თვით პოლიციელთა ჩვენებებიც კი, ზოგადად, სანდო მტკიცებულებებად მიიჩნევა და არ არსებობს რაიმე წინასწარ დადგენილი სტანდარტი პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებებისადმი იმთავითვე მცირე ან თუნდაც გადაჭარბებული მნიშვნელობის მისანიჭებლად.

5.7. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, იმის შესახებ, რომ გამამტყუნებელი განაჩენი, თითქოს, ემყარება მოწმე პოლიციელების ჩვენებებს. სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციელები ადასტურებენ მათ მიერ ან მათი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების სისწორეს და არა – სადავო ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ, მათი ჩვენებები არარელევანტურია დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის დაზიანების მიყენების ვითარებისა და მისი მიმყენებელი პირის ვინაობის დადგენის თვალსაზრისით, ხოლო ჩვენებათა ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დანაშაულის ფაქტს შეეხება, წარმოადგენს ირიბ ჩვენებას, რის გამოც, სასამართლო მოკლებულია მისი გაზიარების შესაძლებლობას. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორედ ამ არგუმენტაციაზე დაყრდნობით არ დაუდეს საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს პოლიციელთა ჩვენებები.

5.8. ზემოაღნიშნულ თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები შესაბამისობაშია სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 15 აპრილს №..... დასკვნის შედეგთან, რომლის თანახმად, პაციენტის სამედიცინო ბარათის მონაცემების მიხედვით, გ. ჯ-მ 19.03.2022 წელს, 04:54 საათზე მიმართა შპს „....ს სახ. ცენტრს“ და დაესვა დიაგნოზი: მარცხენა დუნდულოს მიდამოს შემავალი ცეცხლნასროლი ჭრილობა,

მარჯვენა თეძოს შიგნითა არტერიის ტოტების დაზიანებით, ჰემოპერიტონეუმი, პოსტჰემორაგიული ანემია, სუნთქვის მწვავე უკმარისობა. დაზიანება განვითარებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის მოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის საშიფათოს. დაზიანების ხანდაზმულობა არ ენიშნა დედგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს.

5.9. ასევე, საგულისხმოა, რომ 2022 წლის 19 მარტის ამოღების ოქმის თანახმად, გ. ჩ-გან (მიმღების ექიმი) ამოიღეს გ. ჯ-ს სხეულიდან ამოღებული ტყვიის გულა, მონიტალო ფერის ლაქებით.

5.10. ზემოთგანხილული მტკიცებულებების (თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებების, ამოცნობის ოქმების, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების) მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლოს გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია დ. ა-ს მიერ, იარაღიდან გასროლით, გ. ჯ-სათვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტი – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5.11. რაც შეეხება დ. ა-ს მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, შეაფასებს ბრალდების მხარის მიერ სადავოდ გამოხდარ გარემოებას, რაც უკავშირდება სააპელაციო სასამართლოს მიერ დ. ა-ს მფლობელობაში არსებული იარაღის სახის განსაზღვრას.

5.12. საქმეში არსებული საქართველოს შსს-ის საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2022 წლის 20 მარტის №..... ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი ერთი ტყვია არის ქარხნული წესით დამზადებული, 5,6 მმ კალიბრიანი რგოლური აალების ვაზნის, საბრძოლო მასალის შემადგენელი ნაწილი, განკუთვნილი ამავე კალიბრის პისტოლეტების, რევოლვერების, შაშხანების და კომბინირებული თოფების დიდი ჯგუფისათვის. ტყვია ვარგისია იდენტიფიკაციისათვის და გასროლილია 5,6 მმ კალიბრის იარაღის ლულიდან.

5.13. საგულისხმოა, რომ ექსპერტიზის დასკვნით კატეგორიულად ვერ დადგინდა, თუ რომელი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლეს გ. ჯ-ს ოპერაციისას ამოღებული ტყვია. ექსპერტმა ნ. ლ-მ, მის მიერ მიცემულ ჩვენებაში, გამოორიცხა ამ გარემოების დადგენის შესაძლებლობა და განმარტა, რომ ტყვია, შესაძლოა, გასროლილი ყოფილიყო ყველა ტიპის იარაღიდან, რომელსაც გააჩნია ხსენებული კალიბრის ლულა, მათ შორის, ქარხნული წესით დამზადებული პისტოლეტიდან, რევოლვერიდან (ბარაბნიანი), კომბინი-

რებული სანადირო (გარდა გლუველულიანი) თოფებიდან.

5.14. ამდენად, ვინაიდან ექსპერტმა არ გამოიციხა ექსპერტიზაზე წარდგენილი – გ. ჯ-ს ოპერაციისას ამოღებული ტყვიის სანადირო ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შესაძლებლობა, მტკიცებულებათა შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი სამართლიანად გადაწყდა ბრალდებულის სასარგებლოდ და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სწორად დაადგინეს დ. ა-ს მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების ფაქტი.

5.15. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ბრალდების მხარის არგუმენტს იმის შესახებ, რომ თითქოს, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება დ. ა-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურორის მიერ მითითებული მონმეტა ჩვენებები არაინფორმატიულია მსჯავრდებულის მფლობელობაში არსებული იარაღის სახის დადგენის თვალსაზრისით. კერძოდ, მონმეტები ადასტურებენ მსჯავრდებულის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნის ფლობას, თუმცა, ვერ აკონკრეტებენ იარაღის სახეს. ამასთან, პროკურორის მიერ მითითებული გარემოება, რომ ვიდეოჩანაწერშიც არ ჩანს მსჯავრდებულის მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა, ვერ გააქარწყლებს სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას.

5.16. ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო დ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, მსჯავრდებულის მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და ამ იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა, ტარებას, თუმცა არ ეთანხმება ქმედების სამართლებრივ შეფასებას ზემოაღნიშნული კვალიფიკაციით, შემდეგ გარემოებათა გამო:

5.17. სააპელაციო სასამართლომ, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილად მიიჩნია დ. ა-ს მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა, ტარება, მსჯავრდებულის ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობას სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვისათვის, ხოლო კვალიფიკაციის მიღმა დატოვა სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ ტარება.

5.18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს სისხლისსამართლებრივ

პასუხისმგებლობას ამავე მუხლით დანაშაულის საგნად მიჩნეული ნებისმიერი ცეცხლსასროლი იარაღის, მათ შორის – სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებისათვის, ხოლო აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ქმედება – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარება, ჩადენილი ამავე მუხლის მე-3, მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, განაპირობებს ქმედების კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

5.19. სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დ. მ-მ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის ტარება ჩაიდინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით ნასამართლობის პირობებში. შესაბამისად, დ. ა-ს ქმედება სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

5.20. რაც შეეხება მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციას სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვისათვის, საგულისხმოა, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილი მოიცავს მხოლოდ ამავე მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედებებს და არ მოიაზრებს ამავე მუხლის პირველ ნაწილს – სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ანდა ასეთი იარაღისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვას. შესაბამისად, დ. ა-ს მიერ სანადირო ცეცხლსასროლი იარაღისა და მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა ვერ იქნება მოცული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რის გამოც, მსჯავრდებულის ქმედება საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5.21. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, დ. ა-ს ბრალად წარედგინა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა) და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარება) გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ნასამართლევი პირის მიერ – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. შესაბამისად, დ. ა-სათვის

ბრალად წარდგენილი კვალიფიკაცია სრულად მოიცავდა ბრალდების შესახებ დადგენილებაში აღწერილ ინკრიმინირებულ ქმედებებს – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა, ტარებას. თუმცა, სასამართლოს მიერ დანაშაულის საგნად სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის მიჩნევა, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის რედაქციის გათვალისწინებით, ინვეს პირის ქმედების კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით – საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ტარების ნაწილში) და ამავე მუხლის პირველი ნაწილით (შეძენა, შენახვის ნაწილში).

5.22. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა და კვლავაც აღნიშნავს, რომ სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გასცდეს ბრალდების ფარგლებს და ბრალად წარდგენილი ქმედების (იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენა, შენახვა, ტარების) დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირებით გააუარესოს პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რის გამოც, სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. ა-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

5.23. რაც შეეხება მსჯავრდებულისთვის სასჯელის განსაზღვრას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვიდან თერთმეტ წლამდე.

5.24. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს დ. ა-ს მიერ ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს. კერძოდ, ჩადენილია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, მომეტებული საშიშროების მქონე დანაშაული, რაც, თავის მხრივ, არა მარტო ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგს, არამედ მნიშვნელოვნად ამაღლებს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესაძლო ხელყოფის საფრთხეს. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ დ. ა-ს სასამართლობა, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს, რის გამოც, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასჯელის სავალდებულო წესით გამკაცრების საფუძველი. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხ-

ლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის უნდა შეეფარდოს მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, ერთი მხრივ, სრულად შეესაბამება ჩადენილი ქმედების საშიშროებასა და ხასიათს, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

5.25. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის შეფარდებულ სასჯელს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთას (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენდა სამიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთას), სააპელაციო სასამართლომ, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახისა და ხერხის (ჩადენილია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება იარაღის გამოყენებით), დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის მხედველობაში მიღებით, მსჯავრდებულს განუსაზღვრა პროპორციული და სამართლიანი სასჯელი, გამოიყენა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც შეესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია, არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დ. ა-სთვის საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. ა-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – შ. მ-სა და ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურორის პროკურორ როინ ხინთიბიძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2023 წლის 29 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. დ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

6. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები – სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს 2021 წლის 27 აპრილის №.... გადაწყვეტილებით დ. ა-სთვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი;

7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით;

8. დ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2022 წლის 20 მარტიდან. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დ. ა-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

10. ნივთიერი მტკიცებულებების საკითხი გადაწყდეს გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას;

11. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. სამოხელეო დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ფარგლებში პოლიციელისთვის ბრალად პერაცხული შედეგი – დაზარალებულის სიცოცხლის ხელყოფა, არ შეიძლება წარმოადგენდეს ბრალდების მხარის მიერ სამართლებრივი უფლებამოსილების გადაშეშებულ მიჩნეულ იარაღის პასიური გამოყენების დემონსტრირების შედეგს

(ბანაჩენს თან ახლავს მოსამართლის განსხვავებული აზრი)

ბანაჩენი საქართველოს სახელით

№696აპ-23

21 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თაღუმაძე**

ზეპირი მოსმენით განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ანრი არსენიშვილისა და მსჯავრდებულ ე. წ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. ჩ-ს და თ. გ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განაჩენზე.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ე. წ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეშება, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი იარაღის გამოყენებით) და საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 12 ივნისის ბრძანებით ე. წ. დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ-ს სამმართველოს უფროსი დეტექტივის თანამდებობაზე და წარმოადგენდა მოხელეს. 2022 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 17:40 საათზე, ე. წ. იმყოფებოდა ქ. თ-ში, სადაც მეწყვილესთან ერთად ასრულებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას. დანაშაულის შესახებ მიღებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, იგი მეწყვილესთან ერთად მივიდა დ-ის მიმდებარედ – ზ. გ-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის შესაძლო ადგილას და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წინაპირობების არარსებობის მიუხედავად, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, შეეცადა ზ. გ-ს დაკავებას. ზ. გ. არ დაემორჩილა ე. წ.-ს მოთხოვნას, რის გამოც, ე. წ. შეეცადა მის დაკავებას შებოჭვის გზით, რა დროსაც ხელში ეჭირა ცეცხლსასროლი იარაღი. დაკავებისას ე. წ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუფრთხილებლობით გაისროლა ზ. გ-ს მიმართულებით, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 ნოემბრის განაჩენით:

ე. წ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე 1 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;

საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ე. წ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად 1 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

2.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 ნოემბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში

გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა ანრი არსენიშვილმა მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ე. წ.-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა. მსჯავრდებულ ე. წ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა თ. გ.-მ მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ე. წ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა ანრი არსენიშვილმა მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ე. წ.-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა. მსჯავრდებულ ე. წ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ი. ჩ.-მ და თ. გ.-მ მოითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ე. წ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. კასატორების არგუმენტები:

4.1. ბრალდების მხარის განმარტებით, ე. წ.-სათვის დანიშნული სასჯელის ზომა არ შეესაბამება ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებას. კერძოდ, სასამართლომ არ გაითვალისწინა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, ხასიათი, მისი ჩადენის ხერხი და შედეგად საგამოძიებო უწყების ავტორიტეტის შელახვის ფაქტი. ამასთან, ე. წ. არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან და დაზარალებულის უფლებამონაცვლეც ითხოვდა მისთვის მკაცრი სასჯელის შეფარდებას. ამ გარემოებების გათვალისწინებით, კასატორის მოსაზრებით, დანიშნული სასჯელის ზომა ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

4.2. დაცვის მხარის განმარტებით, ბრალდების მხარე ე. წ.-ს ედავება ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებას ანუ მის პასიურ გამოყენებას „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წინაპირობების არარსებობის მიუხედავად, მაშინ როდესაც, ხსენებული კა-

ნონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები მიემართება ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ და არა – პასიურ გამოყენებას. ადვოკატთა მტკიცებით, ე. წ-ს ჰქონდა უფლებამოსილება, ლეგიტიმური მიზნების – პირის დაკავებისა და მტკიცებულების განადგურების პრევენციის – მისაღწევად, პასიურად გამოეყენებინა ცეცხლსასროლი იარაღი და მოეხდინა მისი დემონსტრირება. ამდენად, კასატორების მოსაზრებით, ე. წ-ს უფლებამოსილებისათვის არ გადაუმეტებია. ამასთან, ადვოკატების განმარტებით, იარაღიდან შემთხვევით გასროლა განაპირობა დაზარალებულის მიერ განუღმმა წინააღმდეგობამ და რომ არა ამგვარი წინააღმდეგობა, ვერც საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი დადგებოდა, რის გამოც, დამდგარი შედეგი არ შეიძლება შეერაცხოს ე. წ-ს.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარეშობათა გამო:

5.2. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ დაცვის მხარისათვის სადავოა ე. წ-ს მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს, მოცემულ შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირება (პასიური გამოყენება) მიიჩნევა თუ არა მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად და შესაძლებელია თუ არა საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი შეერაცხოს ე. წ-ს.

5.3. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას ე. წ-ს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, ამკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უტყუარად დასტურდება ბრალდების ამ ნაწილში ე. წ-ს მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედების ჩადენა, კერძოდ:

5.4. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით უტყუარად დადგენილია და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ, რომ ე. წ., 2022 წლის 18 აპრილის მდგომარეობით, მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.... უფროსი დეტექტივის პოზიციაზე და წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. ე.

ნ-მ 2014 წლის 16 აპრილს დადო პოლიციელის ფიცი და საქართველოს შსს-ს აკადემიაში სწავლის პერიოდში გაიარა და ჩააბარა საცეცხლე მომზადების სპეციალური სრული კურსი. უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ 2022 წლის 18 აპრილს, ე. წ. იმყოფებოდა დაბა ნ-ში და მეწყვილესთან ერთად ასრულებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას. ასევე, უდავო გარემოებაა, რომ d.... მთავარი სამმართველოს მეოთხე სამმართველოს უფროსმა – დ. ქ-მ, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, d.... სამმართველოს თანამშრომლისგან – გ. ბ-სგან მიიღო ინფორმაცია, რომ ნ... ქუჩაზე, შემთხვევით დაინახა, რომ უცნობი მამაკაცი მიწაში რაღაც ნივთს ეძებდა და მიიჩნია, რომ ეს შესაძლოა, ყოფილიყო ნარკოტიკული საშუალება. 2022 წლის 18 აპრილს, დ. ქ. სამსახურებრივ უფლებამოსილებას ასრულებდა ე. წ.-სთან ერთად და გ. ბ-სგან მიღებული ინფორმაციის გადასამოწმებლად, გავიდნენ შემთხვევის ადგილზე.

5.5. საქმეში არსებული მტკიცებულებებით (თვითმხილველი მოწმეების – მ. გ-ს, ხ. ხ-ს, დ. ქ-ის ჩვენებებით) დადასტურებულია, რომ სამოქალაქო ფორმაში მყოფი ე. წ. მივიდა ზ. გ-თან იმ დროს, როდესაც იგი სავარაუდოდ აკრძალული საგნის ძებნით იყო დაკავებული. ზ. გ-მ ნივთის ძებნა გააგრძელა ნ. ხ-სგან ნათხოვარი ნიშნის გამოყენებით, მალევე იპოვა ძებნის ობიექტი და სწრაფი სვლით წავიდა ავტომანქანისკენ – „ტაქსისაკენ“, რომლითაც მისული იყო შემთხვევის ადგილზე. ე. წ.-მ ზ. გ-ს მიმართა – „დაკავებული ხარ!“ და იარაღის დემონსტრირებით გაჰყვა მას. ამ დროს ზ. გ-მ პირში ჩაიდო მიწაში ნაპოვნი ნივთი. ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებით, ე. წ.-მ დაიჭირა ზ. გ. და იარაღიანი ხელი ილღიის ქვეშ ამოსდო. შემდეგ კი მათ შორის დაწყებული ძიძგილაობის დროს მოხდა გასროლა.

5.6. სამედიცინო, ჰისტოლოგიური, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის №.... დასკვნით დგინდება, რომ სიკვდილი გამოწვეულია გულმკერდისა და მუცლის გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობით – მარცხენა ფილტვის, კუჭის, მუცლის აორტისა და მარჯვენა თირკმლის დაზიანებით, მასიური შინაგანი სისხლდენითა და მწვავე სისხლნაკლებობის განვითარებით. ამასთან, ზ. გ-ს გვამზე არსებული დაზიანება განვითარებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი მეტალ ტყვიის შემცველი ჭურვის მოქმედების შედეგად, ცოცხალ პირთა ექსპერტიზისას, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. სროლა ნაწარმოებია მიბჯენით. ასევე, დადგენილია, რომ ცეცხლნასროლი დაზიანება უშუალო მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგე-

ბა თარიღს – 2022 წლის 18 აპრილს.

5.7. ბალისტიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით დგინდება, რომ ე. წ-ს სამსახურებრივი იარაღი წარმოადგენს სტანდარტულ, ქარხნული წესით დამზადებულ, უცხოური (ისრაელის) წარმოების, ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიაში შემავალ, 9 მმ კალიბრიან „JERICO 941 PSL“ მოდელის №... პისტოლეტს სტანდარტული მჭიდით. იგი ვარგისია სროლისათვის და მისგან სასხლეტის გამოწვევის გარეშე გასროლა არ ხდება. პისტოლეტს გააჩნია მცველი ალამი, რაც დამცველ პოზიციაში კეტავს სასხლეტ ფეხს და არ იძლევა გასროლის საშუალებას, ასევე, გააჩნია დამცავი სისტემის ჩახმაზი, რომლის ნაწილობრივ უკან გადაწევა, იგი დგება მცველ პოზიციაში და იცავს მას ნემსასთან შემთხვევით კონტაქტისგან. გამოსაკვლევად წარდგენილი ვაზნები და მასრა განკუთვნილია, მათ შორის, გამოსაკვლევად წარდგენილი „JERICO 941 PSL“ მოდელის პისტოლეტისთვის. გამოსაკვლევი მასრა ნასროლია „JERICO 941 PSL“ მოდელის №... პისტოლეტიდან. გარდა ამისა, გამოსაკვლევად წარდგენილ ზ. გ-ს ქურთუკზე, ჯემპრსა და მაისურზე არსებული №.. დაზიანება ცეცხლნასროლი წარმოშობისაა, შემავალია და განვითარებულია სპილენძის შემცველი ჭურვით ძლიერ ახლო, დიდი ალბათობით, მიბჯენით სროლისას. იგი შესაბამეზე სხეულზე მდებარე შემავალ ცეცხლნასროლ დაზიანებას. №.. დაზიანება წარმოადგენს გამავალ ცეცხლნასროლ დაზიანებას, რომელიც შეესაბამება სხეულზე არსებულ გამავალ ცეცხლნასროლ დაზიანებას.

5.8. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის დადგომა თავად დაზარალებულის წინააღმდეგობამ განაპირობა. სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციელისათვის სრულიად მოსალოდნელი და განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო დაკავების მომენტში შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირისაგან წინააღმდეგობის განევა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ე. წ. საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ცეცხლსასროლი იარაღით ხელში შეეცადა ზ. გ-ს შებოჭვასა და მის დაკავებას. მართალია, მოქმედი კანონმდებლობა პოლიციელს არ უკრძალავს საბრძოლო მდგომარეობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღით გადაადგილებას, მაგრამ პოლიციელს ევალება დაიცვას შესაბამისი წინდახედულობის ნორმა, რაც ცეცხლსასროლ იარაღთან სათანადო მოპყრობას გულისხმობს. მოცემულ შემთხვევაში, პირის დაკავების პროცესში, ე. წ-მ დაარღვია წინდახედულობის ნორმა, რამაც გამოიწვია შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი. დაზარალებულის მხრიდან განეული წინააღმდეგობა არ ყოფილა მიზე-

ზოპრიობის ჯაჭვიდან იმგვარი გადახრა, რასაც ვერ გაითვალისწინებდა მსჯავრდებული. შესაბამისად, წინდახედულობის ნორმის დარღვევით დამდგარი შედეგი სწორედ ე. წ-ს შეერაცხება.

5.9. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ე. წ-ს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ე. წ-ს მიერ ჩადენილი ქმედება არ შეიცავს ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

5.10. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბრალდების მხარე ე. წ-ს ედავება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, რაც გამოიხატა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წინაპირობების არარსებობის პირობებში, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი სამსახურებრივი სამტატო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ზ. გ-ს დაკავების დროს მისი შებოჭვისას, დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობით, იარაღიდან გაუფრთხილებლობით გასროლის შედეგად.

5.11. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესს განსაზღვრავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური და პასიური გამოყენების ფორმებს. კერძოდ, ხსენებული მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღის პასიურ გამოყენებად ითვლება პოლიციელის მიერ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად იარაღის დემონსტრირება, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ გამოყენებად ითვლება იარაღიდან გამიზნული გასროლა. იმავდროულად, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტი ამომწურავად ადგენს პოლიციელის მიერ უკიდურესი ღონისძიების სახით ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევებს. ბრალდების მხარე ე. წ-ს ედავება ცეცხლსასროლი იარაღიდან არა – გამიზნულ გასროლას (აქტიურ გამოყენებას), არამედ – მის დემონსტრირებას (პასიურ გამოყენებას). განსახილველ შემთხვევაში, დაცვის მხარის მიერ სადავოდ გამხდარ გარემოებას და საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, მიემართება თუ არა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით ამომწურავად დადგენილი ლეგიტიმური მიზნები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების როგორც აქტიურ, ისე პასიურ ფორმას.

5.12. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხსენებული ნორ-

მა ადგენს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევებს და არ შეიცავს მითითებას მისი გამოყენების ფორმების (პასიური და აქტიური) შესახებ. ნორმის გრამატიკული, სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, იგი შესაძლოა, მიემართებოდეს ცეცხლსასროლი იარაღის როგორც აქტიური, ისე – პასიური გამოყენების შემთხვევებს, თუმცა, საკასაციო სასამართლო არ შემოიფარგლება ნორმის მხოლოდ გრამატიკული განმარტებით და ყურადღებას მიაქცევს კანონის სისტემურ განმარტებას, კერძოდ:

5.13. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს რა ცეცხლსასროლი იარაღის პასიური გამოყენების დეფინიციას, მის წინაპირობად ადგენს ლეგიტიმური მიზნის არსებობას, თუმცა, ამავე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც განმარტავს ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ გამოყენებას, განსხვავებით მე-3 პუნქტისაგან, არ მიუთითებს ლეგიტიმური მიზნის არსებობაზე, თუმცა, საგულისხმოა, რომ მას მოსდევს მე-5 პუნქტი, რომელიც ამომწურავად ადგენს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევებს.

5.14. ზემოაღნიშნულ ნორმათა სისტემური განმარტებიდან გამომდინარე, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტი წარმოადგენს ამავე მუხლის მე-4 პუნქტის (იარაღის აქტიური გამოყენების) კონკრეტიზაციას და ამომწურავად განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის სწორედ აქტიური გამოყენების შემთხვევებს, ხოლო იარაღის პასიური გამოყენებისათვის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტი საკმარისად მიიჩნევა ნებისმიერი ლეგიტიმური მიზნის არსებობას, რის შესახებაც ამავე პუნქტში პირდაპირაა მითითებული. თუ დავუშვებთ, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი შემთხვევები მიემართება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ორივე ფორმას, მაშინ გაუგებარია, რატომ მიეთითა ამავე მუხლის მე-3 პუნქტში (პასიური გამოყენება) დამატებით ლეგიტიმური მიზნის არსებობის შესახებ, მაშინ როდესაც მსგავსი მიდგომა არ გვხვდება მე-4 პუნქტში (აქტიური გამოყენება).

5.15. საგულისხმოა, რომ ამ მიდგომას ცხადყოფს ნორმის ისტორიული განმარტებაც. კერძოდ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს 2013 წლის 4 ოქტომბრის კანონის ამოქმედებამდე, ხსენებული კანონის ძველი რედაქცია (კერძოდ, კანონის მე-13 მუხლი) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად მხოლოდ გამიზნულ გასროლას (დღეისათვის – აქტიურ გამოყენებას) მიიჩნევდა და ცალკე პუნქტად დადგენილი უკიდურესი ღონისძიების სახით იარაღის გამოყენების საფუძვლები მხოლოდ მას მიემართებოდა. საგულისხმოა,

რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს ახალმა კანონმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გამიზნულ გასროლას უწოდა აქტიური გამოყენება და იმავე რედაქციით შეინარჩუნა როგორც მისი დეფინიცია, ისე მისთვის დადგენილი საფუძვლები. იმავდროულად, ახალი კანონის 34-ე მუხლს ცალკე პუნქტად დაემატა ცეცხლსასროლი იარაღის პასიური გამოყენების ცნება და იქვე დაკონკრეტდა ლეგიტიმური მიზნის არსებობის საჭიროება.

5.16. ამდენად, ნორმის განმარტების მეთოდთა გამოყენებით, საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით ამოწმურავად დადგენილი საფუძვლები (ლეგიტიმური მიზნები) მიემართება ცეცხლსასროლი იარაღის მხოლოდ აქტიურ გამოყენებას, ხოლო პასიური გამოყენებისათვის დასაშვებია ნებისმიერი ლეგიტიმური მიზნის არსებობა.

5.17. ნორმის ამგვარი განმარტება იმ დასაბუთებითაც აიხსნება, რომ იარაღის აქტიური და პასიური გამოყენება თავისი ხასიათით, ბუნებით, საშიშროებით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. შესაბამისად, შეუძლებელია, კანონმდებელი ამ ორი არსებითად განსხვავებული შემთხვევისათვის – ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებისა და იარაღიდან გამიზნული გასროლისათვის – აბსოლუტურად იდენტურ საფუძვლებს ადგენდეს.

5.18. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების შინაარსს და აღნიშნავს, რომ თითოეული შემთხვევა, რომელიც უშვებს პოლიციელის მიერ უკიდურესი ღონისძიების სახით ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას (პირისა და საკუთარი თავის დასაცავად, როდესაც საფრთხე ექმნება სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; უკანონოდ თავისუფლებათა დაცვით გასათავისუფლებლად; მისთვის წინასწარი ცნობით ძალადობრივი ქმედებისათვის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დაკავებულის გაქცევის აღსაკვეთად; ძალადობრივი დანაშაულის აღსაკვეთად, თუ პირი წინააღმდეგობას უწევს პოლიციელს; დაცულ ობიექტზე, სახელმწიფო ორგანოზე ან/და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე თავდასხმის მოგერიებისას; საშიში ცხოველის თავდასხმისაგან ადამიანის დასაცავად; სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით მისი დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და მძღოლი არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ, გარდა მოძრავი სატრანსპორტო საშუალებიდან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებისათვის სროლისა) ასახავს

იმგვარ ექსტრემალურ ვითარებას, რომელთა განეიტრალება სწორედ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიური გამოყენებით მიიღწევა.

5.19. ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირება (პასიური გამოყენება) „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოითხოვს სათანადო ლეგიტიმური მიზნის არსებობას, რაც, მათ შორის, შესაძლოა იყოს დაცვის მხარის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნებიც – პირის დაკავება და მტკიცებულების განადგურების პრევენცია, რომლებიც ნამდვილად წარმოადგენს ღირებულ საჯარო ინტერესს.

5.20. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, განმარტავს, რომ მარტოოდენ ლეგიტიმური მიზნის არსებობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პირის ქმედება მოექცეს კანონით გათვალისწინებულ საზღვრებში. პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თანაზომიერების პრინციპი, რომლის ძირითადი დატვირთვა ადამიანის უფლებების შეზღუდვისას სახელმწიფოსთვის ფარგლების განსაზღვრაა. იგი კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შეზღუდვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი ღონისძიება წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაძევ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60). სწორედ აღნიშნულ სტანდარტს განამტკიცებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლიც, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შერჩეული საპოლიციო ღონისძიება უნდა იყოს გამოსაძევი, აუცილებელი და პროპორციული.“

5.21. სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირება ლეგიტიმური მიზნის – პირის დაკავებისა და მტკიცებულების განადგურების პრევენციის – მიღწევის გამოსაძევი საშუალებაა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, რამდენად იყო პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის დემონ-

სტორიება ხსენებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელი (ყველაზე ნაკლებად მზლუდავი საშუალება) და რამდენად იყო შესაძლებელი იარაღის დემონსტრირების გარეშე ლეგიტიმური მიზნის მიღწევა.

5.22. საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ, მოწმეების – მ. გ-სა და დ. ქ-ის ჩვენებით დგინდება, რომ მას შემდეგ, რაც ზ. გ-მ მიიღო ამოიღო ნივთი, სწრაფი სვლით გაემართა ტაქსისკენ, რომელიც იქვე ელოდებოდა, გააღო ავტომანქანის კარი და მძღოლს სთხოვა, რომ წასულიყვნენ. ამ დროს კი ე. წ-მ იარაღის დემონსტრირებით მიმართა: „არ გაინძრე, დაწექი, დაკავებული ხარ“. ამის შემდეგ, ზ. გ-მ სწრაფად შემოუარა ავტომანქანას და მიიღო ამოღებული საგანი გადაყლაპა.

5.23. თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებების გაანალიზების შედეგად, ირკვევა, რომ ზ. გ. შემთხვევის ადგილას მისული იყო ავტომანქანით, რომელიც იქვე ელოდებოდა და ჰქონდა შესაძლებლობა, ნივთის პოვნის შემდეგ დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ტერიტორია. სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ე. წ. შემთხვევის ადგილას – ზ. გ-თან ახლოს – იმყოფებოდა მარტო, ხოლო მენყვილე ავტომანქანაში მოშორებით ელოდებოდა. მოწმე დ. ქ-ის განმარტებით, ოპერატიული ფუნქციების მიზნებიდან გამომდინარე ე. წ-ს იმ დროს ხელბორკილიც კი არ ჰქონდა. მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ ზ. გ. ნივთის პოვნის შემდეგ სწრაფად გაემართა ავტომანქანისკენ და შეეცადა დაეტოვებინა შემთხვევის ადგილი. თავის მხრივ, ე. წ. ფლობდა ოპერატიულ ინფორმაციას, რომ ზ. გ-ს მიერ ნაპოვნი ნივთი წარმოადგენდა ნარკოტიკულ საშუალებას. შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე წასწრება კი, მას, როგორც პოლიციელს ავალდებულებდა ემოქმედა კანონის შესაბამისად – აღეკვეთა სავარაუდო დანაშაულის მიმალვა და მტკიცებულების განადგურება. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ე. წ. აღმოჩნდა სწრაფი რეაგირების საჭიროების წინაშე და ევალუბრებოდა, ემოქმედა ეფექტიანად პირის დაკავებისა და მტკიცებულების განადგურების აღკვეთის მიზნით.

5.24. ამდენად, ე. წ. ვალდებული იყო გამოეყენებინა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად მის ხელთ არსებული გამოსადეგი, ყველაზე ეფექტიანი და იმავდროულად, ნაკლებად მზლუდავი საშუალება. სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, ვერ დასტურდება, რომ ე. წ-ს ხელთ არსებობდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის სხვა ნაკლებად მზლუდავი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა პირის დაკავებასა და მტკიცებულების განადგურების თავიდან აცილებას.

5.25. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ დგას

თანაზომიერების ტესტის შემდგომი ეტაპის – პროპორციულობის შეფასების საჭიროების წინაშე, რადგან პოლიციელის მიერ განხორციელებული აუცილებელი საპოლიციო ღონისძიების პროპორციულობა გულისხმობს კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანის ნაკლებ მნიშვნელობას იმ სიკეთესთან შედარებით, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა. განსახილველ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ ე. წ.ს მიერ იარაღის დემონსტრირება ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს და წარმოადგენდა მიზნის მიღწევის გამოსადეგ, აუცილებელ საშუალებას, მას ზიანიც კი არ გამოუწვევია. კერძოდ, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ფარგლებში ე. წ.სათვის ბრალად შერაცხილი შედეგი – ფიზიკური პირის უფლების დარღვევა, კერძოდ, დაზარალებულის სიცოცხლის ხელყოფა, არ შეიძლება წარმოადგენდეს ბრალდების მხარის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად მიჩნეულ იარაღის პასიური გამოყენების – დემონსტრირების შედეგს, რადგან დაზარალებულის გარდაცვალება გამოიწვია არა იარაღის დემონსტრირებამ, არამედ – წინდახედულობის ნორმის დარღვევამ, რამაც განაპირობა პირის მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით. რაც შეეხება საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას, იმ პირობებში, როდესაც ე. წ.ს კანონის შესაბამისად ჰქონდა იარაღის დემონსტრირების უფლება და იმავდროულად, მან ეს უფლება განახორციელა თანაზომიერების პრინციპის დაცვით, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესის არსებითი დარღვევა საფუძველშივე გამოირიცხება. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ როგორც უკვე აღინიშნა, თავის მხრივ, საბრძოლო მდგომარეობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის ფლობაც არ წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობით პოლიციელისათვის აკრძალულ ქმედებას.

5.26. ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ ე. წ. მოქმედებდა რა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის პასიური გამოყენების – დემონსტრირების უფლება და მან ეს უფლება განახორციელა თანაზომიერების პრინციპის დაცვით. შესაბამისად, მის ქმედებაში არ იკვეთება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ნიშნები, რის გამოც, ე. წ. უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

5.27. რაც შეეხება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარს მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის გამკაცრების შესახებ, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ე. წ. საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში უნდა გამართლდეს, საკასაციო სასამართლო სასჯელის პროპორციულობას შეაფასებს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სანქციის ფარგლებში.

5.28. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც შესაბამისი მუხლის სანქციის ფარგლებშია, არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნისას გასათვალისწინებელ გარემოებებსა და ამავე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ სასჯელის მიზნებს.

5.29. რაც შეეხება პროკურორის მიერ საკასაციო საჩივარში მოთითებულ არგუმენტებს იმის შესახებ, რომ ე. წ. არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან და დაზარალებულის უფლებამონაცვლეც ითხოვდა მისთვის მკაცრი სასჯელის შეფარდებას, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ მითითებული გარემოებები (დანაშაულის აღიარება, გამოძიებასთან თანამშრომლობა, დაზარალებულთან შერიგება) წარმოადგენს მსჯავრდებულის უფლებას და არა – ვალდებულებას, ხოლო უფლების გამოყენებაზე უარის თქმა ვერ გახდება სასჯელის დამძიმების საფუძველი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ივნისის №952აპ-20 განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 8 იანვრის №633აპ-20 განჩინება). იმავდროულად, პირისათვის წარდგენილი ბრალდების არაღიარების პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა ირიბად ეწინააღმდეგება ბრალდებულის თვითინკრიმინაციისაგან დაცვის ფუნდამენტურ უფლებას, ხოლო, გამოძიებასთან თანამშრომლობა წამახალისებელი ნორმაა და შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის შემსუბუქებისას და არასწორია საპირისპიროს პასუხისმგებლობის დამამძიმებლად მიჩნევა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 29 დეკემბრის №607აპ-20 განჩინება). ამასთან, იმ პირობებში, როდესაც ე. წ. საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის

მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში უნდა გამართლდეს, საფუძველი გამოეცალა პროკურორის მიერ სასჯელის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად მითითებულ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის უგულებელყოფას და ამ ფაქტზე აპელირებით ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების წარმოჩენას.

5.30. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ე. წ.-სათვის საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ე. წ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. ჩ.-ს და თ. გ.-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ანრი არსენიშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ე. წ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

5. ე. წ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

6. ე. წ.-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია. ე. წ.-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს დაკავების დღიდან – 2022 წლის 18 აპრილიდან;

7. გასაჩივრებული განაჩენი ნივთიერი მტკიცებულებების საკითხის გადაწყვეტის ნაწილში დარჩეს უცვლელად;

8. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე პალატი თაღუმაძის განსხვავებული აზრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 ნოემბრის განაჩენზე მსჯავრდებულ ე. ნ-ს მიმართ

1. ე. ნ-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, არ ვეთანხმები ჩემი კოლეგა მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და თავს ვალდებულად მივიჩნევ დავრჩე განსხვავებულ აზრზე და წერილობით ჩამოვაცალიბო ჩემი სამართლებრივი პოზიცია.

2. საკასაციო პალატის ჩემმა კოლეგა მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ ე. ნ-ს ქმედება არ შეიცავს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც, ბრალდების ამ ნაწილში გაამართლეს, ხოლო დამნაშავედ ცნეს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. ვეთანხმები საკასაციო პალატის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ე. ნ-ს ქმედება არ შეიცავს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, თუმცა, არ ვიზიარებ მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით, შემდეგ გარემოებათა გამო:

3. მიმაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლი წარმოადგენს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ზოგად ნორმას და მოიცავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ყველა იმ შემთხვევას, რომლებიც არ რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური მუხლით. საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლად ვერ განიხილება სპეციალური სუბიექტი – სპეციალური სტატუსის მქონე პირი, რომლის მიერ საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით ხელყოფა სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური მუხლითაა კრიმინალიზებული. განსახილველ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის დროს, მსჯავრდებულ ე. ნ-ს გააჩნდა სპეციალური სტატუსი, კერძოდ, იგი იყო პოლიციელი და ასრულებდა საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც – დაკავების პროცესში, სიცოცხლე მოუსპო დაზარალებულს.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის №57აპ-19 განაჩენით განიმარტა, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია გულისხმობს ნორმის ზუსტ შესაბამისობას ქმედებასთან. იგი წარმოადგენს შემეცნებით-ლოგიკურ პროცესს, რომელიც მო-

იცავს საზოგადოებრივად საშიში ქმედების იურიდიულ შეფასებას. დანაშაულის კვალიფიკაციისას, სისხლისსამართლებრივი ნორმების კონკურენციის დროს, გამოყენებული უნდა იქნეს ის ნორმა, რომელიც სრულად მოიცავს ქმედების შემადგენლობას და მასში ამომწურავად არის მოცემული დანაშაულის ნიშნები.

5. მიმაჩნია, რომ ე. წ-ს მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით – სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, კერძოდ:

6. საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, მათ შორის, გულისხმობს მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რასაც შედეგად მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

7. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება და არც მხარეები ხდია სადავოდ, რომ ე. წ-ე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ...-...- უფროსი დეტექტივის პოზიციაზე და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. ასევე, უტყუარად დადგენილია, რომ შემთხვევის დღეს – 2022 წლის 18 აპრილს, იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და მოქმედებდა, როგორც პოლიციელი. უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ ე. წ-მ 2014 წლის 16 აპრილს დადო პოლიციელის ფიცი და საქართველოს შსს-ის აკადემიაში სწავლის პერიოდში გაიარა და ჩააბარა საცეცხლე მომზადების სპეციალური სრული კურსი.

8. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ ძეხნის ობიექტის პოვნის შემდეგ, დაზარალებული ზ. გ. სწრაფად წავიდა ავტომანქანისკენ, რა დროსაც, ე. წ-მ მას მიმართა – „დაკავებული ხარ!“ და გაჰყვა იარაღის დემონსტრირებით. შემთხვევის უშუალო თვითმხილველი პირების – მ. გ-სა და ნ. ხ-ს ჩვენებებით, ე. წ-მ დაიჭირა ზ. გ. და იარაღიანი ხელი ილღიის ქვეშ ამოსდო. შემდეგ კი მათ შორის დაწყებული ძიძგილაობის დროს მოხდა გასროლა. არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ ე. წ. ფლობდა საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილ ცეცხლსასროლ იარაღს. იმავდროულად, ბალისტიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ე. წ-ს სამსახურებრივი იარაღიდან სასხლეტის გამოწვევის გარეშე გასროლა არ ხდება. ამასთან, პისტოლეტს გააჩნია მცველი ალამი, რაც დამცველ პოზიციაში კეტავს სასხლეტ ფეხს და არ იძლევა გასროლის საშუალებას, აგრეთვე –

დამცავი სისტემის ჩახმაზი, რომლის ნაწილობრივ უკან გადაწვევით, იგი დგება მცველ პოზიციაში და იცავს მას ნემსასთან შემთხვევით კონტაქტისგან.

9. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების შედეგად, დგინდება, რომ ე. წ-მ არაჯეროვნად შეასრულა საკუთარი მოვალეობა, კერძოდ, ვერ გააცნობიერა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება – საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ცეცხლსასროლი იარაღით დასაკავებელ პირთან ფიზიკურ კონტაქტში შესვლა და იარაღთან იმგვარი მოპყრობა, რამაც სასხლეტის გამოწვევა განაპირობა, ასევე, ვერ გაითვალისწინა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, თუმცა, ამის გათვალისწინება ევალებოდა და შეეძლო კიდეც. მსჯავრდებულს რომ ჯეროვნად შეესრულებინა საკუთარი მოვალეობა, მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი იყო საბრძოლო მდგომარეობაში და იარაღთან მოპყრობისას დაეცვა შესაბამისი წესები, გამოეჩინა სათანადო წინდახედულობა შესაძლო მართლსაწინააღმდეგო შედეგის თავიდან ასაცილებლად. ე. წ-ს ევალებოდა და შეეძლო კიდეც ამგვარად მოქმედება, რაც არ შეასრულა ჯეროვნად საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რასაც შედეგად მოჰყვა ზ. გ-ს სიცოცხლის მოსპობა.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 18 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება:

1. ე. წ-ს ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილზე;

2. ე. წ-ე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

**სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი**

კასაცია

საკასაციო განაჩენი

**გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამართლებელი განაჩენის დადგენა საქართველოს
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითად
დარღვევის გამო**

**განაჩენი
საქართველოს სახელმით**

№864აპ-23

27 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),

შ. თადუმაძე,

ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ტ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ქ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ტ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ქ-მ, რომელიც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის შეცვლასა და გ. ტ-ს ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირებას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ როგორც პირველი, ასევე – სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რომლებითაც ვერ იქმნება უტყუარი და საკმარისი ერთობლიობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდებით მისი დამნაშავედ ცნობისათვის; მოწმეებისა და დაზარალებულების გამოკითხვის ოქმები ცხადყოფს, რომ

შემთხვევის დროს გ. ტ. არ ყოფილა შეიარაღებული, მათ შორის, არც რაიმე ბასრი საგნით და თავდაპირველად მხოლოდ დაკარგული საბანკო ბარათის აღდგენას ითხოვდა; საქმეზე გამოკითხული პოლიციელები ადასტურებენ, რომ მსჯავრდებული დაკავებულია ბანკის შენობის მიმდებარედ და მისი პირადი ჩხრეკისას, ისევე, როგორც – შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად, რაიმე ბასრი საგანი ან იარაღი არ ამოღებულა; სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით არ დასტურდება დაზარალებულ ე. გ.-სთვის ბასრი საგნით რაიმე დაზიანების მიყენების ფაქტი, რასაც ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ედავება ბრალდების მხარე გ. ტ.-ს; არცერთი მტკიცებულებით არ დგინდება, რომ მსჯავრდებული ითხოვდა იმ ოდენობით თანხას, რომელიც მას მსჯავრად აქვს შერაცხილი.

2. კასატორის მითითებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ისე მიაჩნა პრეიუდიციული მნიშვნელობა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ისე დაუდო ისინი საფუძველად გამამტყუნებელ განაჩენს, რომ არ გამოურკვევია ბრალდებულის პოზიცია სამხილების უდავოდ ცნობასა და გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებებზე მათი მიღების თაობაზე, რაც არ გამოასწორა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 3 ივნისის განაჩენით, გ. ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. სასამართლომ დაადგინა, რომ გ. ტ.-მ ჩაიდინა ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგით:

4.1. 2021 წლის 23 ნოემბერს, დაახლოებით, 14:50 საათიდან 15:10 საათამდე დროის მონაკვეთში, მდებარე სს „....“ №... ფილიალში, გ. ტ. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, სს „....“ ფილიალში დაცული დიდი ოდენობით თანხის სრულად დაუფლების მიზნით, თავს დაესხა ამავე ფილიალის ოპერატორს, ე. გ.-ს, კერძოდ, მივიდა მის სამუშაო მაგიდასთან, ხელები ძლიერად მოუჭირა ყელის არეში, ასევე, ბასრი საგნით გაუკანრა ყელი და მოსთხოვა სალაროს გახსნა და ფულის გადაცემა, რის საპასუხოდაც, ე. გ.-მ თავდამსხმელს უთხრა, რომ სალაროს გასაღე-

ბით ვერ გააღებდა და საჭირო იყო პროგრამული ჩარევა, რის შემდეგაც, გ. ტ-მ, ისე, რომ განაგრძობდა ე. გ-სთვის ყელის არეში ხელების მოჭერას და ამავდროულად, მასთან ერთად, ფილიალის შიდა სივრცეში გადაადგილებას, ბანკში მყოფ თანამშრომლებს მოსთხოვა ფილიალში არსებული სრული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმუქრებოდა მათთვის „რამის დაშავებითა“ და „უბედურების დატრიალებით“. ბანკში მყოფ პირებს გაუჩნდათ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების საფუძვლიანი შიში, თუმცა მოახერხეს განგაშის სიგნალის გამოყენებით სამართალდამცავ ორგანოსთან დაკავშირება, რის საფუძველზეც, შემთხვევის ადგილზე მისულ პატრულ-ინსპექტორების დანახვისას, გ. ტ. შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და შეეცადა მიმალვას. დანაშაულის შედეგად სს „...“, შესაძლოა, მისდგომოდა ... მდებარე სს „...“ №... ფილიალში არსებული, დიდი ოდენობით – 2 833 652 ლარის – ზიანი, ხოლო ფიზიკური ძალადობის შედეგად ე. გ-მ განიცადა ტკივილი.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 3 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ტ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ქ-მ, რომელიც, სააპელაციო სხდომაზე დაზუსტებული პირობით, ითხოვდა განაჩენის შეცვლასა და მსჯავრდებულის ქმედების, ყაჩაღობის ნაცვლად, თვითნებობად დაკვალიფიცირებას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 3 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება და დაასკვნა, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი უკანონოა, თუ არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რაც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს ან რაც მან დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. ამგვარი გამონაკლისი გათვალისწინებულია, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება, ხოლო ამავე კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ხაზგასასმელია ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვით, ადვოკატი ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა ისარგებლოს.

6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს, დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში. შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებულ უფლებას, მათ შორის, წარმოადგენს – ბრალდებულის უფლება, უშუალოდ გამოიკვლიოს ბრალდების მხარის მტკიცებულებები.

7. ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლის არც ტექსტი და არც მისი სულისკვეთება არ უკრძალავს პირს, საკუთარი ნებით ცალსახად, ან ჩუმი თანხმობის გზით, უარი განაცხადოს სამართლიანი სასა-

მართლო განხილვის უფლებაზე. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ასეთი უარის კონვენციის მიზნებთან შესაბამისობისთვის, იგი არ უნდა იძლეოდეს ექვის წარმოშობის საფუძველს (უნდა განხორციელდეს არაორაზროვანი ფორმით) და ამ ვითარების დაცვის გარანტიები უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე საჯარო ინტერესს. უფრო მეტიც: ვიდრე სავარაუდოა, რომ ბრალდებულმა შეიძლება უარი თქვას მე-6 მუხლით გარანტირებულ მნიშვნელოვან უფლებაზე, უნდა გამოჩნდეს, რომ იგი გონივრულად ითვალისწინებდა ამ ქმედების სამართლებრივ შედეგს (შეეძლო მისი ქცევის შედეგების განჭვრეტა) (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: *Hermi v. Italy* [GC], no. 18114/02, §73 და 2006 წლის 1-ლი მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: *Sejdovic v. Italy*, [GC], no. 56581/00 § 86).

8. ბრალდებულის მიერ უფლებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში არსებითად მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს და შეფასდეს შემდეგი საკითხები:

უფლებაზე უარის თქმა, რამდენად განხორციელდა არაორაზროვანი ფორმით, ხომ არ არსებობს მასში ექვის შეტანის საფუძველი;

უფლებაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება თუ არა საჯარო ინტერესს;

რამდენად გამოჩნდა (დადასტურდა), რომ ბრალდებულს გონივრულად შეეძლო განეჭვრეტა ქმედების (უფლებაზე უარის თქმის) სამართლებრივი შედეგი.

9. ზემოაღნიშნული სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს დადგენილი აქვს კონვენციის მე-6 მუხლით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმის კონტექსტში და ამ სტანდარტების მოქმედება ვრცელდება ბრალდებულის უფლებაზეც, უარი თქვას ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვაზე.

10. საკასაციო სასამართლომ შეაფასა განსახილველი საქმის მასალები და მიიჩნევს: მსჯავრდებულ გ. ტ.-ს უფლებაზე – სრულად გამოეკვლია ბრალდების მხარის მტკიცებულებები – უარის თქმის პროცედურა არ შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით დადგენილ სტანდარტებს, კერძოდ:

11. ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით ირკვევა, რომ გ. ტ. ბრალდებულის სახით დაკავებულია და, შესაბამისად, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2021 წლის 23 ნოემბერს.

12. 2021 წლის 24 ნოემბრის ბრალდებულის გამოკითხვის ოქმის მიხედვით, გ. ტ-მ გამოიყენა დუმილის უფლება და განმარტა, რომ სურდა თავისი პოზიცია სასამართლოში დაეფიქსირებინა.

13. 2021 წლის 24 ნოემბერს გ. ტ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. ბრალდების შესახებ დადგენილებაზე გაკეთებული შენიშვნის მიხედვით, ბრალდებული გ. ტ. გაეცნო დადგენილებას ბრალდების შესახებ და გადაეცა მისი ასლი, თუმცა დადგენილებაში მოყვანილ გარემოებებს არ ეთანხმება.

14. 2021 წლის 25 ნოემბერს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის სასამართლოში განხილვისას, დაცვის მხარე არ დაეთანხმა პროკურორის შუამდგომლობას და ითხოვა ბრალდებულ გ. ტ-ს აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება.

15. 2021 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით, გ. ტ-ს მიმართ საქმეზე დაინიშნა კომპლექსური სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 20 დეკემბრის განჩინების საფუძველზე, ბრალდებული გ. ტ. მოთავსდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად.

17. პროკურორის 2022 წლის 6 იანვრის მიმართვით, ბრალდებულ გ. ტ-ს სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

18. თბილისის საქალაქო სასამართლოში 2022 წლის 25 იანვარს გამართულ წინასამართლო სხდომაზე, სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საკითხის – ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და რა მოცულობით – გამორკვევისას, ბრალდებულმა გ. ტ-მ გამოიყენა დუმილის უფლება. ამავე სხდომაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლომ დასაშვებად ცნო წარდგენილი მტკიცებულებები და მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, დაამტკიცა ისინი, როგორც სადავო სამხილები, ხოლო გ. ტ-ს სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადასცა სასამართლოს.

18. 2022 წლის 25 იანვრიდან 2022 წლის 3 ივნისამდე თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა საქმის არსებითი განხილვის რამდენიმე სასამართლო სხდომა, თუმცა მხარეებს მტკიცებულებები არ გამოუკვლევიათ.

19. 2022 წლის 3 ივნისის სასამართლო სხდომაზე, რომელშიც არ მონაწილეობდა ბრალდებული გ. ტ., პროკურორმა წარადგინა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით: მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს გ. ტ-ს აღენიშნებოდა არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა – არამკვეთრად გამოხატული ცვლილებებით ფსიქიკის მხრივ და მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეზღუდული შერაცხადობა); ამჟამად გ. ტ-ს აღენიშნება შერეული პერსონოლოგიური აშლილობა. დეკომპენსაციის მდგომარეობა. ამჟამად, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით, მას არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს, უხელმძღვანელოს მას, მისცეს ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში. მას აქვს ფსიქიკური ნაკლი, რაც არ გამოირიცხავს მის შეზღუდულ შერაცხადობას. ამჟამად იგი დაავადებულია იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას სასჯელალსრულების სისტემის პირობებში. ამჟამად თავისი ფსიქიკური მდგომარეობით მას არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისი მხრიდან არსებობს საკუთარი თავისა და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარისა და ძალადობის შემცველი ქცევის რისკი, თავისი ფსიქიკური მდგომარეობისა და ქცევის რისკის ხარისხის მიხედვით, ამჟამად გ. ტ. წარმოადგენს სოციალურ საშიშროებას და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი მან უნდა მოიხადოს (არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული დახმარება) შესაბამის სამედიცინო სამკურნალო დაწესებულებაში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული დახმარების კრიტერიუმების ამოწურვამდე, რის შემდეგაც სასჯელი შეიძლება მოიხადოს საერთო წესით.

20. იმავე სასამართლო სხდომაზე, ადვოკატმა უდავოდ გახადა ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება და მოითხოვა ბრალდებულ გ. ტ-ს სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსება.

21. სასამართლომ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ბრალ-

დების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი სამხილები მიიღო მტკიცებულებებად გამოკვლევის გარეშე და მათ პრეიუდიციული მნიშვნელობა მიანიჭა.

22. იმავე დღეს, 2022 წლის 3 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენით:

გ. ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გ. ტ-ს სასჯელი აეთვალა დაკავებიდან, 2021 წლის 23 ნოემბრიდან.

გ. ტ-ს დანიშნული სასჯელის მოხდა განესაზღვრა შპს „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხონი-ქუთირი) გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულმა სასჯელი უნდა მოიხადოს საერთო წესით.

23. შპს „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის“ 2022 წლის 30 აგვისტოს წერილის თანახმად, გ. ტ-ს ფსიქიკური მდგომარეობა, ჩატარებული მკურნალობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და მის მიმართ არანებაცყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმები ამოიწურა, რის გამოც, იგი აღარ საჭიროებდა არანებაცყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას და სასჯელის მოხდა განაგრძო საერთო წესით.

24. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 3 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ტ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ქ-მ, რომელიც საქმეში ჩაერთო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ და, საქმის სააპელაციო განხილვისას, დაზუსტებული სააპელაციო საჩივრით, მოითხოვა გადაწყვეტილების შეცვლა და მსჯავრდებულის ქმედების ყაჩაღობის ნაცვლად თვითნებობად დაკვალიფიცირება.

25. გარდა ამისა, სააპელაციო საჩივრით, დაცვის მხარემ სადავოდ გახადა ბრალდებულის მკაფიოდ გამოვლენილი ნების არარსებობის პირობებში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე მიღება და მათთვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭება. საქმის სააპელაციო განხილვისას მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს, ამასთან, დაეთანხმა ადვოკატის მოთ-

ხოვნას.

26. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 3 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად:

გ. ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გ. ტ-ს სასჯელი აეთვალა დაკავებიდან, 2021 წლის 23 ნოემბრიდან.

27. სააპელაციო სასამართლოს მოტივაციის მიხედვით: საქმის მასალებით დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს დაცვის მხარემ სადავოდ არ გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რის გამოც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ ისინი გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებებად მიიღო, რა დროსაც, სასამართლოს გ. ტ-ს უფლებები რაიმე ფორმით არ შეუზღუდავს.

28. სააპელაციო სასამართლოს დასკვნის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული გ. ტ, როგორც გამოძიების დროს, ბრალდებულის სახით გამოკითხვისას, ასევე – წინასასამართლო სხდომაზე, წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით პოზიციის გამორკვევისას, არ ცნობდა თავს დამნაშავედ და იყენებდა დუმილის უფლებას, ხოლო წინასასამართლო სხდომაზე გაცხადებული ცალსახა და მკაფიო პოზიციით, სადავოდ გახადა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი, მისი მამხილებელი მტკიცებულებები და თავისი ბრალეულობის საკითხის გამოსარკვევად, აშკარად სურდა სასამართლოში მამხილების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა; როდესაც ბრალდებულის პოზიცია სასამართლოში მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევასთან მიმართებით იყო არაორაზროვანი და არაფერი მიუთითებდა მისი ნების რაიმე ფორმით ცვლილებაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს, სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ გ. ტ-ს იმჟამად (და არა – დანაშაულის ჩადენის, გამოძიების ან წინასასამართლო განხილვის დროს), თავისი ფსიქიკური მდგომარეობით, არ შეეძლო თავისი გადანყევტილებების გაცნობიერება, საკუთარი თავისათვის ანგარიშის გაწევა და ხელმძღვანელობა, ჩვენების მიცემა და საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობა, პირველი ინსტანციის სასა-

მართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც ბრალდებულის მიერ გამოიქვასა და წინასასამართლო სხდომაზე მკაფიოდ გამოხატული ნების საპირისპიროდ, მხოლოდ ადვოკატის სურვილის გათვალისწინებით, არ გამოიკვლია სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები და ისე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, არ აქვს კანონიერი გამართლება.

29. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო განაჩენით იღებს მხოლოდ ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს; ბ) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს; გ) ცვლილება შეაქვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში; დ) უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო სასამართლო კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას დაცვის მხარის მიერ სადავოდ გამოიქვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

30. ამდენად, ვინაიდან გ. ტ-ს მიმართ არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რაც არ გამოუვლენია სააპელაციო სასამართლოს, ხოლო საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია დაშვებული შეცდომის გამოსწორების სამართლებრივი მექანიზმი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და მის ნაცვლად გამოტანილ იქნეს გამამართლებელი განაჩენი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ტ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ქ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განაჩენი გაუქმდეს;
3. გ. ტ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქარ-

თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან;

4. გამართლებულ გ. ტ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გამართლებული გ. ტ., არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოთავსებულია შპს „ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ და სასჯელისაგან გათავისუფლების შემდეგ, არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმების არსებობისას, მისთვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხი გადაწყდეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

6. ნივთმტკიცებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

გ. ტ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული რიგის ნომერი, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სუნისა და ხელის კვალის ნიმუშები, ფურცლის ნაგლეჯი, ანანმენდები, მიკრონაწილაკები, გ. ტ-ს ნერწყვის, სუნისა და ხელის კვალის ნიმუშები, განადგურდეს;

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამსახველი ფოტომასალა 1 ელექტრონულ დისკზე, „...“ გამოთხოვილი ჩანაწერები, მეხსიერების ბარათზე, შენახული იქნეს საქმის შენახვის ვადით;

გ. ტ-სა და ე. გ-სგან ამოღებული ტანსაცმელი, დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108
მუხლით დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის
გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი
განაჩენის დადგენა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№815აპ-23

28 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თაღუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი**

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატების – მ. წ-სა და ვ. უ-ს – საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ზ. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა – მ. წ-მ და ვ. უ-მ, რომლებიც ითხოვენ ზ. მ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი ერთმანეთთან შეთანხმებული, მამხილებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს მის ბრალეულობას; სააპელაციო სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა ზ. მ-ს დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო ბრალდება, რომელიც არ გამომდინარეობს მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ: დაზარალებულის ჩვენება, რომელიც არასრულყოფილად არის ასახული განაჩენში, არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი არცერთი პირდაპირი მტკიცებულებით, არამედ პირიქით, ეწინააღმდეგება შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, სამედიცინო, ტრასოლოგიური და ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზების დასკვნებსა და მსჯავრდებულ ზ. მ-ს ჩვენებას, რომელიც, თავის მხრივ, თანხვედნილია საქმეში წარმოდგენილ სხვა სამხილებთან; სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა

ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დასაკეცი კონსტრუქციის დანის პირის მაფიქსირებელი მექანიზმი გაუმართავია და იგი არ წარმოადგენს ცივ იარაღს, ისევე, როგორც – ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ცხადყოფს, რომ ზ. მ-ს საძინებელსა და მსჯავრდებულის ხალათზე აღმოჩენილია დაზარალებულის სისხლი, რაც ადასტურებს ზ. მ-ს ჩვენებას, რომ ი. მ., მძინარეს, დაესხა თავს რკინის ხელკეტით, რომელიც მოიგერიოა ხილის საჭრელი, მცირე ზომის დანით; სააპელაციო სასამართლომ ისე გამორიცხა მსჯავრდებულზე ხელკეტით თავდასხმის ფაქტი, რომ საერთოდ არ უმსჯელია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაზე, რომლითაც დასტურდება, რომ ზ. მ-ს სხეულზე აღენიშნებოდა ბრალად შერაცხილი ქმედების თარიღთან თანხედენილი მრავლობითი დაზიანებები; საეჭვოა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის სისწორეც, რამეთუ, გამომძიებლის შენიშვნის მიხედვით, ზ. მ-მ უარი განაცხადა მისი საცხოვრებელი სახლის დათვალიერებაზე, თუმცა შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, რაც ვერ გაიხსენეს საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილე ექსპერტებმა და ვერც თავად მსჯავრდებულმა, რომელიც, ამ დროს, სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, სამედიცინო დანესებულებაში იმყოფებოდა; გამომძიება ჩატარდა არასრულყოფილად, რამდენადაც შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, საძინებლიდან არ ამოიღეს სისხლიანი ზეწარი, ბალიში და სხვა ნივთები. საგამომძიებო მოქმედების ოქმზე თანდართულ ფოტოსურათებზე კი კარგად ჩანს საქმისათვის მნიშვნელოვანი სამხილების კვალი; არ დაადგინეს დაზარალებულის ჭრილობების ტრაექტორია; არ გამოითხოვეს დაზარალებულის ტელეფონზე შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ნუსხა და არ დაათვალიერეს მისი მობილური ტელეფონი, მაშინ, როდესაც ი. მ-ს მტკიცებით, მსჯავრდებულმა შემთხვევამდე არაერთხელ დაურეკა მას; არ დაათვალიერეს მონმე ნ. კ-ს ავტომანქანა, რომლითაც გადაიყვანა მან დაჭრილი დაზარალებული ადგილობრივ კლინიკაში.

2. კასატორები საკასაციო საჩივრით ასევე სადავოდ ხდიან ბრალდების მხარის მტკიცებულებების ნაწილის დასაშვებობის საკითხს. მათი მოსაზრებით აღნიშნული სამხილები კანონის არსებითი დარღვევით არის მოპოვებული და, შესაბამისად, დაუშვებელია, კერძოდ, მიიჩნევენ, რომ ი. მ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ისტორია ბრალდების მხარეს უნდა მოეპოვებინა სასამართლოს განჩინების საფუძველზე, მიუხედავად დაზარალებულის ხელწერილისა, რომლითაც მან თანხმობა განაცხადა დოკუმენტაციის გამოთხოვაზე, რისი გათვალისწინებითაც:

მომართვის წერილი ქ. საგარეჯოს შპს „ჯეო ჰოსპიტალიდან“ და თანდართული დოკუმენტები 46 ფურცლად; მიმართვის წერილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ და დადგენილება დაზარალებულ ი. მ-სთვის სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; მომართვის წერილი და სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნა – მოპოვებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

3. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ზ. მ-ს, – დაბადებულს ..., – ბრალად დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგით:

3.1. 2022 წლის 24 აპრილს, ღამის საათებში, ... საცხოვრებელ სახლში, ზ. მ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მოკვლის განზრახვით, ხელთ ნაქონი დანის გამოყენებით, სხეულის სხვადასხვა არეში სიცოცხლისთვის სახიფათო მრავლობითი ჭრილობა მიაყენა ი. მ-ს, რომელიც დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

4. ზ. მ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია).

5. სილნალის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 23 იანვრის განაჩენით ზ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალა 2022 წლის 25 აპრილიდან.

6. სილნალის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 23 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ზ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა – მ. წ-მ და ვ. უ-მ, რომლებიც ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივნისის განაჩენით სილნალის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 23 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. საქმის საკასაციო განხილვისას კასატორებმა – მსჯავრდებულ ზ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა – მ. წ-მ და ვ. უ-მ, ისევე, როგორც მსჯავრდებულმა ზ. მ-მ, მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და ითხოვეს მისი დაკმაყოფილება, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში ზ. მ-ს უდანაშაულოდ ცნობა.

9. საქმის საკასაციო განხილვისას ბრალდების მხარემ, პროკურორებმა გიორგი კაკულიამ და მიხეილ კუპრაშვილმა ითხოვეს, არ დაკმაყოფილდეს დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“ – ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

3. აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სარწმუნოდ დადგენილია და არც მხარეები დავობენ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2022 წლის 24 აპრილს დაზარალებულ ი. მ-ს ნამდვილად აღენიშნებოდა: ორი ნაჩხვლეტი ჭრილობა მუცლის წინა კედელზე, ნაჩხვლეტი ჭრილობა მარცხენა ბეჭზე და სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის ორი ნაჩხვლეტი ჭრილობა გულმკერდის წინა კედელზე. მხარეებს შორის დავის საგნად არის ქცეული: მოქმედებდა თუ არა ზ. მ. ი. მ-ს მოკვლის განზრახვით, რაც მის ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ცხადყოფს, როგორც ამას ბრალდების მხარე ამტკიცებს, თუ მსჯავრდებული იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რაც მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოირიცხავს, სრულად, როგორც ამაზე დაცვის მხარე მიუთითებს.

4. ზ. მ-ს მკვლელობის მცდელობაში მსჯავრდებას საფუძვლად უდევს სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის ქმედებაში ორი ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, უპირობოდ მიუთითებენ მსჯავრდებულის მისწრაფებაზე განზრახ მოესპო სიცოცხლე ი. მ-სთვის, სახელდობრ, ერთი მხრივ, ზ. მ-მ სიცოცხლისათვის სახიფათო არეებში დანით მიაყენა ხუთი

ნაჩხვლეტი ჭრილობა ი. მ-ს, რაც, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით, ცალსახად მიუთითებს მის სურვილზე, მოეკლა დაზარალებული, ხოლო, მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლომ უპირობოდ გამორიცხა დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა და, შესაბამისად, მსჯავრდებულის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ყოფნა, კერძოდ, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას აღნიშნა, რომ: „ზ. მ-ს განზრახვას – ჩაედინა პირის მკვლელობა, ადასტურებს მის მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალება და მის მიერ მიყენებული დაზიანებების არაერთჯერადობა (ორი ჭრილობა გულმკერდის არეში, ორი ჭრილობა მუცლის არეში და ერთი მარცხენა ბეჭის არეში) ადგილგანლაგება და ლოკალიზაცია, ხარისხი და სიმძიმე, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს, მათ შორის, სიცოცხლისათვის სახიფათო ადგილს – გულმკერდის არეს. ბუნებრივია, ზ. მ-ს მიერ გამოყენებული დანით სიცოცხლისათვის სახიფათო არეებში დაზიანების მიყენებით იზრდება ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის რისკი, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ქმედებები მიმართული იყო კონკრეტული პირისაკენ. ხსენებული გარემოება მეტყველებს მასზედ, რომ ზ. მ. აცნობიერებდა შესაძლო მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას – ი. მ-ს სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას“, ამასთან, „ზ. მ-ს მიერ ი. მ-სთვის ხუთი ჭრილობის მიყენების ფაქტი მიმართული იყო შუარისძიების სურვილით და არა სამართლებრივი სიკეთის დაცვის მოტივით, ვინაიდან საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დადასტურდა დაცვის მხარის მიერ განვითარებული ვერსია, თითქოსდა, ი. მ. გავიდა ზ. მ-ს სახლიდან მასზე განაწყენებული, მალევე მიბრუნდა რკინის ხელკეტით შეიარაღებული უკან და მწოლიარე ბრალდებულს ჩაარტყა თავსა და დაზიანებულ ფეხში, რის მოგერიებასაც დანის გამოყენებით ცდილობდა ბრალდებული“.

5. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: საყურადღებოა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ზ. მ-სთვის ბრალად შერაცხილ ქმედებას – ი. მ-სთვის დანით ჭრილობების მიყენებას – გარდა თავად მსჯავრდებულ ზ. მ-ს და დაზარალებულ ი. მ-სა, არ ჰყავს სხვა შემსწრე ან თვითმხილველი. აქედან, ზ. მ-ს მტკიცებით, სწორედ ი. მ. დაესხა მას თავს საწოლში რკინის ხელკეტით, რომელიც მოიგერია ხილის სათლელი, მცირე ზომის დანით, ხოლო ი. მ-ს მითითებით, ზ. მ-მ, რომელსაც აქვს ცუდი სიმთვრალე, გაურკვეველი მიზეზით მიაყენა დანით ხუთი ჭრილობა გულმკერდის, მუცლისა და ბეჭის არეებში.

6. ამდენად, დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ურთიერთგამომრიცხველი განმარტებების პირობებში, როდესაც განსახილ-

ველ დანაშაულს არ ჰყავს სხვა შემსწრე ან თვითმხილველი პირი და საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი სხვა პირდაპირი, დამოუკიდებელი მტკიცებულება, რომელიც ზ. მ-ს ბრალეულობას სარწმუნოდ დაადასტურებდა ან უარყოფდა, მეტად მნიშვნელოვანია როგორც დაზარალებულის, ასევე – მსჯავრდებულის ჩვენებების კრიტიკულად შეფასება და იმის გამორკვევა, თუ რამდენად დამაჯერებელია მათი მონათხრობი, რამდენად თანხვედნილია მათი მტკიცება საქმეში წარმოდგენილ სხვა სამხილებთან და ხომ არ იკვეთება მათ შორის იმგვარი წინააღმდეგობები და ფაქტობრივი უზუსტობები, რომლებიც, ზოგადად, საექვოს ხდის მოწმეების სანდოობას და, ერთობლივად შეფასებისას, უკარგავს მათ ჩვენებებს დამაჯერებლობას.

7. დაზარალებულ ი. მ-ს ჩვენების მიხედვით, თავის ბიძაშვილთან, ზ. მ-სთან, 2019 წლიდან აქვს უთანხმოება ქონებასთან დაკავშირებით, რადგან მსჯავრდებული უარს ამბობდა წლების წინ გაყიდული მიწის ნაკვეთის გადაფორმებაზე, რის გამოც, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საერთოდ არ ურთიერთობდნენ ერთმანეთთან. 2022 წლის 24 აპრილს დაურეკა მსჯავრდებულმა და სთხოვა, მისულიყო მასთან, რადგან აღდგომა დღეს იყო მარტო. პროდუქტები აიღო და კუთვნილი „რენჯ როვერის“ მარკის ავტომანქანით მივიდა ზ. მ-ს სახლში. სანამ მივიდოდა, მსჯავრდებულმა რამდენჯერმე დაურეკა და გადაამოწმა, ხომ ნამდვილად ესტუმრებოდა. ზ. მ-ს ცუდი სიმთვრალე ჰქონდა, რის გამოც, დღესასწაულს ნათესავების გარეშე ატარებდა. მსჯავრდებული მანქანასთან შეეგება და პროდუქტები შეატანინა სახლში, რა დროსაც ყავარჯნებით არ სარგებლობდა და არც ლითონის ფიქსატორი შეუმჩნევია მის ფეხზე. სუფრა ერთად გაშალეს. ძეხვი დაჭრა სამზარეულოს დანით, რომელიც მაგიდაზე იდო. რამდენიმე ჭიქა კონიაკი ჰქონდათ მირთმეული, როდესაც მეუღლემ დაურეკა და გასვლა მოუხდა, თუმცა მსჯავრდებულს დაჰპირდა, რომ დაბრუნდებოდა. მეუღლეს გასაღები გადასცა და უკან ფეხით დაბრუნდა, რადგან საპატრულო პოლიციის მანქანები შენიშნა და პრობლემებს მოერიდა. ამასობაში, ზ. მ-მ ორჯერ დაურეკა, აინტერესებდა, რატომ აგვიანებდა. რომ მივიდა, მსჯავრდებული სამზარეულოში დახვდა, სადაც სუფრა იყო გაშლილი, ფეხზე წამოდგა, ხელები მოიფშვნიტა და გინებით უთხრა, გეგმა მაქვს, დედა, როგორ უნდა გიტყვი. მან ხელი მოჰკიდა და ამ ქცევის გამო უსაყვედურა, თუმცა ზ. მ-მ ხელი გაარტყა. მანაც უპასუხა და სამზარეულოში დაინყეს ჩხუბი, რომელიც საძინებელში გაგრძელდა, სადაც მსჯავრდებულმა დანით მიაყენა ორ-ორი ჭრილობა გულმკერდისა და მუცლის არეში, თუმცა დანა საიდან მოიტანა, არ დაუნახავს. იგი თავდასხმას იგერიებდა,

რა დროსაც გაეჭრა ხელი. გამობრუნება სცადა, თუმცა მსჯავრდებულმა კიდევ ერთი ჭრილობა მიაყენა ბეჭში, მან კი ხელი ჰკრა და გაეცალა. „112-ში“ არ დაურეკავს. დაურეკა თავის ახლომყოფ ძმის-შვილს, ნ. კ-ს, რომელიც არ სვამდა და მალე მიაკითხავდა. ამასობაში მსჯავრდებული იატაკზე იჯდა და უყურებდა, ხმა არ ამოუღია. ნ. კ-ს უთხრა, რომ ზ. მ-მ დაჭრა. ჭრილობიდან სისხლი სდიოდა. როგორც მოგვიანებით გაიგო, მანქანაში გონება დაუკარგავს.

8. დაზარალებულის განმარტებების საპირისპიროდ, მსჯავრდებულ ზ. მ-ს ჩვენების მიხედვით, 2022 წლის 24 აპრილს მართლაც დაურეკა ი. მ-ს და დღესასწაულის აღსანიშნად თავისთან დაპატიჟა. დაზარალებულმა პროდუქტები მიუტანა და დაიწყო სმა, რა დროსაც ი. მ-მ წარსულში მინის ნაკვეთთან დაკავშირებული უთანხმოება შეახსენა, მან კი უპასუხა, რომ არ სურდა ამ თემაზე საუბარი. ი. მ. განაწყენდა, თუმცა ისე წავიდა მისგან, არც შელაპარაკებიან და არც ფიზიკურად დაპირისპირებიან ერთმანეთს. უთხრა, არ გამოვა შენთან საუბარიო, არც დამშვიდობებია, არც ის უთქვამს, დავბრუნდებო. ამიტომ თავად დანვა და დაიძინა. რამდენიმე ხანში, მის საძინებელში აინთო შუქი, შევიდა ი. მ. და საწოლში დაუწყო რკინის ხელკეტიტ ცემა მოტეხილ ფეხსა და თავში, თან ეკითხებოდა, სურდა თუ არა ნათესავებსა და სასამართლოში საქმის გარკვევა. იგი ეხვეწებოდა, თავი გაენებებინა, მაგრამ ი. მ. არ ეშვებოდა. მას სურდა თავის დაცვა, გადარჩენა. ხელში მოხვდა ხილის სათლელი, მცირე ზომის დასაკეცი დანა, რომელიც საწოლის გვერდით ედო და ი. მ-ს დაუწყო ქნევა, რომელიც, თავის მხრივ, განაგრძობდა მისთვის თავში ხელკეტის რტყმას. ცალ ხელს თავზე იფარებდა, მეორით – დანას იქნევდა, ამიტომ არ იცის ი. მ-ს ჭრილობები მიაყენა, თუ – არა. მერე ხელკეტი მოხვდა თავში და საწოლზე გადავარდა. დაზარალებულმა თავი გაანება და წავიდა. ჩხუბი მხოლოდ საძინებელში მოხდა. გონს რომ მოვიდა, თავიდან და ფეხებიდან სისხლი სდიოდა, რის გამოც, დარეკა „112-ში“. გადაიყვანეს კლინიკაში, მოგვიანებით კი დააკავეს, თუმცა გამთენიას ისევ საავადმყოფოში დააბრუნეს. პოლიციაში მიუტანეს ყავარჯნები, რადგან მათ გარეშე ვერ გადაადგილდებოდა.

9. დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ჩვენებების სანდობასა და დამაჯერებლობაზე მსჯელობამდე საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ სააპელაციო სასამართლომ, დაზარალებულისათვის მიყენებული ჭრილობების რაოდენობასთან, ლოკალიზაციასა და სიმძიმესთან ერთად, ზ. მ-ს ქმედებაში მკვლელობის განზრახვის გამოსაკვეთად ხაზგასმით მიუთითა დანაშაულის იარაღზე – დანაზე (რომელიც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, ადამიანის სიცოცხლის ხელყო-

ფის რისკს მეტად ზრდის), თუმცა გადანაცვების მოტივაციისას ყურადღების მიღმა დარჩა სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შედეგები, რომელთა მიხედვით, კვლევაზე წარდგენილი დასაკეცი კონსტრუქციის დანა, ფაქტობრივი (იმჟამინდელი) მდგომარეობით, არ წარმოადგენდა ცივ იარაღს. დანის პირს არც გახსნილს და არც დაკეცილს არ გააჩნდა დაფიქსირების ფუნქცია და თავისუფლად მოძრაობდა ღერძზე, რაიმე შეზღუდვის გარეშე, რაც გამონეული იყო ჩამაგრების არეში სახელურის ფირფიტების დეფორმაცია-გაშლით და ინვევდა დანის პირის მაფიქსირებელი მექანიზმის გაუმართაობას.

10. შემთხვევის ადგილის – ზ. მ-ს საცხოვრებელი სახლის – დათვალიერების ოქმში მითითებულია, რომ მსჯავრდებულის საძინებლიდან ამოღებულია მცირე ზომის დასაკეცი დანა, რაც თანხვედნილია მსჯავრდებულის განმარტებასთან, რომ დაზარალებული-საგან თავის დასაცავად საწოლთან არსებული ხილის სათლელი, მცირე ზომის, გასაშლელი დანა გამოიყენა; ასევე – ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნასთან, რომლის მიხედვით, დანის მთლიანი სიგრძეა 16,9 სმ, პირის მაქსიმალური სიგრძე სახელურამდე – 7,3 სმ, პირის სიგანე ქუსლის გარეშე – 1,12 სმ, პირის მაქსიმალური სისქე ყუის მხრიდან – 0,15 სმ.

11. დაზარალებულისა და მსჯავრდებულის განმარტებების დამაჯერებლობაზე მსჯელობისას, უპირველესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სადავოდ გამხდარი შემთხვევის შემდეგ, სწორედ მსჯავრდებულმა დარეკა საზოგადოებრივი მართვის ცენტრ – „112-ში“ (რომელიც საქვეყნოდ ცნობილია, რომ პოლიციის, სახანძრო/სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ერთიანი ქსელია) და ითხოვა დახმარება, რადგან იყო დაჭრილი/დაჩეხილი, ხოლო დაზარალებულმა ი. მ-მ დაურეკა თავის დისშვილს, რომელმაც კუთვნილი ავტომანქანით წაიყვანა იგი საავადმყოფოში. ამასთან, მეტად საყურადღებოა, რომ მსჯავრდებულის სამედიცინო ისტორიის თანახმად, პაციენტ ზ. მ-ს მტკიცებით, ბიძაშვილმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, რკინის ხელკეტი ჩაართვა რამდენჯერმე თავსა და მარჯვენა ბარძაყში, ხოლო დაზარალებულის სამედიცინო ისტორიის მიხედვით, ი. მ, რომელიც თვითდინებით მივიდა სტაციონარში, აცხადებდა, რომ დაზიანებები ქუჩაში მიაყენეს და მომხდარს ვერ იხსენებდა.

12. დაზარალებულის ჩვენების სანდოობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია მისი წინასასამართლო განმარტებები, კერძოდ, ყურადსაღებია, რომ გამოძიების დროს, 2022 წლის 25 აპრილსა და 2022 წლის 27 აპრილს გამოკითხვებისას, დაზარალებულს არ უთ-

ქვამს, რომ მსჯავრდებულის სახლში ორჯერ მივიდა, მათ შორის, პირველ ჯერზე სწორედ კუთვნილი ავტომანქანით მიაკითხა ბიძაშვილს, არ უხსენებია, რომ სუფრიდან მეუღლესთან შესახვედრად წავიდა, საიდანაც დაბრუნებულს დაესხა თავს სწორედ მსჯავრდებული; შემთხვევის დღეს მსჯავრდებულის სახლში ორგზის მისვლა, მათ შორის, პირველად კუთვნილი ავტომანქანით, დაზარალებულმა მხოლოდ სასამართლოში ჩვენების მიცემისას დაადასტურა, ისიც მას შემდეგ, რაც საქმეში მოიპოვებოდა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერები, სადაც ასახულია შემთხვევის დღეს მისი ავტომანქანით გადაადგილება; საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვან გარემოებებთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ პირველი გამოკითხვის ოქმის მიხედვით (რომელსაც დაზარალებულმა ხელი არ მოაწერა, როგორც მოგვიანებით სასამართლოში განმარტა, ალელეების გამო), ზ. მ-მ დაუწყო ჩხუბი, ის შეძლებისდაგვარად იგერიებდა მსჯავრდებულის მოქნეულ ხელს და ისინი რამდენჯერმე წაიქცნენ. მსჯავრდებული გამეტებით ურტყამდა ხელს სხეულის სხვადასხვა არეებში, ბოლოს გულმკერდის არეში იგრძნო წვა, რა დროსაც ორივე წაიქცა და ზ. მ-ს ხელიდან გაუვარდა დანის მსგავსი საგანი, მაშინ, როდესაც მეორე გამოკითხვის (რომელიც ჩატარებულია დაზარალებულის ადვოკატის მონაწილეობით) ოქმის თანახმად, ჩხუბის დროს დაინახა მსჯავრდებულის ხელში პრიალა საგანი, სავარაუდოდ, დანა, რომელიც რამდენჯერმე ჩაარტყა ზ. მ-მ მას სხეულში. წართმევა სცადა და მარცხენა ხელი გაეჭრა. სასამართლოში ჩვენების მიცემისას კი – დაბეჯითებით განაცხადა, რომ ზ. მ-მ ხელთ ნაქონი დანით, რომელიც არ იცის, საიდან ამოიღო, მიაყენა მას სულ ხუთი ჭრილობა: ორ-ორი – გულ-მკერდსა და მუცელში, ხოლო ერთი – ბეჭში.

13. საყურადღებოა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საერთოდ არ არის ასახული ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც წარედგინა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს და რომლითაც დგინდება, რომ საძინებელი ოთახის იატაკზე აღმოჩენილია დაზარალებულის, ხოლო ზ. მ-ს ხალათზე, როგორც დაზარალებულის, ასევე – მსჯავრდებულის სისხლი, რაც სრულად არის თანხვედნილი მსჯავრდებულის ჩვენებასთან, რომლის მიხედვით, ის და ი. მ. საძინებლის გარდა, არსად დაპირისპირებიან ერთმანეთს ფიზიკურად, დაზარალებულის თავდასხმის დროს იყო საწოლში და იატაკზე არ დავარდნილა და, ამავდროულად, საეჭვოს ხდის ი. მ-ს ჩვენებას, რომ ჩხუბის დროს ისინი რამდენჯერმე დაეცნენ იატაკზე, ხოლო დაპირისპირების მიწურულს მსჯავრდებული ძირს იჯდა და უყურებდა, თუმცა, მიუხედავად დაზარალებულის მტკიცებისა, ზ. მ-ს სისხლი

შემთხვევის ადგილზე (არც საძინებლის იატაკზე და არც სამზარეულოში) არ აღმოჩენილა, ხოლო საწოლის ზენარზე არსებული სისხლისმაგვარი ლაქების კუთვნილებით გამოძიება საერთოდ არ დაინტერესებულა.

14. მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულ ი. მ-ს მითითებით, ზ. მ-სთან ჩხუბის დროს იგი მსჯავრდებულის შეიარაღებულ თავდასხმას იგერიებდა, რა დროსაც დანით გაეჭრა ხელი, თუმცა დაზარალებულის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ი. მ-ს რაიმე დაზიანება ხელზე არ აღენიშნებოდა. საპირისპიროდ, მსჯავრდებულ ზ. მ-ს მტკიცება, რომ დაზარალებულის თავდასხმისას ერთი ხელით დანას იქნევდა, ხოლო მეორეს თავზე იფარებდა, დასტურდება დაკავების ოქმით, რომელშიც მითითებულია, რომ მსჯავრდებულს დაკავებისას, მათ შორის, თავსა და ხელზე აღენიშნებოდა დაზიანებები.

15. სააპელაციო სასამართლომ უპირობოდ გაიზიარა დაზარალებულის ჩვენება იმასთან დაკავშირებით, რომ შემთხვევის დღეს მსჯავრდებული მანქანასთან შეეგება, რა დროსაც არც ყავარჯნებით სარგებლობდა და არც ლითონის ფიქსატორი შეუმჩნევია მის ფეხზე, მაშინ, როდესაც სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა სამედიცინო ექსპერტმა, ა. კ-მ, აღნიშნა, რომ ბარძაყის ძელის მოტეხილობით, რომელიც შემთხვევამდე ჰქონდა მიღებული ზ. მ-ს, გადაადგილება შესაძლებელია ყავარჯნების მეშვეობით, მიზანმიმართული ქმედებით, ხოლო ლითონის ფიქსატორით მოძრაობა ადამიანის ჩვეულებრივი, ფიზიოლოგიური გადაადგილების მსგავსი ვერ იქნებოდა.

16. და ბოლოს, სააპელაციო სასამართლომ ისე გამორიცხა ზ. მ-ს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ყოფნა, რომ უყურადღებოდ დარჩა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტ ა. კ-ს ჩვენებით დადგენილი, ბრალად შერაცხილი ქმედების თარიღთან თანხვედრილი დაზიანებები, რომლებიც აღენიშნებოდა მსჯავრდებულს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში იკითხება, რომ ზ. მ-ს მარჯვენა ბარძაყის ძელის შეუხორცელებელი მოტეხილობა ხანდაზმულობით არ შეესაბამება 2022 წლის 24 აპრილს მიღებულ ტრავმას, ხოლო, სხვა ყველა დაზიანება – კვირისტავის მოტეხილობა, თავისა და მუხლის ღია ჭრილობები, სისხლნაჟღენთები მარცხენა თვალებუდის, მარცხენა ბარძაყისა და მარცხენა წვივის არეში, თავის ტრავმა, თავის ტვინის შერყევა – მიღებულია რაიმე მკვრივი, ბლავი საგნის მოქმედებით. აქედან – კვირისტავის მოტეხილობა მიეკუთვნება დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს, ხოლო ყველა სხვა დაზიანება – მსუბუქ ხარისხს. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში დანვრი-

ლებით არის აღწერილი სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მსჯავრდებულის სხეულზე გამოვლენილი მრავლობითი დაზიანებები, მაგრამ არ არის ასახული საექსპერტო კვლევისა და მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის, ა. კ.-ს ჩვენების ის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელიც ცხადყოფს, რომ ყველა დაზიანება გარდა ბარძაყის ძვლის მოტეხილობისა, სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, ხანდაზმულობით შეესაბამება დანაშაულის ჩადენის თარიღს – 2022 წლის 24 აპრილს – და, სულ მცირე, აჩენს გონივრულ ეჭვებს შემთხვევის დღეს მსჯავრდებულის მიმართ შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ხელყოფასთან დაკავშირებით.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: სასამართლო სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით, რაც გულისხმობს სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის სათანადოდ მომზადებულ და დაინტერესებულ მხარეთა ინიციატივისთვის მინდობას, თუმცა აქვე დასძენს, რომ ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია, გამოძიება წარმართოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, ხოლო სასამართლომ – მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლიან პროცესს და ამცირებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების რისკს.

18. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე დართულ ფოტოებზე თვალნათლივ ჩანს მსჯავრდებულის საწოლი, რომელზეც დევს დანა, ხოლო ზენარს აშკარად აღენიშნება სისხლისმაგვარი ლაქები, საგამოძიებო მოქმედების შედეგად, ხსენებული ზენარი არ ამოღებულა და, შესაბამისად, არც სათანადო კვლევები ჩატარებულა; მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანისთანავე, იმთავითვე, აცხადებდა, რომ ბიძაშვილმა სცემა ხელკეტით, რომელიც არ არის აღმოჩენილი შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად, ხოლო მოწმე ნ. კ.-ს ჩვენებით, მისი ავტომანქანა, რომლითაც შემთხვევის შემდეგ, დაჭრილი ი. მ. განარიდა შემთხვევის ადგილიდან, სისხლით იყო დასვრილი, არ დათვალიერებულა/ამოღებულა ნ. კ.-ს ავტომანქანა, რომელშიც შესაძლოა საქმისათვის მნიშვნელოვანი სამხილები აღმოჩენილიყო; მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების საწყისი ეტაპიდანვე არ იკვეთებოდა დანაშაულის მკაფიო სურათი და საქმე არ გამოირჩეოდა თვითმხილველი მოწმეების სიმრავლით, ობიექტური გარემოებების დასადგენად არ არის ამოღებული დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ტელეფონები და არც მათ შორის განხორციელებული

შემავალი და გამავალი ზარების დეტალური ნუსხა; მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულ ზ. მ-ს დაკავებისთანავე აღენიშნებოდა სხეულის მრავლობითი დაზიანებები, რომელთა სიმძიმე, ხანდაზმულობა და წარმომავლობა არ გამხდარა გამოძიების ინტერესის საგანი, მანამ, სანამ დაცვის მხარემ არ გამოითხოვა მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაცია – ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და შუამდგომლობით არ მიმართა გამოძიებას, ჩაეტარებინა სათანადო სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის შედეგების გათვალისწინებით, მიმდინარე საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო საქმე ზ. მ-ს განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე, რომელზეც, ბრალდების მხარის განმარტებით, ამჟამადაც მიმდინარეობს გამოძიება, რაც, ერთობლივად შეფასებისას, ობიექტურად აჩენს განცდას, რომ განსახილველ საქმეზე გამოძიება ჩატარდა არასრულად და მიკერძოებულად.

19. საკასაციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ დანაშაულის კონსტრუქცია მოიცავს სამ აუცილებელ ელემენტს – ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს. პირველ ყოვლისა, უნდა დადგინდეს – პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეიცავს თუ არა შესაბამისი შემადგენლობის ნიშნებს. თუკი დადგინდება შემადგენლობის არსებობა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, არსებობს თუ არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მათ შორის – აუცილებელი მოგერიების ვითარება და შემადგენლობის შემცველი ქმედება განხორციელდა თუ არა ასეთი მოგერიების კანონით განსაზღვრულ ფარგლებში (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №424აპ-16, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 3).

20. იმის გათვალისწინებით, რომ სადავოდ არ გამხდარა ზ. მ-ს მიერ ი. მ-სათვის დანით, მათ შორის, სიცოცხლისათვის სახიფათო ჭრილობების მიყენების ფაქტი, განსახილველ საქმეში გადასაწყვეტი მთავარი საკითხია: არსებობდა თუ არა საფუძველი დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების აუცილებელ მოგერიებად სამართლებრივი შეფასებისათვის, სხვაგვარად რომ ითქვას, ზ. მ-ს ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი იწვევს თუ არა ისეთ გონივრულ ეჭვს, რაც შეიძლება მისი უდანაშაულოდ ცნობის საფუძველი გახდეს, როგორც ეს საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ საკვანძო არგუმენტად არის მიჩნეული.

21. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საქარ-

თველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმოყვას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

22. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, ხელყოფა იმნუთიერი და რეალურია, ხოლო მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედება კი უკიდურესობით გამოწვეული მოქმედებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ხელყოფის მოგერიებისთვის და წარმოადგენს შედარებით მსუბუქ თავდაცვის საშუალებას. მართალია, აუცილებელი მოგერიების დროს არ არსებობს სამართლებრივ სიკეთეთა შესაბამისობის მოთხოვნა, მაგრამ თავდაცვა არ არის მართლზომიერი სამართლებრივ სიკეთეთა აშკარა შეუსაბამობის დროს. არ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის №593პა-15 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4).

23. იმ ვითარებაში, როდესაც დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე, გარდა დაზარალებულისა და მსჯავრდებულისა, რომლებსაც, საქმის შედეგთან მიმართებით, საპირისპირო ინტერესები გააჩნიათ, არავინ ყოფილა, ხოლო დაზარალებულის ჩვენება არ იძლევა ფაქტების უტყუარად დადგენის შესაძლებლობას, რამეთუ ეწინააღმდეგება, როგორც მის მიერ გამოძიების დროს, გამოკითხვებისას მიწოდებულ ინფორმაციას, ასევე – საქმეში წარმოდგენილ სხვა სამხილებს და, იმავდროულად, არსებობს გონივრული ეჭვები დანაშაულის ჩადენის შემდგომ მის ქცევასთან მიმართებით; იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულის თავდაპირველი მტკიცების, რომ საკუთარ სახლში, ფეხმოტეხილსა და მძინარეს, ხელკეტით დაესხა თავს დაზარალებული, დასადასტურებლად/უარსაყოფად გამოძიება არ ჩატარებულა ობიექტურად და სრულად; იმის მხედველობაში მიღებით, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანებების კვალდაკვალ, სასამართლოს განსჯის საგნად არ ქცეულა მსჯავრდებულისათვის მკვრივი, ბლაგვი საგნით (რომელიც შეიძლება იყოს რკინის ხელკეტიც) მიყენებული, ბრალად შერაცხილი ქმედების თარიღთან თანხვედნილი, მრავლობითი დაზიანებები – კვირისტავის მოტეხილობა, თავისა და მუხლის ღია ჭრილობები, სისხლნაჟღენთები მარცხენა თვალებდის,

მარცხენა ბარძაყისა და მარცხენა წვივის არეში, თავის ტრავმა, თავის ტვინის შერყევა – რომელთა წარმომავლობასა და მსჯავრდებულის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში შესაძლო ყოფნასთან დაკავშირებით, გაჩენილი ეჭვები, ვერ გაქარწყლდა კანონით დადგენილი წესით, საკასაციო სასამართლოს პოზიციით, წინდუბიო პრო რეო – პრინციპის საფუძველზე, მსჯავრდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

24. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარემ, რომელსაც პროცესუალურად ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი, მათ შორის, ბრალად წარდგენილი ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის გონივრულ ეჭვს მიღმა სასამართლოში დამტკიცება, სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, რომ ზ. მ. მისთვის ბრალად შერაცხილი ქმედების ჩადენის დროს მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ, რაც გამორიცხავს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სრულად.

25. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმძებელს. ამავდემუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

26. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

27. ამდენად, ვინაიდან მტკიცებულებების შეფასების დროს, ზ. მ.-ს მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობასთან მიმართებით გაჩენილი ეჭვები, ვერ დადასტურდა კანონით დადგენილი წესით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში ზ. მ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ზ. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატების – მ. წ-სა და ვ. უ-ის, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 20 ივნისის განაჩენი;

3. ზ. მ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

4. გამართლებულ ზ. მ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

5. ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული კონიაკის ბოთლი, დამტვრეული თეფში, დანა, სისხლისმაგვარი ლაქები, ი. მ-ს სისხლის ნიმუში, ზ. მ-ს ნეწყვის ნიმუში, განადგურდეს;

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული 2 ჭიქა, ი. მ-ს ტანსაცმელი და ზ. მ-ს ხალათი, დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს;

4 მეხსიერების ბარათი, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge